ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 19 იანვარი 2000 №7 (1029) | ფასი 50 თეთრი

2

ქოქუაშვილი ლუკაშევიჩზე, ობლობაზე, დამპალ მსხლებსა და, ცხადია, ნაკრებზე

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა მთავარმა მწვრთნელმა გუშინ პრესკონფერენცია გამართა

6

საქმის გარჩევა მილგარტში

„ლიდსის" მთვრალმა ფეხბურთელებმა ვინმე აზიელს სასტიკად სცემეს

8

ოდნავ დეტექტიური ამბავი

დიეგო მარადონა სარეაბილიტაციოდ ჰავანაში ჩავიდა

14

რას მერჩით, ქალებო?!

ბრიტანელი ქალების ნება რომ იყოს, ლონდონში მოვარჯიშე მაიკ ტაისონს დაასაჭურისებდნენ



ალექსიძე ძალიან და საკიფათოდ დაფასდა

6 666 666

განვედ, სატანავ, ქართველის ტრანსფერისგან!

ინგლისური მედიის მტკიცებით, რატი ალექსიძე ცალი ფეხით „ჩელსიშია"

ვიდრე პარასკევს ლონდონში დამოუკიდებელი ტრიბუნალი შეიკრიბება, „ჩელსი" მზადაა, თბილისის „დინამოს" 21 წლის კაპიტან რატი ალექსიძეში 4 მილიონი გირვანქა გადაუხადოს.

ლონდონური კლუბი იმედოვნებს, ყოფილ ფეხბურთელთაგან შემდგარი სამკაციანი საბჭოსთვის არ გაუჭირდება იმის დასაბუთება, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი იმსახურებს საკუთარ ადგილს ინგლისურ ფეხბურთში.

თუკი „ჩელსი" ამას შეძლებს, ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტი წინააღმდეგი არ იქნება, ალექსიძეს მუშაობის უფლება მისცეს — წერდა გუშინდელი „მირორი".

ინგლისური გაზეთი რომ ალექსიძის ფასზე საუბრისას მონაჭორს არ ჩმახავს, ამას კიდევ ერთი წყარო ადასტურებს. „ჩელსის" ოფიციალურ საინტერნეტო გვერდში თეთრით ლურჯზე (კლუბის ფერებია) წერია, ქართველის შესაძენად კლუბი 4 მილიონი გირვანქის გაღებას აპირებსო.

აგერ ჩვენ, აგერ პარასკევი და აგერ ინგლისური სააპელაციო კომიტეტი. ვნახოთ, რა პასუხს გასცემს დასაქმების დეპარტამენტისგან უარით გასტუმრებულ „ჩელსის" ვეტერან ფეხბურთელთა ტრიო.

თუ „ჩელსიმ" 21 იანვარს თავისი გაიტანა, ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს: „სარბიელის" გამოკითხვით მეათე ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელს პრემიერლიგაში დავიგულებთ, დღემუდამ ვალსა და გაწამაწიაში მყოფ „დინამოს" კი, როგორც იქნება, სულმოთქმულს ვნახავთ.

მაგრამ არსებობს ერთი პრობლემაც. ფუი, ეშმაკს და, ამჟამინდელი კურსით ის 4 მილიონი ინგლისური გირვანქა 6 666 666 ამერიკული დოლარია. ეს საქმე რომ არ გამოვიდეს, მოდი და, ნუ დაეჭვდები, ეშმაკის ხელი არ ერიაო.

შიშის სენდვიჩი წვიმის კოქტეილით

აჰსტრალიის ღია პირველობის მეორე დღემ სეზონის პირველ დიდი სლემის ტურნირს ცოტა წვიმა, ცოტა სიურპრიზები და ერთი-ორი გადადებული მატჩი მოუტანა. როგორც მოსალოდნელი იყო, სწრაფმა საფარმა და ბურთებმა რამდენიმე უკანახაზელი შეიწირა, ორ ფავორიტს — ევგენი კაფელნიკოვსა და სერენა უილიამსს კი მომდევნო წრეში გასვლა მსუბუქ ტრავმებად, თუმცა გვარიანი შიშის ჭამად დაუჯდათ.

იხილეთ მეცამეტე გვერდი



REUTERS მელბურნიდან

ექიმებმა ევგენი კაფელნიკოვი ფეხზე დააყენეს

ძოძუაშვილი ლუკაშევიჩზე, ოგლობაზე, დამპალ მსხლებსა და, ცხადია, ნაკრებზე

გუშინ, 18 იანვარს, საქართველოს სახელმწიფო სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში ეროვნული ნაკრების ტანდემის 50 პროცენტ (ეს ხუმრობით), ისე კი თანამწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილს პრესკონფერენცია უნდა გაემართა. ქართული ფეხბურთისთვის სისხლხორცეული, მაგრამ ამავე დროს მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ქართული საფეხბურთო მასმედიის ძოძუაშვილთან შეხვედრა სფფ-ს საინფორმაციო სამსახურის ოთახში გაიმართა, სადაც ნაკრების თანამწვრთნელსა და პრესის წარმომადგენლებს სფფ-ს პრესატაშემ მამუკა კვარაცხელიამ უმასპინძლა.

რევაზ ძოძუაშვილი

ბადრი კეთილაძის ფოტო

რევაზ ძოძუაშვილის პრესკონფერენცია საინფორმაციო კომიტეტის ოთახში გაიმართა

ბადრი კეთილაძის ფოტო

რევაზ ძოძუაშვილი მასმედიელებს ვან გაალისერი (უფრო სქელტანიანი) ბლოკნოტით წარუდგა, სადაც თურმე მრავალი ინფორმაციულად საინტერესო სიახლე იმალებოდა.

ძოძუაშვილმა დაიწყო იმით, რომ შობა-ახალწელიწადს როგორც ყველა ქართველი, ისიც სავსე მაგიდასთან შეხვდა და ყველაფერზე წინ ქართული ფეხბურთის სადიდებელი დალია. სადღეგრძელო სადღეგრძელოდ და მიხიჩას არც ის დავიწყებია, რომ მარტოკაცებით და მარტო სადღეგრძელოებით ქართულ ფეხბურთს არაფერი ეშველება და რომ სხვებთან ერთად მასმედიელებსაც გვმართებს ხელების დაკაპიწება.

„სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ თებერვლის თვეში საქართველოს ეროვნული ნაკრები კვიპროსში სანაკრებო ტურნირზე იასპარეზებს, შინდისფერთა შემადგენლობა კი ჯერაც არ დაკომპლექტებულა. რევაზ ძოძუაშვილის განცხადებით, სწორედ ნაკრების შესაძლო კანდიდატების შერჩევას მიეძღვნა 17 იანვარს გამართული მწვრთნელთა საბჭოს სხდომა.

...ჩვენ ჯერ კიდევ პირველ შეკრებაზე ვთხოვეთ მწვრთნელთა საბჭოს წევრებს, ყურადღება სასელექციო სამუშაოებზე გაემახვილებინათ — გუნდებში დაიწყო შუასეზონური ვარჯიშები, შეკრებები და მომზადების დონიდან გამომდინარე, ბევრ ფეხბურთელს შეუძლია, სერიოზული კონკურენცია გაუწიოს ნაკრების აქამდელ კანდიდატებს.

...ნაკრებში პროფესიონალებმა უნდა ითამაშონ. აქ საუბარი მხოლოდ ფეხბურთელების ნიჭსა და გაქანებაზე როდია, არც მარტო გვარ-სახელებზეა საქმე. ნაკრების წევრობის კანდიდატმა უნდა იცოდეს, რომ მისგან ყოველ წუთს, ყოველ წამს მზადყოფნას მოელიან.

...მწვრთნელთა საბჭოს ყოველ სხდომაზე ნაკრების ახალი კანდიდატებიც წარმოჩინდებიან ხოლმე. მართალია, რაოდენობა ყოველთვის არ არის ხარისხის მაჩვენებელი, მაგრამ ერთი რუსული გამოთქმისა არ იყოს, რაოდენობა ბოლოს და ბოლოს მაინც გადავა ხარისხობრივ მაჩვენებელში და ჩვენც იმის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამდენი კანდიდატიდან საბოლოოდ სასურველ შემადგენლობასაც დავაკომპლექტებთ.

...17 იანვრის მწვრთნელთა საბჭოს სხდომაზე ასეთი მთავარი აზრიც გამოიკვეთა — შესაძლოა, შინდისფერები კვიპროსში ლეგიონერთა გარეშე წავიდნენ და საქართველოს ეროვნული ნაკრები მთლიანად ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებით დაკომპლექტდეს.

...ლეგიონერები სხვებთან შედარებით ნამდვილად უკეთეს მდგომარეობაში არიან. მათ უპირატესობა გააჩნიათ თუნდაც იმ მხრივ, რომ ნორმალურ ქვეყანათა ნორმალურ გუნდებში უწევთ გამოსვლა. იქ მაღალ დონეზე დგას მოსამზადებელი, ფუნქციონალური, ტექნიკურ-ტაქტიკური, საყოფაცხოვრებო პროცესები. ამდენად, ლეგიონერთა შემოწმება ხანდახან არც კია საჭირო — მათი უცხოური კლუბების იმიჯი თავისთავად მეტყველებს ჩვენი ფეხბურთელების მზადყოფნის დონეზე.

...ეროვნულ ჩემპიონტში მონაწილე ფეხბურთელებს თქვენი, მასმედიელების საშუალებით მინდა მივმართო — მოემზადონ მაქსიმალურად. ნაკრების წევრობა ჰაერზე არ მოდის. ისინი თავად უნდა იყვნენ თავიანთი თავის მწყემსები.

...ადრე დასახელებულ ფეხბურთელებთან ერთად მწვრთნელთა საბჭოს წევრებმა ახალი გვარებიც მოგვაწოდეს. მათ ფუნქციებისდა მიხედვით დაგისახელებთ.

მეკრეები — ლომაია, ჭანტურია, დეკაძე;

მცველები (მარჯვენა) — საჯაია, ქოქოშვილი, თ. კობიაშვილი;

ცენტრალური მცველები — აბრამიძე, შეიძლება ნემსაძეც, სხვათა შორის, ნემსაძემ ერთხელ უკვე ითამაშა უკანა მცველის პოზიციაზე და ალბათ გახსოვთ, მშვენივრადაც;

ნახევარმცველები — ჯონი შალამბერიძე (რომელიც ძალიან გვიქეს), კვეტენაძე;

მარცხენა ნახევარმცველები — ხაჭაპურიძე, სახვაძე — ეს ფეხბურთელები ბოლო საკონტროლო თამაშებში ვიხილეთ და მათ ყურადღება მიექცეს. სასიხარულოა, რომ უკვე დასახელებულ კანდიდატებს თითქმის ყველა რგოლში ემატება ახალგაზრდა ფეხბურთელები.

მარჯვენა ნახევარმცველი — გიზო ჯელაძე;

თავდასხმა — აშვეთია, ძოძუაშვილი. განსაკუთრებით მინდა ყურადღება გავამახვილო ჩემს მოგვარე ძოძუაშვილზე. უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელია. ამასწინანდელ საკონტროლო შეხვედრაში ისე ითამაშა, პირდაპირ აღტაცებული დავრჩი. თუმცა მისი (და ჩემიც) გვარიდან გამომდინარე, ათმაგ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. ამ ბიჭმა უნდა გამიმართლოს იმედები.

...პასუხისმგებლობას რაც შეეხება, მეც და დათოსაც (ყიფიანს) გვარიანი სიფრთხილე გვართებს. ამაზე ყიფიანმა უკვე განაცხადა კიდეც — „ტორპედოდან“ და „ლოკომოტივიდან“ მიწვეულმა ფეხბურთელებმა სხვებს ორი თავით უნდა აჯობონ, რათა მათი ნაკრებში გამოძახება ვინმემ საკუთარი კლუბების ფეხბურთელებისადმი ზედმეტ მიკერძოებაში არ ჩამოგვართვა.

...მიხეილ ფოცხვერია გამრჩეული ფეხბურთელი და პიროვნებაა. იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩის შემდეგ მიშა საქართველოს გმირი გახლდათ. მაგრამ დრო გავიდა, სხვათა შორის, ის დროც და ფოცხვერიასა, თავისი საფეხბურთო ბედიდან გამომდინარე, ბევრი რამ ხელახლა აქვს დასამტკიცებელი. მე მესმის, რომ უკრაინაში დარჩენა მას იარაღით აიძულეს, მაგრამ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ასეთი რამე ხდება და ეს პირადად ჩემთვის არცთუ უჩვეულო რამ არის, წარსული დამსახურება დიდებულია, მაგრამ ნაკრების წევრობისთვის ეს არ არის საკმარისი.

...ჩემს კლუბში ნაკრების ყოფილი წევრები თამაშობენ. ბალაშვილიც მათ შორისაა. მაგრამ მას დისკვალიფიკაცია აქვს და მისცემენ თუ არა თამაშის საშუალებას, ეს ფედერაციის გადასაწყვეტია (აქ ფედერაციის პრესტაშე ჩაერია საუბარში და განმარტა, რომ გიორგი ბალაშვილი, ისევე, როგორც ლევან მიქაძე, დისკვალიფიცირებული არის სეზონის ბოლომდე და მათი ნაკრებში და კლუბში თამაში გამორიცხულია).

...ხაზზე თამაში? მე ფეხბურთელებს კონკრეტულად ვიწრო სპეციალიზაციას არასოდეს ვთხოვდი. რა მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მოთამაშისთვის რა სისტემით თამაშობს გუნდი — 4-5-1, 4-4-2, სამი მცველით, ზონურად თუ პერსონალურად — მე მივცემ ფეხბურთელს დავალებას და იგი ვალდებულია, ის შეასრულოს, რასაც მწვრთნელი დაავალებს.

...26 იანვრიდან დავიწყებთ შეკრებას. ვინც ჩამოსაყვანია, ჩამოვიყვანთ, თუმცა არც ისეა საქმე, ფეხბურთელი კლუბის მზადების პროცესს მოვწყვეტოოთ. ისინი იქ მოემზადონ, ჩვენ სხვებს გამოვცდით და ნაკრების შესაძლებლობებზე ყველაფერი [illegible] რამოდგენა შეექმნება.

...ქეცბაია ამ ეტაპზე ყველაზე ძლიერია ნაკრებში, როგორ ფორმაშიც არ უნდა იყოს ის, სხვებს გვარიანი ოფლისღვრა მართებთ, რათა თემურის დონემდე მივიდნენ. საუბარია ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ფეხბურთელებზე. მერე რა, რომ იგი ძირითადში ვერ ხედება, სამაგიეროდ, მუდმივ მზადყოფნაშია და ვარჯიშობს.

...კიდევ ერთხელ ვიმეორებ — მთავარია, სათამაშო ფორმა სწორედ სათამაშო მზადყოფნაა ჩვენთვის (ნაკრების მწვრთნელებისთვის). უმნიშვნელოვანესი და ამის მიხედვით შევარჩევთ სანაკრებო კონტინგენტს.

...ჩვენ უნდა ვუფრთხილდეთ ვარსკვლავის ხუმტურებიან ფეხბურთელებს. მივიყვან „დამპალი მსხალის“ მაგალითს. საღი მსხლების ყუთში რომ ერთი დამპალი ნაყოფი მოათავსო, ყველა დალპება.

...საქართველოს არა ჰყავს თერიმეტი შეუცვლელი ფეხბურთელი. ასე რომ, ვერავის დავპირდებით, რომ გარანტირებული ექნება ნაკრებში თამაში.

...მართალია, მწვრთნელთა საბჭოს დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ ქუჩიდან ვერავის რეკომენდაციით ვერ ავიყვანთ ფეხბურთელს. საქართველოს ნაკრებში „ლუკაშევიჩი“ ვერ ითამაშებს.

...ფეხბურთელმა რეჟიმზე უნდა იფიქროს. მოგეხსენებათ, მე ცოლის მოყვანასაც ვუკრძალავ მოთამაშეებს გარკვეულ ასაკში და გარკვეულ ეტაპზე. სხვა მაგალითი არ გინდათ — რონალდოს და რონალდინიას მაგალითიც გეყოფათ — გაიტაცა რონალდო საცოლემ და ფეხბურთი და მსოფლიოს ჩემპიონატი მირჩა გვერდზე. თაფლობის თვე თაფლივით ტკბილია, მაგრამ ზოგჯერ ფეხბურთს ვნებს და ეს მოთამაშემ უნდა იცოდეს.

...კაპიტანი პირველ რიგში ავტორიტეტი, ორგანიზატორი და დირიჟორი უნდა იყოს მინდორზე. მას უნდა შეეძლოს მიუთითოს, სწორი გზა აჩვენოს, დროზე შეაჩეროს ან პირიქით, დროულად აღანთოს თანაგუნდელი. მას არავინ ნიშნავს, მწვრთნელის დიდი მხარდაჭერის გათვალისწინებით გუნდი ირჩევს კაპიტანს და ჩვენც ასე მოვიქცევით.

...ნუ მალაპარაკებთ ნაკრების ხერხემალზე და ჩემს სიმპათია-ანტიპათიებზე. ვინძლო ვინმეს თავში აუვარდეს. არ მინდა ამაზე ახლა საუბარი.

...უნივერსალიზმამდე შორია. ამაზე არც არის ლაპარაკი. მთავარია, თერმეტიევი ფეხბურთელმა იცოდეს დაცვაში და თავდასხმაში გარკვეულ დონეზე თამაში.

...ბოსკამპი, როგორც მწვრთნელი და პიროვნება არ შემისწავლია, თუმცა ერთ რამეში უდიდეს პატივს ვცემ, მან გზა ახალგაზრდა, ნიჭიერ ფეხბურთელებს მისცა და ეს დიდი რამ გახლავთ.

...გაიოზ დარსაძე მწვრთნელთა საბჭოს მდივნად ინიშნებოდა. ის კი ჩვენამდე არ მოსულა. არ ვიცი, ვის ელაპარაკა სფფ-ში, მაგრამ დიდ უფლებებზე და დატვირთვაზე იყო საუბარი.

...ჩვენ ვერ ვახერხებთ უცხოეთში მოთამაშე ქართველების ნახვას. სკაუტური მექანიზმი ჩვენს ნაკრებში, სამწუხაროდ, თითქმის არ არსებობს და ამ მხრივ როგორც ობლები, ისე გამოვიყურებით.

...უკვე მოვიდა შეტყობინება, რომ ნაკრებს ლევან კობიაშვილი, დემეტრაძე, კალაძე და გახოკიძე ვერ დაეხმარებიან კვიპროსში. ეს მოსალოდნელიც იყო, ბიჭები გუნდებში მოემზადებიან.

...მე თქვენი დიდი იმედი მაქვს სწორედ პრესის საშუალებით უნდა მივიდეს ფეხბურთელების ყურამდე, რას და როგორ ითხოვენ საქართველოს ნაკრების მწვრთნელები.

რევაზ ძოძუაშვილი კი ჩქარობდა, მაგრამ გვარიანი დრო დაგვითმო, წინ დიდი დრო და დიდი გეგმებია (ცოტა იმედიც). ორივე მწვრთნელი (ყიფიანი და ძოძუაშვილი) ევროპის ჩემპიონატს ნახავენ და თან მომავალ მეტოქეებს — იტალიას და რუმინეთს დააკვირდებიან საქმეში.

დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

კონსტანტინე გოგიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელის არქივიდან

პსვ-ელი გოგა გახოკიძე ჰაიფას „მაკაბიში“ ერთწლიანი იჯარითაა

გახოკიძე ისევ პსვ-ს უმიზნებს

გასული კვირის საუკეთესო ლეგიონერი ჰაიფას „მაკაბის“ ქართველი ნახევარმცველი გოგა გახოკიძე გახდა. ქართველმა მშვენივრად ჩაატარა მატჩი ჰერცლიის „მაკაბის“ წინააღმდეგ და გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

„მაკაბიმ“ 3:0 დაამარცხა მეტოქე. გახოკიძემ ერთი თავად გაიტანა, ერთიც ავი აზულაის გაატანინა. თავისი წვლილი შეიტანა თანაგუნდელ სერგეი კლეშჩენკოს მესამე გოლშიც, რომელიც გახოკიძის წამოწყებული კომბინაციის შემდეგ გავიდა. მანამდე კი ჩვენებურმა ნაღდი საგოლე გადაცემა მიაწოდა ლიტველ ჟუტაუტასს, რომლის დარტყმამ ხარიხას ახლოს ჩაუქროლა.

ერთი სიტყვით, გახოკიძე მატჩის გმირი იყო. ამას უკავშირებენ გასულ კვირაში პსვ „ეინდჰოვენის“ ბელგიელი მწვრთნელის, ერიკ გერეტსის სატელეფონო ზარს ჰაიფაში. მოგეხსენებათ, გახოკიძე პსვ-ს საკუთრებაა და მაისამდე იჯარითაა გაშვებული „მაკაბიში“. გერეტსი ჰოლანდიის პირველობის მეორე წრის წინ კლუბში გახოკიძის მდგომარეობით სერიოზულად დაინტერესდა და „მაკაბის“ მწვრთნელ ელი კოენს მის შესახებ ჰკითხა. საბოლოოდ რას გადაწყვეტს გერეტსი, რა თქმა უნდა, ჯერ უცნობია, თუმცა გახოკიძეს სტიმული რომ გაუჩნდა და აშკარად უკეთ თამაშობს, ეს თვალშისაცემია. ჰერცლიის კარში გატანილი გოლი მეორეა გახოკიძის ებრაულ კარიერაში.

ამ გამარჯვებამ გახოკიძის გუნდი ისევ დააბრუნა ისრაელის ჩემპიონატის სათავეში. მოუმატა გიორგი დარასელიას ქფარ სავას „ჰაპოელმაც“, კლუბმა ახალგაზრდა ნიგერიელი ფეხბურთელის, იაკობო აბაღინის გოლით აუტსაიდერ იერუსალიმის „ჰაპოელს“ მოუგო და გასავარდნა ზონას საგრძნობლად მოშორდა. ნიგერიელმა, რომელიც ესტონელ ხოხლოვ-სიმსონთან ერთად ახლახანს შეიძინა „ჰაპოელმა“, დარასელიას პასით გაიტანა. გიორგიც ამ და სხვა სიკეთისთვის მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

პრემიერლიგაში საგოლე გადაცემით გამოირჩა გიორგი ქინქლაძე, რომელიც „მიდლსბროსთან“ 76-ე წუთზე შეუშვეს მინდორზე, ქინქიმ შოტლანდიელ კრეიგ ბარნის გაატანინა. „დერბიმ“ კი სენსაციურად აჯობა მასპინძლებს — 4:1, რაშიც ლომის წილი ახლახან ნაყიდმა ქრისტიმ დაიდო. მან დუბლი შეასრულა.

შოტლანდიელი დანკან ფერგიუსონი კვლავაც სერიოზულ კონკურენციას უწევს ჩვენს თემურ ქეცბაიას. ბობი რობსონი გამარჯვებულ კაცს არ ცვლის და დანკანსაც გააქვს და გააქვს. „საუთჰემპტონს“ ფერგიუსონმა ორი გაუტანა, ქეცბაია კი მოედანზე 81-ე წუთზე პერუელი სოლანოს მაგივრად შევიდა. მარიან პახარსის გუნდთან შეხვედრამდე ორი დღით ადრე კი ქეცბაიამ „ნიუკასლის“ სარეზერვო გუნდში „მიდლსბროს“ დუბლების წინააღმდეგ 61 წუთი ითამაშა და პოლ რობინსონს საგოლე პასიც გაუკეთა. „ჯორდების“ დუბლებმა 2:0 მოიგეს. მეორე გოლი ქეცბაიას ნაცვლად მინდორზე გასულმა ხორვატმა სილვიო მარიჩმა გაიტანა, რომელიც „ნიუკასლს“ დაუბრუნდა.

გელა შეყილაძე 58-ე წუთზე გამოჩნდა „ლიერსის“ რიგებში, მან „აალსტთან“ მატჩში პოლონელი რუდი შეცვალა. ხუთივე გოლი „აალსტის“ კარში ვან მეიერმა გაიტანა. ლაშა ჯაკობიას „ვეზეტი“ კი, ალბათ, ბელგიის მესამე დივიზიონში გავარდება. მან „ტორჰაუტთან“ შინ 0:2 წააგო. პირველ ტაიმში ჯაკობიას გატანა შეეძლო, მაგრამ ვერ მოახერხა. მეორეში კი „ტორჰაუტმა“ ორი გაიტანა და მოიგო. „ვეზეტი“ კვლავაც ბოლო ადგილზეა.

საბერძნეთში კი გოდერძი ნატროშვილის „პანაჰაიკმა“ ლიდერთა ოთხეულში მყოფ „ირაკლისთან“ 0:1 წააგო და მე-12 ადგილამდე დაქვეითდა.

სიმონ მენაბდე

სახელი გვარი	კლუბი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა
ინგლისი					
პრემიერლიგა					
თემურ ქეცბაია	ნიუკასლი	შ	საუთჰემპტონი 5:0	9	შეცვლაზე ითამაშა
გიორგი ქინქლაძე	დერბი	ს	მიდლსბრო 4:1	14	შეცვლაზე ითამაშა, საგოლე პასი
პირველი დივიზიონი					
კახი ცხადაძე	მანჩესტერ სიტი	შ	ფულემი 5:0	0	ტრავმა
ბელგია					
უმაღლესი დივიზიონი					
გელა შეყილაძე	ლიერსი	შ	აალსტი 5:2	32	შეცვლაზე ითამაშა
მეორე დივიზიონი					
ლაშა ჯაკობია	ვეზეტი	შ	ტორჰაუტი 0:2	90	
საბერძნეთი					
უმაღლესი დივიზიონი					
გოდერძი ნატროშვილი	პანაჰაიკი	შ	ირაკლისი 0:1	90	
ისრაელი					
უმაღლესი დივიზიონი					
გიორგი დარასელია	ჰაპოელი (ქფარ სავა)	ს	ჰაპოელი (ი) 1:0	90	საგოლე პასი
გიორგი გახოკიძე	მაკაბი (ჰაიფა)	ს	მაკაბი (ჰ) 3:0	90	გოლი, საგოლე პასი

არჩილ არველაძე

არჩილ არველაძე რაიო ვალეკანოს სურს

ბრედელის გადაბირებას ტრაბზონი და ანთალიაც ცდილობენ

ჰოლანდიის მეორედივიზიონელ „ბრედას“ ქართველი ლეგიონერის, არჩილ არველაძის გადაბირება ესპანეთის პრიმერადივიზიონის „რაიო ვალეკანოს“ სურს — ამის შესახებ ჟურნალისტებს განუცხადა „ბრედას“ ტექნიკურმა დირექტორმა იან რაბმა.

„ბრედა“ ახლა თურქეთში, ანთალიის ახლოს, დაბა ბელექში ემზადება ჰოლანდიის ჩემპიონატის მეორე წრისთვის.

„რაიო ვალეკანო“ არჩილისადმი ხანტერესს კარგა ხანია, იჩენს. არ არის გამორიცხული, არველაძე მეორე წრეში გუნდს ვეღარ დაეხმაროს“ — ბრძანა რაბმა.

არველაძემ თურქეთში „ბრედას“ შემადგენლობაში ერთი მატჩის გამართვა უკვე მოასწრო. „ბრედამ“ „კაიზერისპორთან“ 2:5 წააგო (ერთი არჩილმა გაიტანა), გუშინ კი ბულგარული „ლიტექსის“ წინააღმდეგ „ბრედას“ მწვრთნელმა ზვანბორნმა არველაძე აღარ ათამაშა. ვარაუდობენ, რომ ზვანბორნი ამით შეეცადა, დაენახა, რას წარმოადგენს „ბრედა“ არველაძის გარეშე. ზვანბორნმა აქცენტი ბრაზილიელებზე გააკეთა. „ბრედაში“ ერთბაშად სამმა სამხრეთამერიკელმა ითამაშა: ჯეფრიმ, კრისტიანომ და სერჯიომ. „ბრედამ“ 3:1 მოიგო. ორი კრისტიანომ გაიტანა, ერთიც სერჯიომ.

ჰოლანდიური მედიის ცნობით, არჩილთან თურქული კლუბებიც არიან დაინტერესებულნი — „ტრაბზონსპორი“ (ახლა მეშვიდე ადგილზეა) და „ანთალიასპორი“ (მეხუთე ადგილზე იმყოფება). თურქმა ფანებმა და აგენტებმა თურმე აიკლეს „ბრედას“ ადგილსამყოფელი. „ზოგმა, აქ რომ მოხვედრილიყო, 1400 კილომეტრი გაიარა“ — გაოცებულია იან რაბი. „ტრაბზონს“ საერთოდ 1994-97 წლებში კლუბის საუკეთესო დამრტყმელი დუეტის ტიპი არველაძეების დაბრუნება გადაწყვეტია და ამსტერდამის „აიაქსთან“ მოლაპარაკებას ცდილობს შოთას ოაობაზე.

თუმცა, თუ იან რაბს ვენდობით, ყველაზე რეალური მაინც „რაიო ვალეკანოს“ ვარიანტია. ეს მადრიდული კლუბი ახლა აღმავლობის გზაზეა, პრიმერა დივიზიონში მეხუთე ადგილზეა და საპრიზო ადგილებისთვის იბრძვის. აღსანიშნავია, რომ კლუბის პრეზიდენტი ქალია — მარია ტერეზა რივეიო სანჩეს რომანტე. გუშინ „რაიომ“ „ასტონ ვილადან“ ფორვარდი მარკ დრეიპერი შეიძინა.

როგორც რაბი ვარაუდობს, ამ ტრანსფერის ბედი საქართველოს ნაკრების კვიპროსის ტურნირზე გამოსვლის შემდეგ გაირკვევა, სადაც არჩილს ხერიოზულად დააკვირდებიან.

სიმონ მენაბდე

გიორგი ქინქლაძე კიევის დინამოში?

უკრაინული გრანდი ქართველში 3 მილიონ დოლარს იხდისო

სარბიელის არქივიდან

როცა გვეგონა, რომ გიორგი ქინქლაძის სატრანსფერო პრობლემები დასრულდა, ქართველმა საბოლოოდ იპოვა ნავსაყუდელი პრემიერლიგის „დერბი ქაუნთიში“ და ძირითადში ადგილის დამკვიდრებაც სცადა, ქინქის გარშემო ახალი საუბარი დაიწყო.

გუშინ გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ქინქლაძის ყიდვა ვალერი ლობანოვსკის მოსურვებია. კიევის „დინამო“ მზადაა, ამსტერდამის „აიაქსს“ 1,75 მილიონი გირვანქა გადაუხადოს, რაც დაახლოებით 3 მილიონი დოლარის ტოლფასია.

შეგახსენებთ, რომ ქინქლაძე „აიაქსმა“ „დერბი ქაუნთიში“ სეზონის ბოლომდე იჯარით გაანათხოვრა, ყიდვის უფლებით.

ჯერჯერობით კიევის „დინამოსა“ და „აიაქსს“ არც დაუდასტურებიათ და არც უარყვიათ ინფორმაცია, რომელიც Ukrainian soccer news-მა გაავრცელა.

სიმონ მენაბდე

სიონი ისევ ის სიონია

ბოლნისის „სიონში" ორი დღის წინ სრული გაურკვევლობა სუფევდა დღეს კი ყველაფერი ნათელია — „სიონმა" თითქმის ყველა ფეხბურთელი შეინარჩუნა.

გუშინ ბოლნისში დიდი კრება გაიმართა. იგი წესით და რიგით უფრო ადრე უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელთა მოუცლელობის გამო გადაიდო. კრებას გუნდის ფეხბურთელები, მწვრთნელები, ბოლნისის რაიონის გამგებელი, ზურაბ ჯაფარიძე და ფირმა „კვარციტის" წარმომადგენლები დაესწრნენ, რომლებმაც თავდაპირველად პირველ ეტაპზე „სიონის" გამოსვლის შესახებ ისაუბრეს. იგი, რა თქმა უნდა, დადებითად შეფასდა. ბოლნისელებმა ხომ ფაქტობრივად შეუძლებელი შეძლეს და პირველ ოთხეულში მოხვდნენ.

მერე კი სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. გადაწყდა, რომ დავით დათუაძის გარდა ყველა ფეხბურთელი გუნდში დარჩება. ისე, ბოლომდე არც დათუაძის ტრანსფერია მოგვარებული. „დათუაძის საკითხი ჯერჯერობით ისევ ღიადაა, რადგან ჯერ „დინამომ" საკომპენსაციო თანხა უნდა გადაგვიხადოს" — გვითხრა გუშინ ზურაბ ჯაფარიძემ. კონკრეტული თანხის დასახელებისგან გამგებელმა თავი შეიკავა, თუმცა არც ის გამორიცხა, რომ „დინამოსა" და „სიონს" შორის ერთგვარი გაცვლა მოხდეს. ბოლნისელები თანახმანი არიან, დათუაძის ნაცვლად „დინამოსაგან" ერთი ან ორი ფეხბურთელი შეიმატონ. დათუაძე კი ფაქტობრივად უკვე დინამოელად ითვლება. იგი მარადი ჩემპიონის შემადგენლობაში საკონტროლო მატჩებს ატარებს, ოთარ კორღალიძემ დსთ-ს თასზე წასაყვანთა სიაშიც შეიყვანა და ყოველივე ამის შემდეგ ძნელი საფიქრებელია, ეს ტრანსფერი ჩაიშალოს. რაც შეეხებათ ახალწვეულებს, გაირკვა, რომ გიორგი მაზანიშვილი („ტორპედო), კახა დაუშვილი („ლოკომოტივი") და შალვა ისიანი („თბილისი") მეორე ეტაპზე „სიონის" მაისურას მოირგებენ.

გუშინდელ კრებაზე მზადების გეგმის შესახებაც ისაუბრეს. „სარბიელის" მკითხველმა იცის, რომ „სიონი" ვარჯიშს პირველ რვა გუნდს შორის ყველაზე გვიან შეუდგა. ბოლნისელები ახალ წელს ორივე სტილით შეხვდნენ და მზადებაც ამის შემდეგ, 15 იანვარსღა დაიწყეს. გუნდის მთავარი მწვრთნელი სპარტაკ არჩვაძე შეგირდებს ძირითადად ბოლნისში მოამზადებს, მერე თბილისში მძლეოსნობის მანეჟში გადმოინაცვლებენ. ბოლოს კი ერთ შეკრებასაც მოაწყობენ, რომლის ადგილიც ბოლნისელებს ჯერ არ შეუგულებიათ.

ასე რომ, „სიონი" მეორე ეტაპს ფაქტობრივად იგივე შემადგენლობით, თუმც უკეთეს ხასიათზე ხვდება.

ვანო ოქროპირიძე

ნუგზარ კიკილაშვილის ფოტო

სპარტაკ არჩვაძე კვლავაც ძველ სიონელებთან იმუშავებს

ლაგოდეხიდან შავი ზღვისკენ

სტუდენტებს არდადეგები დაუმთავრდათ. ახლა სესიების დროა, ჰოდა, საუკეთესო რვა გუნდს მიღმა დარჩენილმა თსუ-მაც, გაზაფხულზე უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნებისთვის რომ იბრძოლებს, ვარჯიშები განაახლა.

ამას ვარჯიშებსაც ვერ დაარქმევს კაცი, უფრო სელექციურ-შერჩევით მუშაობას თუ უწოდებ. გუნდის ახალი თავკაცი თენგიზ კაცია და კონსულტანტი ვახტანგ კოპალეიშვილი სასურველ მოთამაშეებს ეძებენ.

თსუ-ს სტრატეგიულ კურსს გამოცდილი, ასაკოვანი მოთამაშეები არ მიესადაგება, მწვრთნელიც ახალგაზრდებს არჩევს.

რა თქმა უნდა, ახალ მწვრთნელს გუნდში ადრინდელი მოთამაშეებიც დახვდნენ, მაგრამ ამათგან ახალაძემ „ვიტ ჯორჯიას" მიაშურა, ლიბერო ნინუამ სულაც გუდა-ნაბადი აიკრა და ბულგარეთში გაემგზავრა სასურველი კლუბის საძიებლად. მეკარე მერლანიც „ვიტ ჯორჯიასთან" ერთად ვარჯიშობს.

რახან თსუ პირველ ჯგუფში დასარჩენად იბრძვის, გაძლიერებაც არ აწყენდა. სწორედ ამიტომაა, ამჟამად კაციას მეთვალყურეობით 30-მდე ფეხბურთელი რომ ვარჯიშობს.

20 თებერვალს სტუდენტები ლაგოდეხში ორკვირიან შეკრებაზე მიემგზავრებიან. იქ ყველა საკითხი მოგვარებულია და 20 ფეხბურთელის მისაღებად ადგილობრივი პერსონალი სრულ მზადყოფნაშიაო — გვითხრა კლუბის პრეზიდენტმა დავით გოდერძიშვილმა.

ლაგოდეხიდან დაბრუნებული თსუ წვრთნას თბილისში გააგრძელებს, ხოლო სავარაუდოდ 10-15 თებერვლისთვის მალთაყვას მიაშურებს. იქაც ორკვირიანი შეკრებაა დაგეგმილი.

მამუკა ქვანტალიანი

საშუასეზონო მიდი-მოდი

I–VIII	გასხვისებულები	ახალწვეულები	მატჩები
ტორპედო *დავით ყიფიანი*	მაზანიშვილი(სიონი),კ.ჯანაშია(სამგურალი),ვ.მაისურაძე(თბილისი),ჩხაბერიძე(თავისუფალი აგენტი)		
დინამო *ოთარ კორღალიძე*	აშვეთია(ალანია,რუსეთი),ალექსიძე(ჩელსი,ინგლისი),ლომაია(ლოკომოტივი),ზირაქიშვილი(სპარტაკი,ვარნა,ბულგარეთი),ხომერიკი(ბათუმი),თ. კობიაშვილი(ვიტ ჯორჯია)	გოგიჩაიშვილი(ლოკომოტივი),კერძევაძე(ქიაფაზი,აზერბაიჯანი),ქემოკლიძე,ო. გველესიანი, ზამთარაძე,რუხაძე,მიქაძე,ა. ჩიხრაძე,(თბილისი),დათუაძე(სიონი),შელია(მანჩესტერ სიტი,ინგლისი),ლობჟანიძე(უეფას მიერ დისკვალიფიცირებული იყო),გადელია(ბათუმი)	ვიტ ჯორჯია 3:2,თბილისი 10:5,ლოკომოტივი 1:2
კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	ქოხონელიძე (?)	მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი)	
ბათუმი *ჯანი კარნეველე*	პაპიძე (თბილისი),კანტიძე (თამაშიმიატოვა),გადელია (დინამო),უვაკვე(?)	ხომერიკი(დინამო),ჩლაიძე,თარგამაძე(არსენალი),პეტრიაშვილი(სამგურალი),ბარნოვი(ლოკომოტივი),გ.ნოზაძე(საუ), კაკაბაძე(ცხუმი)	
ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	კ.ალადაშვილი,მაზიაშვილი(ლოკომოტივი)	ლ.მელქაძე(თბილისი),ი.ხაჭაპურიძე(სამგურალი),მერლანი,ახალაძე(თსუ),თ. კობიაშვილი(დინამო),ვ. კაკაშვილი(თბილისი)	ზოოვეტი 5:0,დინამო 2:3,თსუ 6:4
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	დათუაძე(დინამო),დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი),ნ. მინდიაშვილი,მ. მინდიაშვილი(?)	მაზანიშვილი(ტორპედო),ისიანი(თბილისი),დაუშვილი(არსენალი)	
დილა *მერაბ კოჭლაშვილი*			
იბერია *სოსო ფრუიძე*			

IX–XVI	გასხვისებულები	ახალწვეულები	მატჩები
ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	გოგიჩაიშვილი (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), დ. ჯანელიძე, დოლაბერიძე (?)	ლომაია(დინამო),კვარაცხელია, ზ.ხიზანიშვილი (თბილისი),ხუროძე(სკონტო,ლატვია),ძოძუაშვილი(სამგურალი),რ. ახალკაცი(შუმენი,ბულგარეთი),გამცემლიძე(ტრავმის გამო არ თამაშობდა),დ. გოდერძიშვილი(სიონი),პარამონოვი(თბილისი 2),კ.ალადაშვილი,მაზიაშვილი(ვიტ ჯორჯია),ჯულელი(მეტალურგი,ლიპეცკი,რუსეთი)	დინამო 2:1
გორდა *იასონ ალადაშვილი*			
თსუ *თენგიზ კაცია*	მერლანი,ახალაძე(ვიტ ჯორჯია),ნინუა(?)	ფუტკარაძე(ინტერი),ჯავახიშვილი(განთიადი),ნანიშვილი(ცხუმი),სულავა(ნორჩი დინამოელი)	ვიტ ჯორჯია 4:6
მერანი *უმწვრთნელოდ*			
თბილისი *რამაზ შენგელაძე*	ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე (დინამო), კვარაცხელია, ზ. ხიზანიშვილი(ლოკომოტივი),აბრამიძე(ტორპედო,მოსკოვი,რუსეთი),ისიანი(სიონი),ლ. მელქაძე(ვიტ ჯორჯია),ვ. გაგუა(სკონტო,ლატვია)	გონჩაროვი (არსენალი),ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი)	დინამო 5:10
სამგურალი *იასონ ბზიკაძე*	ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი.ხაჭაპურიძე(ვიტ ჯორჯია),პეტრიაშვილი(ბათუმი),კოპალიანი(XXI საუკუნე)	კ. ჯანაშია (ტორპედო), გაბუნია(მეტალურგი),გ. ჯანელიძე(ტრავმის გამო არ თამაშობდა)	
ხობი *ვრიდონ ვოჟვარიძე*			
არსენალი *მამუკა გუგეშაშვილი*	ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (თბილისი), ლაცაბიძე (სპარტაკი, ვარნა, ბულგარეთი), დაუშვილი(სიონი)		

შენიშვნა: ტრანსფერთა დიდი ნაწილი საბოლოო არ არის

ერთი ქვეყანა, ერთი ფედერაცია

№9

ილეთა ჭრიჭვილი

იოზეფ ბლატერი მოსკოვში

ფიფას გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი ვენიდან მოსკოვს 14 მარტს ჩაფრინდა. მეც იმავე დღეს ჩავედი მოსკოვში, ოღონდ — თბილისიდან. იმ ვარაუდით, რომ ბლატერისა და საქართველოს ოფიციალური დელეგაციის არაოფიციალურ შეხვედრაზე დასწრებას მოვახერხებდი.

არ გამიმართლა. ჟურნალისტებს თავაზიანი უარი გვითხრეს, მოგვიანებით კი პრესკონფერენციაზე მიგვიწვიეს, რომელიც სსრ კავშირის სპორტკომიტეტში გაიმართა. ეს გახლდათ მოსკოვში ბლატერის ოცდაოთხ საათიანი ვიზიტის ბოლო „გაჩერება“.

„აქ, მოსკოვში, ორი საკითხის გასარკვევად ჩამოვედით. ერთი ეხება სერიოზულ უთანხმოებას საბჭოთა ფეხბურთის მმართველობაში, მეორე — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას“ — დასაწყისშივე აღნიშნა ბლატერმა. მაგრამ, ვიდრე პრესკონფერენციის ჩანაწერს შემოგთავაზებდეთ, ნოდარ ახალკაცს მოვუსმინოთ:

„მოსკოვში იოზეფ ბლატერის შესაძლო სტუმრობის ამბავი კარგა ხნით ადრე შევიტყვეთ და, ცხადია, ამისთანა შემთხვევას ხელიდან ვერ გავუშვებდით. საჭირო იყო ფიფას გენერალურ მდივანთან უშუალო შეხვედრა და პოზიციების მოსინჯვა. ჩვენს დელეგაციას სათავეში ჩაუდგა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა ლორთქიფანიძე. ბლატერი მოსკოვში მარტო არ ჩამოსულა. თან ახლდა ფიფას აღმასკომის წევრი, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, ესპანელი პაბლო პორტა. ცხადია, ფიფას ოფიციალურ წარმომადგენლებთან საქართველოს დელეგაციის შეხვედრა მოსკოველ მასპინძელთა პროგრამით გათვალისწინებული არ ყოფილა. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა და სხვებმა, ჩვენი სურვილი რომ გავუმჟღავნეთ, შორს დაიჭირეს, მაგრამ როცა საქმეში რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ჩაერია, პრობლემა მოგვარდა...

საუბარი საკავშირო სპორტსახკომში გაიმართა. კოლოსკოვიც გვესწრებოდა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს. შესავალი სიტყვა ბატონმა ვაჟამ წარმოთქვა, სტუმრებს გააცნო საერთო ვითარება და განუმარტა, რომ საქართველოს სპორტის, კერძოდ, ფეხბურთის დამოუკიდებლობა არ ეწინააღმდეგება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, პირიქით, ეს გარდაქმნის რეალური შედეგია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კი ამ გადაწყვეტილების მიღებისას უწინარესად სპორტული პრინციპებით ხელმძღვანელობდა და არა პოლიტიკურით. ბლატერმა პასუხად ფიფას წესდება დაგვიდო წინ — ჩვენი ყველა გადაწყვეტილება ამ დოკუმენტს ემყარებაო. მართალი გითხრათ, სხვა პასუხს არც ველოდით. აშკარად გამოჩნდა, რომ ბლატერიც და პორტაც საგანგებოდ „მოემზადებინათ“ ამ შეხვედრისათვის. ისიც გაირკვა, რომ მათ საქართველოზე აქამდე თითქმის არაფერი სმენიათ. ჩვენც ვთქვით, რომ საქართველო, კონსტიტუციის თანახმად, წუვერენული სახელმწიფოა და, მაშასადამე, ყველა ის უფლება აქვს, რაც დამოუკიდებელ ქვეყანას უნდა ჰქონდეს. აქვე დავუსაბუთეთ, რომ ეროვნული ჩემპიონატი ხელს შეუწყობს ქართველი ფეხბურთის განვითარებას. ისიც ვუთხარით, რომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გახსნას 80 ათასი მაყურებელი დაესწრება და თავაზიანად მოვიპატიჟეთ თბილისში.

ბლატერი ყურადღებით გვისმენდა. ყველაფერი ჩაიწერა, ბოლოს თქვა: მოხარული ვარ, რომ შეგხვდით, თქვენი საუბრიდან შევიტყვე, რომ საქართველოში ფეხბურთის საქმე კარგად ყოფილა ორგანიზებული. მივესალმები თქვენს ცდას. ფიფაში საკითხებს მარტო ჩვენ არ ეწყვეტთ, მოგვმართეთ ციურიხში, ჩვენს შტაბ-ბინაშიო.

ამ შეხვედრის ყველა წვრილმანზე არ შეეჩერდები. ეს იყო უთუოდ სასარგებლო საუბარი, ასე ეთქვათ, პირველი რაუნდი, რომელმაც დამარწმუნა: ფიფას პოზიციაში არაერთი სუსტი ადგილია და თუ მაგრად დავდგებით, მოვიახლოებთ ჩვენს შორეულ მიზანს“.

...პრესკონფერენცია ვიაჩესლავ კოლოსკოვმა გახსნა, ჟურნალისტებს სტუმრები წარუდგინა და მიკროფონი ბლატერს დაუთმო.

ბლატერი: „ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია, რომ საბჭოთა ფეხბურთში სერიოზული ორგანიზაციული პრობლემებია. მე და ბატონი პორტა სწორედ ამასთან დაკავშირებით ჩამოვედით. ვიმედოვნებთ, საბჭოთა ფეხბურთის ფედერაციას დავეხმარებით მტკივნეული საკითხების მოგვარებაში.

ფიფა, როგორც იცით, 166 ეროვნულ ფედერაციას აერთიანებს. წესდებასა და რეგლამენტში ზუსტად არის განსაზღვრული მათი უფლება-მოვალეობანი. ეროვნული ფედერაცია ვალდებულია კონტროლი გაუწიოს ფეხბურთის საქმეებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. გუშინ განვიხილეთ საქართველოს ფეხბურთის საკითხი, განვმარტეთ ჩვენი პოზიცია, თუ რატომ არის შეუძლებელი ამ ვითარებაში ფიფაში გაწევრიანება. თუ ამის თაობაზე კონკრეტული კითხვა გაქვთ, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე გიპასუხებთ“.

ჟურნალი „სპორტივნიე იგრი“: „თქვენ ბრძანეთ, რომ დასახმარებლად ჩამოხვედით. ძალიან კარგი, მაგრამ მინდა გკითხოთ: საბჭოთა ფეხბურთს ათწლეულობით საბჭოთა სახელმწიფო მართავდა და არა ფეხბურთის სამმართველო ან ფედერაცია. საინტერესოა, აქამდე სად იყო ფიფა, რატომ ვერ აშჩევდა იმას, რომ საბჭოთა ფეხბურთს ყველა ხელმძღვანელობდა სპეციალისტების გარდა...“

ბლატერი: „დიახ, ჩვენ ვიცოდით, რომ ასე იყო. ახლა ვითარება შეიცვალა, ფედერაცია დამოუკიდებელი გახდა. ფიფა მიესალმება ამას“.

გერმანული რადიო: „დღეს პრესაში გამოქვეყნდა ცნობა ლიტვაზე, ალბათ, საქმის კურსში იქნებით. ლიტველებიც უარს ამბობენ საკავშირო შეჯიბრებებზე. საინტერესოა, რა პოზიციას დიკავებს ფიფა?“



იოზეფ ბლატერი

ბლატერი: „სსრ კავშირში დიდი ცვლილებები ხდება. რესპუბლიკები დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. საერთაშორისო პრაქტიკაში ეს ახალი მოვლენა არ არის. გავიხსენოთ თუნდაც იუგოსლავიის ამბები. ფიფა მხოლოდ სპორტულ საკითხებს განიხილავს და პოლიტიკაში არ ერევა. გუშინ ამაზე საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლებსაც ვესაუბრეთ. როცა ქვეყანა დამოუკიდებელია, მაშინ ემსჯელობთ ფიფაში მისი გაწევრიანების თაობაზე.“

საკდესი: „ლიტვა და იუგოსლავია ერთი და იგივე არ არის. იუგოსლავიაში ლაპარაკია კონფედერაციაზე, ლიტვა კი გაიდის სსრ კავშირის შემადგენლობიდან.“

ბლატერი: „ვიმეორებ, საბჭოთა კავშირში ფეხბურთს უძღვება საკავშირო ფედერაცია. თუ რესპუბლიკებს ფიფაში გაწევრიანება სურთ, ეს უნდა გააკეთონ საკავშირო ფედერაციის მეშვეობით“.

უკრაინის რადიო: „როგორც გავიგეთ, ფიფა ჯერჯერობით უარს ეუბნება საქართველოს დელეგაციას. უკრაინამ და ბელორუსიამ რომ მოგმართონ, რა პასუხით გაისტუმრებთ? ორივე ეს რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრია.“

ბლატერი: „საქართველოსგან და თქვენს მიერ დასახელებული რესპუბლიკებისაგან ფიფას ოფიციალური განაცხადები არ მიუღია. ეს არ უნდა მოხდეს საკავშირო ფედერაციის გვერდის ავლით. დამატებით განმარტებას ბატონი პორტა მოგცემთ.“

პორტა: „სსრ კავშირს, როგორც ერთ სახელმწიფო ერთეულს, უფლება აქვს ჰქონდეს მხოლოდ ერთი ეროვნული ფედერაცია. ფიფა, წესდების თანახმად, ვერ აღიარებს მოკავშირე რესპუბლიკის ფედერაციას. თქვენ იცით, რომ არსებობს საერთაშორისო სამყარო, საერთაშორისო სამართალი. ფიფა არ არის უფლებამოსილი, ესა თუ ის რესპუბლიკა დამოუკიდებლად აღიაროს. ეს პოლიტიკური ორგანიზაციების კომპეტენციაა, ჩვენ, ვინც აქ ვსხედვართ, არაფერი შეგვიძლია იმის გარდა, რაც ფიფას წესდებაში წერია. რასაკვირველია, შეიძლება მოვლენები ისე განვითარდეს, რომ ფიფას კონგრესმა გადახედოს თავის წესდებას“.

ფიფასთან პირველმა კონტაქტმა, მართალია, უშედეგოდ ჩაიარა, მაგრამ ბლატერი და პორტა ერთ რამეში უთუოდ დარწმუნდნენ: საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უკან დახევას არ აპირებს და ფიფას, ადრე თუ გვიან, პოზიციათა გადასინჯვა მოუხდება.

ჯერჯერობით კი ყველაფერი ისე მიდის, როგორც კოლოსკოვს და მის თანამზრახველებს სურთ.

საუბარი ვიაჩესლავ კოლოსკოვთან

ერთი თვის შემდეგ, აპრილის შუა რიცხვებში, ისევ მოსკოვს გავემგზავრე, ამჯერად სსრკ ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარესთან ვიაჩესლავ კოლოსკოვთან შესახვედრად. დიალოგი, რომლის ჩანაწერსაც ახლა შემოგთავაზებთ, კოლოსკოვის კაბინეტში შედგა. ვიდრე საქმეს შევუდგებოდით, მან პირადი მდივანი გააფრთხილა ოთახში არავინ შემოუშვაო, ტელეფონები გადართო და მოხერხებულად მოკალათდა სავარძელში.

— *რამდენი დრო დაგჭირდება?*

— *ალბათ, 1 საათი — 1 საათნახევარი.*

— *დამავიწყდა, რა მითხარით, რომელი გაზეთიდან ხართ?*

— *„კომუნისტიდან“. რესპუბლიკის მთავარი პარტიული გაზეთია.*

— *თქვენთან პარტიული გაზეთები კიდევ გამოდის? საქართველოდან ისეთი ხმები მოდის, რომ...*

— *მე კი მეგონა, „საფეხბურთო კონფლიქტის“ შემდეგ საქართველოს ამბები ნაკლებად გაინტერესებდათ.*

— *მითხრეს, ჩემპიონატის გახსნას დიდძალი ხალხი დასწრებია.*

— *ოთხმოცი ათასი. სტადიონი სავსე იყო.*

— *ლანჩხუთში კი, როგორც ვიცი, ათას კაცზე მეტი არ ყოფილა.*

— *ვერ გეყოლიათ რიგიანი ინფორმატორი. ლანჩხუთში [illegible] მატჩზე თორმეტი ათასი მაყურებელი მივიდა. რაკი სიტყვა [illegible] ნა, მე მგონი, მაყურებლის პრობლემა რუსეთში უფრო იგრძნობა...*

— *?*

— *ბატონო ვიაჩესლავ, ახლა მე დაგისვამთ კითხვებს და პირობას გაძლევთ, ამ ინტერვიუს სიტყვა-სიტყვით გამოვაქვეყნებ. სატელევიზიო თუ სავაზეთო გამოსვლებში არაერთხელ გითქვამთ, რომ თქვენთვის მოულოდნელი იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის გადაწყვეტილება...*

— *დიახ, მოულოდნელი იყო და აგიხსნით, რატომ. საკავშირო ფედერაციის პრეზიდენტად რომ ამირჩიეს, ახალკაცმა დამირეკა და მომილოცა. ბევრი ვისაუბრეთ, გამოკითხე, რას აპირებ, რა გეგმები გაქვს-მეთქი. საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლაც შევთავაზე. მაშინ ახალი ზელანდიის ფედერაციასთან გვქონდა მოლაპარაკება. ახალკაცმა მითხრა, ვიფიქრებ და პასუხს შეგატყობინებო... მერე ასათიანი ჩამოვიდა, ენდელაძესა და ყიფიანსაც შევხვდი. გამოყოფაზე სიტყვაც არ თქმულა, ეგ იყო, ასათიანმა გვთხოვა, თუ საკავშირო ფედერაცია წინააღმდეგი არ იქნება, მეორე ლიგის ერთი ზონა დაგვითმეთო. უყოყმანოდ დავთანხმდით. რესპუბლიკურ ფედერაციასაც უნდა ჰქონდეს გარკვეული ავტონომია. რაც შეეხება საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს და პირველ ლიგებს, ამ საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს კომპეტენციაში შედის.*

— *ჩემთვის, ცოტა არ იყოს, გაუგებარია, რა შუაშია აქ ახალკაცი ან ასათიანი. გადაწყვეტილება ყრილობამ მიიღო და არა ცალკეულმა პიროვნებებმა. სხვათა შორის, დამოუკიდებელი ფედერაციის შექმნისა და საკავშირო პირველობებში რესპუბლიკის გუნდების მონაწილეობის მიზანშეწონილობის თაობაზე დისკუსია შარშან შუა სეზონში გაიშალა, გაიმართა არაერთი შეხვედრა, სხდომა და საუბარი. ფეხბურთის სპეციალისტებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაზე განიხილეს საგანგებო განცხადების ტექსტი, რომელსაც, თუ არ ვცდები, თქვენც იცნობთ.*

— ეს განცხადება საქართველოს დელეგაციის წევრებმა საკავშირო ფედერაციის დამფუძნებელი კონფერენციის მსვლელობისას გადმომცეს, თუმცა ტრიბუნიდან არავის არაფერი უთქვამს. არც ერთი კონკრეტული შენიშვნა და წინადადება არ შემოსულა. დღემდე არ ვიცი, წესდების რომელი მუხლის მიმართ ჰქონდათ პრეტენზიები. მართალია, თქვენმა დელეგატებმა წესდების დამტკიცებისას კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი თქვეს, მაგრამ საკავშირო ფედერაციიდან გასვლა არ მოუთხოვიათ. თუ საქართველოში ასეთი საზოგადოებრივი აზრი ჩამოყალიბდა, საქმის კურსში ადრევე უნდა ჩაგეყენებინეთ. ისე კი, ეჭვი მეპარება, რომ მთელი რესპუბლიკა ამგვარი სეპარატისტული ნაბიჯის მომხრე იყოს. თბილისში ბევრი მეგობარი მყავს და ისინი სულ სხვა აზრისანი არიან.

— *კონკრეტულად ვის გულისხმობთ?*

— გვარებს ნუ ჩამომათვლევინებთ, არ არის საჭირო.

— *სეპარატიზმი, იზოლაცია... თხუთმეტი თებერვლის შემდეგ ხშირად გვესმის ეს სიტყვები. საქართველომ მოისურვა თვითონვე განაგოს ქართული ფეხბურთის საქმეები, ადგილზე, სხვათა ჩაურევლად გადაწყვიტოს ფეხბურთის პრობლემები.*

რაში ხედავთ სეპარატიზმს ან რატომ არის ეს იზოლაცია?

— საქართველო, ისევე, როგორც დანარჩენი თითხმეტი რესპუბლიკა, ჯერჯერობით ერთიანი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედის. ამიტომაც ყველა სფეროში, მათ შორის ფეხბურთშიც გადამწყვეტი სიტყვა საკავშირო ორგანოებს ეკუთვნით. ვინც ამ მთავარ პრინციპს არ ემორჩილება, სწორედ რომ სეპარატიზმის გზას ადგა. იმას, რაც თქვენი ფედერაციის ყრილობაზე მოხდა, ჩემი ღრმა რწმენით, სპორტთან, ფეხბურთთან არავითარი კავშირი არა აქვს. ეს უკვე პოლიტიკაა. ფეხბურთის მეშვეობით პოლიტიკური საკითხების მოგვარება კი აკრძალული ხერხია. სპორტში მხოლოდ სპორტული პრინციპებით უნდა ვხელმძღვანელობდეთ. მე, ასე თუ ისე, მესმის ლიტველებისა, რომლებმაც ჯერ პოლიტიკური დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და ამის შემდეგ გავიდნენ ჩვენი ფედერაციიდან. საქართველოში სხვა სიტუაციაა.

ინტერვიუს დასასრული შაბათის „სარბიელში“

ვიაჩესლავ კოლოსკოვი

სარბიელის არქივიდან

ხოსე შამოტი

შამოტი იტალიაში ბრუნდება

მადრიდის „ატლეტიკოს“ არგენტინელმა მცველმა, ხოსე ანტონიო შამოტმა იტალიის ჩემპიონ „მილანთან“ ორწელიწად-ნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. ამრიგად, ესპანეთში გატარებული ორი წლის შემდეგ არგენტინელი იტალიაში დაბრუნდა.

პროფესიული კარიერის საწყისი 7 წელი შამოტმა სწორედ აპენინებზე გაატარა, სადაც იგი თავიდან „პიზას“, შემდეგ „ფოჯას“, ბოლოს კი „ლაციოს“ ღირსებას იცავდა. მადრიდის „ატლეტიკოში“ შამოტი 1998 წელს სწორედ რომაული კლუბიდან გაღაბარგდა. მაშინ ესპანურმა გუნდმა იტალიელებს 1,2 მილიონი დოლარი გადაუხადა.

ამჟამად 30 წლის შამოტის ფასი საფეხბურთო ბაზარზე თითქმის სამჯერ გაიზარდა, რადგან არგენტინელის შეძენა იტალიის ჩემპიონს 3,65 მილიონი დოლარი დაუჯდა.

„მილანსა“ და „ატლეტიკოს“ შორის ურთიერთობები ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაუმჯობესდა, რასაც ამ ცოტა ხნის წინ „ატლეტიკოს“ ახალგაზრდა ფორვარდის, ხოსე მარის მილანურ კლუბში გადასვლამ შეუწყო ხელი. შეგახსენებთ, რომ თვეც არ გასულა, რაც ესპანელი „მილანმა“ 19,4 მილიონ დოლარად შეიძინა. ხოსე მარი ახალ კლუბში ბრწყინვალე დებიუტით გამოირჩა და პირველსავე შეხვედრაში შეცვლაზე ბასულმა „რომას“ გოლი გაუტანა.

როგორც პრესა იუწყება, ორი წარმატებით განხორციელებული შეთანხმების აღსანიშნავად „მილანი“ და „ატლეტიკო“ უახლოეს მომავალში ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ.

საბი დასკვნა დინო ძოფისაგან

იტალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატისკენ გზა ბოლოწამს გაიკვალა. ბელგია — ჰოლანდიის საგზური „სკუადრა აძურას“ ბელარუსში, ყოვლად უნიჭო შეხვედრაში ერგო. ის მატჩი 0:0 დასრულდა, რის შემდეგაც ლეჩეში ჩატარებულ ამხანაგურ შეხვედრაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს ბელგიამ აჯობა 1:3 და კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ გუნდს როგორც საფეხბურთო, ასევე ფინანსური საქმეები ცუდად მიუდის.

დადგენილია, ბელგიასთან თამაშის ცქერა ათ მილიონამდე იტალიელმა დაიწყო, რომელთაგან ორ მილიონზე მეტმა ერთი ხნის შემდეგ სხვა არხზე გადართო — ძოფის ვაგლახს შაბათის ფილმი ჯობდა.

სტადიონზეც ერთობ სავალალო სურათი გამოიკვეთა. სულ რაღაც 10 ათასი მაყურებელიდან უმეტესობამ შეხვედრის ბოლოს სტვენა-გნიასი და „ფულს მიყიდული სამაგლების“ ძახილი დაიწყო. ამის შემყურე ფეხბურთელებმა მდგომარეობის გამოსწორება სცადეს.

ფაბიო კანავარო, მცველი: „გულშემატკივრები ასე არ უნდა გაბრაზებულიყვნენ, ამხანაგურ შეხვედრებში ხომ შეცდომები ხშირია.“

მაგრამ, სანამ ფეხბურთელები დამარცხების მიზეზებს ეძებდნენ და ფილოსოფოსობდნენ, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში იგრძნეს, რომ მათ გეგმებს საფრთხე ემუქრება. საქმე ისაა, რომ ფედერაცია მდიდრული სატელევიზიო და სპონსორული კონტრაქტების გაფორმებას აპირებს, რისთვისაც უახლოეს ამხანაგურ შეხვედრაში „სკუადრა აძურას“ გამარჯვება სჭირდება. უახლოესი ამხანაგური შეხვედრა 23 თებერვალს შვეიცარიის ნაკრების წინააღმდეგ გაიმართება.

გავიხსენოთ იტალიაში გამართული ბოლოს წინა მატჩის შედეგიც. იგი ნეაპოლში გაიმართა და დანიელთა გამარჯვებით 3:2 დასრულდა. გამოდის, რომ „სკუადრა აძურამ“ შინ ზედიზედ ორი თამაში წააგო, ასეთი რამ კი 1985-86 წლების შემდეგ არ მომხდარა. 1985 წლის ნოემბერში იტალია ნორვეგიასთან დამარცხდა, 1986-ის თებერვალში კი გფრ-სთან, მაგრამ მაშინ ამას დიდი ტრაგედია არ მოჰყოლია, რადგან ჯერ ერთი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი გახლდათ და მეორეც, მას ლეგენდარული ენცო ბეარზოტი ედგა სათავეში.

ბელგიელებთან შეხვედრის კომენტარში ნაკრების დღევანდელმა მწვრთნელმა, დინო ძოფმა განაცხადა: „არ ვეთანხმები აზრს, რომ ძალიან ცუდად ვითამაშეთ. მოწინააღმდეგეს სამი საგოლე მომენტი ჰქონდა და სამივე გამოიყენა. ჩვენი უდიდესი პრობლემა ჩვენი წილი შესაძლებლობების გამოუყენებლობა გახლდათ.“



დინო ძოფი

ობიექტურად რომ ვთქვათ, ბელგიას მართლაც გაუმართლა. იტალია გაცილებით ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა, თუმცა მეტოქე გაცილებით ერთსულოვნად მოქმედებდა და საკუთარ ძალებშიც, თითქოს, უფრო დარწმუნებული იყო.

ძოფი ევრო 2000-ის მოახლოების კვალდაკვალ სულ მეტი და მეტი ზეწოლისა და ზედამხედველობის ქვეშ ექცევა, ბელგიელებთან დამარცხებამ კი სულ მცირე სამი დასკვნა შვა:

პირველი ის, რომ თანამედროვე იტალიელ მოთამაშეებს ოსტატობა აკლიათ და თუ კრისტიან ვიერის, ალესანდრო ნესტასა და პაოლო მალდინის ძირითად შემადგენლობაში გამოსვლა გარანტირებული არ ექნებათ, იტალიის ნაკრები შესაძლოა ძალიან დიდ სირთულეებს წააწყდეს.

მეორე დასკვნა ასეთია: ძოფის გუნდი მის მიერ გამოყენებულ უკლებლივ ყველა ტაქტიკურ სქემაში თავს საეჭვოდ გრძნობს. ერთადერთი განლაგება, რომელიც გუნდს არგია, 4-4-2 გახლავთ, რომელსაც ძოფი „იუვენტუსსა“ და „ლაციოში“ მუშაობის დროს მიმართავდა.

მესამე: თუ „რომას“ გამოამაშებელი ფრანჩესკო ტოტი თავის ნიჭს ბოლომდე გამოამჟღავნებს, მაშინ მისი ნახევარდაცვის მარჯვენა ან მარცხენა ფრთაზე მიჯაჭვა ყოვლად დაუშვებელი იქნება.

„გუნდის საბოლოოდ ასაწყობად წინ კიდევ ხუთი თვე გვაქვს“ — ამბობს ძოფი და, ალბათ, უპირატესად სამი პირველი ვიოლინოს, ძალდინის, ნესტასა და ვიერის ოპტიმალურად დატვირთვას ცდილობს.

ბედი ეგნიუ

„უორლდ სოკერი“

საქმის გარჩევა მილგარტში

ჯონათან ვუდგეიტი

ლი ბოუერი

ისტორია, რომელსაც ქვემოთ მოგითხრობთ, წინა სამშაბათს საღამოს მხიარულად დაიწყო და გამთენიისას სავალალოდ დასრულდა.

მოქმედი პირნი: ჯონათან ვუდგეიტი, 19 წლის, „ლიდს იუნაიტედის“ მცველი; ლი ბოუერი, 23 წლის, ასევე „ლიდსის“ მოთამაშე; აზიელი მამაკაცი, 19 წლის, ვინაობა უცნობია.

მოქმედების ადგილი: მილგარტი (უბანია ლიდსში), დასავლეთ იორკშირის საგრაფო.

ამონაწერი პოლიციის ოქმიდან: 12 იანვარს, 24:45 საათზე ჯონათან ვუდგეიტი და ლი ბოუერი მილგარტში მდებარე ღამის კლუბში შევიდნენ. თუ იქ გატარებულ დროს გავითვალისწინებთ (ისინი კლუბიდან გამთენიისას გამოვიდნენ), აღნიშნული პირები საკმაოდ შეზარხოშებულნი უნდა ყოფილიყვნენ. ქუჩაში ვუდგეიტს და ბოუერს შელაპარაკება მოუხდათ აზიური წარმოშობის მამაკაცთან (რომელიც გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეა) და მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ამონაწერი სამედიცინო დასკვნიდან: 13 იანვარს, გამთენიისას, კლინიკაში მოიყვანეს აზიელი მამაკაცი. მას აღენიშნება მრავალრიცხოვანი ტრავმა თავის არეში. მდგომარეობა მძიმე, მაგრამ სტაბილურია.

ამონაწერი პოლიციის ოქმიდან (გაგრძელება): შემთხვევის ადგილას დაუყოვნებლივ მივიდნენ პოლისმენები. დაზარალებული ჰოსპიტალში გადაიყვანეს, ხოლო ეჭვმიტანილები დაკავეს. შელაპარაკების მიზეზი ჯერჯერობით დაუდგენელია. დაზარალებულის დაკითხვა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება. წინასწარი მონაცემებით რასიზმის გამოვლენასთან არ გვაქვს საქმე. ჰყავდათ თუ არა ეჭვმიტანილებს თანამზრახველები, უცნობია.

„ლიდს იუნაიტედის“ თავმჯდომარის, პიტერ რიდსდეილის განცხადება (გაკეთებული აღნიშნული ინციდენტის შემდეგ): დარწმუნებული ვარ, ვუდგეიტი და ბოუერი მთვრალები იყვნენ და ეს უღირსი საქციელიც იმიტომ ჩაიდინეს. სიმთვრალე მათ არ ამართლებთ. ისინი საკადრისად უნდა დაისაჯონ.

სინანულით აღვნიშნავ, რომ მათ კლუბისთვის დიდი სარგებლობა მოჰქონდათ და ახლა, როდესაც „ლიდსი“ ჩემპიონობისთვის იბრძვის, მეგობრებს ულალატეს.

ამონაწერი ვუდგეიტის და ბოუერის პირადი საქმეებიდან: ჯონათან ვუდგეიტი „ლიდსის“ ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეა. მიმდინარე სეზონში მან უკლებლივ ყველა მატჩში ითამაშა. ინგლისის ნაკრების რიგებში ერთი შეხვედრა ჩაატარა. ლი ბოუერი ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტანია. „ლიდსის“ ნახევარმცველს მიმდინარე სეზონში მხოლოდ სამი მატჩი გაუცდა.

მშრალი ფაქტები ასეთია. ვფიქრობთ, ამ ისტორიას გაგრძელებაც ექნება.

გიორგი დარჯანია

ვერეტენიკოვი კონტრაბანდაში ამხილეს

ვოლგოგრადის „როტორის“ კაპიტანი ოლეგ ვერეტენიკოვი მოსკოვის საერთაშორისო აეროპორტის საბაჟო დეპარტამენტმა ქვეყნის გარეთ ვალუტის უკანონო გატანაში ამხილა. პოლიციის ცნობით, ფეხბურთელი საბერძნეთში მიფრინავდა და ოფიციალურ დეკლარაციაში 500 დოლარი ეწერა, როცა სინამდვილეში თან 2 500 დოლარი მიჰქონდა. „ვერეტენიკოვს თანხა ოფიციალურად ჩამოერთვა, რადგან ფული ფარულად გადაჰქონდა. მართალია, მას ფული დიდი რაოდენობით არ ჰქონია, მაგრამ კანონი დარღვია“ — იუწყება პოლიციის შესაბამისი სამსახური.

როგორც მოვახსენეთ, ფეხბურთელი საბერძნეთის ქალაქ სალონიკში მიემგზავრებოდა, სადაც ადგილობრივ კლუბ „არისთან“ კონტრაქტი უნდა გაეფორმებინა. მისი შეძენით ადრე ესპანეთის მეორედივიზიონელი „ოსასუნა“ იყო დინტერესებული, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა.

ვერეტენიკოვი 1998 წელს კრიმინალური თავდასხმის მსხვერპლი გახდა. მაშინ რკინის ხელკეტებით შეიარაღებული რამდენიმე ადამიანი დაესხა თავს და სასიკვდილოდ სცემა. როგორც შემდგომში გაირკვა, ფეხბურთელი იმჟამინდელი კლუბის — „ურალმაშის“ დატოვებას აპირებდა, რითაც ადგილობრივი ფანები გაანაწყენა.

ესპანეთი

XX ტური

რეალი 2:1 მალიორკა

0:1 რომერიტო რუისი (37), 1:1 რაული (83), 2:1 რობერტო კარლოსი (91)

რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო, იერო, რობერტო კარლოსი, კარემბუ (მეკა 46), რედონდო, ივან ელგერა, მაკმანამანი (ოგნიენოვიჩი 60), სავიო (მანუელ სანჩისი 90), მორიენტესი, რაული

მალიორკა: ლეო ფრანკო, სერისუელა, ფერნანდო ნინიო, სივიერო, დავიდი, ნოვო (გაბრიჩი 93), ჩიჩი სოლერი, ნადალი, იბაგასა (კორდერო 90), რომერიტო რუისი, კარლოსი (დიეგო ტრისტანი 52)

გაფრთხილება: იბაგასა, მიჩელ სალგადო, რედონდო, ნადალი, დიეგო ტრისტანი, მანუელ სანჩისი, ივან ელგერა, სივიერო, იერო

გაძევება: იერო (63)

მსაჯი: ბრიტო არსეო

ბრაზილიაში გამართული მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატიდან არცთუ მთლად ძლევამოსილად დაბრუნებულმა მადრიდის „რეალმა“, ისე, რომ ნორმალურად არც შეუსვენია, ესპანეთის პირველობის მორიგი ტურის შეხვედრაში „მალიორკას“ უმასპინძლა. მატჩს ერთი საინტერესო სტატისტიკური ფაქტი უძღოდა წინ. მალიორკელებს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჯერ არასდროს მოეგოთ. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. სამეფო კლუბმა კუნძულელები 2:1 დაამარცხა, თუმც კი სამი ქულის მოპოვება ერთობ გაუჭირდა. „მალიორკა“ თამაშს მთელი 83 წუთის განმავლობაში იგებდა და „რეალმა“ გამარჯვება მხოლოდ დარჩენილ 7 წუთში გამოსტაცა ხელიდან. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ სტუმრებმა მეორე ტაიმის თითქმის ნახევარი რიცხობრივ უპირატესობაში გაატარეს. 63-ე წუთზე მადრიდელთა გამოცდილმა კაპიტანმა ფერნანდო იერომ მეტოქე დიეგო ტრისტანთან ორთაბრძოლაში მეორე ყვითელი ბარათი დაიმსახურა და მოედნის ნაადრევად დატოვება მოუხდა. მაგრამ „მალიორკამ“ ეს ჩინებული შანსი ქარს გაატანა.

როგორც მოგახსენეთ, ანგარიში სტუმრებმა გახსნეს: 37-ე წუთზე მალიორკელმა ალვარო ნოვომ ლამაზი გარღვევა განახორციელა და საგოლეპასი მიაწოდა თანაგუნდელ რომერიტო რუისს, რომელმაც „რეალის“ კარი იოლად დალაშქრა. იმავე რომერიტოს ანგარიშის გახსნა მანამდეც შეეძლო, მაგრამ მისი თავური დარტყმა „რეალის“ კარს ოდნავ ასცდა.

ამის შემდეგ „რეალის“ ჯერ თერთმეტი, ხოლო შემდეგ ათი ფეხბურთელი ბევრს ეცადა, მაგრამ 83-ე წუთამდე ანგარიში ვერაფრით შეცვალა. აქ კი ისევ სამეფო კლუბის ოქროს ბიჭუნამ — რაულმა გაიბრწყინა, რომელმაც თავისი გუნდი სამარცხვინო მარცხისგან უკვე მერამდენედ იხსნა. უფრო მეტიც, „რეალს“ გოლმა ფრთები შეასხა და გუნდმა დარჩენილი დრო შეტევაში გაატარა. „მალიორკამ“ ზეწოლას ვერ გაუძლო და მსაჯის მიერ დამატებულ დროში საკუთარ კარში მეორე ბურთი მიიღო.

ამ მუტად საჭირო მოგებამ „რეალის“ სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გააუმჯობესა. ახლა კლუბი გათამაშების ცხრილში მე-11 ადგილზე იმყოფება და ლიდერ „დეპორტივოსთან“ 11 ქულა აშორებს, თუმც სხვებთან შედარებით ორი შეხვედრით ნაკლები აქვს ჩატარებული.

რაც შეეხება „მალიორკას“, მას „რეალის“ მსგავსად 26 ქულა აქვს და მე-12 პოზიციაზეა.

მადრიდელი რაული (მარცხნივ) მალიორკელი გუსტავო სივიეროს წინააღმდეგ

დეპორტივო	20	11	4	5	34:24	37
სარაგოსა	20	9	8	3	36:20	35
ბარსელონა	20	10	4	6	41:27	34
სელტა	20	10	2	8	30:27	32
რაიო ვალეკანო	20	9	3	8	29:28	30
ბილბაო	20	7	8	5	30:30	29
ალავესი	20	8	5	7	24:24	29
ვალენსია	20	7	6	7	27:22	27
მალაგა	20	7	6	7	33:31	27
ნუმანსია	20	7	6	7	28:33	27
რეალი	18	6	8	4	31:30	26
მალიორკა	20	7	5	8	26:26	26
ბეტისი	19	8	2	9	19:30	26
ატლეტიკო	20	7	3	10	32:34	24
ვალიადოლიდი	19	6	6	7	18:23	24
რასინგი	20	5	8	7	32:31	23
ესპანიოლი	20	6	5	9	29:31	23
სოსიედადი	20	4	9	7	21:25	21
ოვიედო	20	5	6	9	21:34	21
სევილია	20	3	8	9	22:33	17

პორტუგალია

XVII ტური

პორტუ 2:0 ჟილ ვისენტე

1:0, 2:0 ჟარდელი (16, 69პ)

ჩემპიონატის მორიგი მე-17 ტური გასულ უქმეებზე გაიმართა. ერთადერთი შეხვედრა ლიდერმა „პორტუმ“ და „ჟილ ვისენტემ“ ორშაბათს გამართეს. პორტუელებს მეტოქის დამარცხება არ გასჭირვებიათ. შედეგად მათ 17 შეხვედრიდან 40 ქულა დააგროვეს.

მატჩი 2:0 დასრულდა და ორივე გოლი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა მარიო ჟარდელმა გაიტანა. ამრიგად, საერთო ჯამში მას 25 ბურთი დაუგროვდა და ბომბარდირთა დავას საკმაოდ დიდი უპირატესობით ლიდერობს. მის უახლოეს მდევართა დუეტს — მარიტიმუელ რამოსსა და ამადორელ გომეშს მხოლოდ 10-10 გოლი აქვთ გატანილი.

„პორტუ“ და ლისაბონის „სპორტინგი“ ჩემპიონატში უკვე საკმაოდ დაწინაურდნენ. „პორტუს“ შესახებ მოგახსენეთ, „სპორტინგს“ კი 17 შეხვედრიდან 37 ქულა აქვს. მათი უახლოესი მდევარი ლისაბონის „ბენფიკაა“, რომელსაც ასევე 17 მატჩიდან 32 ქულა დაუგროვდა.

მომდევნო ტურში საკმაოდ საინტერესო დაპირისპირება შედგება, „პორტუ“ საკუთარ კედლებში „ბოავიშტას“ უმასპინძლებს, რომელიც ამჟამად 30 ქულით მე-5 ადგილზეა.

REUTERS პორტუგალ

პორტუელი ბომბარდირი მარიო ჟარდელი

პორტუ	17	12	4	1	37:8	40
სპორტინგი	17	11	4	2	28:14	37
ბენფიკა	17	9	5	3	23:12	32
გიმარაეში	17	9	4	4	27:19	31
ბოავიშტა	17	9	3	5	19:13	30
მარიტიმუ	17	8	5	4	22:14	29
ბელენენსეში	17	6	7	4	20:14	25
ჟილ ვისენტე	17	7	3	7	22:20	24
ამადორა	17	6	6	5	19:18	24
ალვერკა	17	7	2	8	20:23	23
კამპომაიორენსე	17	5	4	8	16:24	19
ბრაგა	17	5	3	9	19:23	18
რიუ ავე	17	4	5	8	19:28	17
სალგეირუში	17	5	2	10	13:23	17
სანტა კლარა	17	3	6	8	20:26	15
ფარენსე	17	2	8	7	12:31	14
ლეირია	17	2	6	9	13:23	12
სეტუბალი	17	2	5	10	12:28	11

იტალია

სერია B

სავოია 1:1 ვიჩენცა

0:1 კომანდინი (28), 1:1 ჟირარდელო (37პ)

ფეხბურთის რუკასთან

ჰოლანდიის ნაკრები 26 აპრილს, ქალაქ არნემში, შოტლანდიის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. ჰოლანდიელებს მსოფლიოს ჩემპიონ ფრანგებთანაც უნდა ეთამაშათ, მაგრამ რადგან ეს ორი გუნდი მომავალი ევროპის ჩემპიონატის ჯგუფში ერთად მოხვდა, მათი შეხვედრა გადაიდო. შეგახსენებთ, რომ ფრანგებისა და ჰოლანდიელების გარდა D ჯგუფში ჩეხეთისა და დანიის ნაკრებები იასპარეზებენ.

რუსეთის ნაკრებისა და ესპანური სანტანდერის „რასინგის“ თავდამსხმელმა ვლადიმირ ბესჩასტნიხმა ქვეყნის ეროვნული ნაკრების დატოვება გადაწყვიტა. ფეხბურთელმა „რასინგის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი კარგა ხანია, დაკარგა, სულ ახლახან კი ნაკრების მთავარ მწვრთნელ ოლეგ რომანცევსაც სთხოვა, გუნდიდან გაეშვა. ამას რუსული გაზეთი „სპორტ-ექსპრესი“ იუწყება. ბესჩასტნიხს რუსეთის ნაკრებში 42 შეხვედრა ჩაუტარებია. მიმდინარე სეზონში „რასინგის“ რიგებში იგი მხოლოდ შვიდჯერ გამოჩნდა და გულშემატკივარს თავი ვერაფრით დაამახსოვრა. ესპანური კლუბის ხელმძღვანელობის განცხადებით, ბესჩასტნიხი გუნდის შემადგენლობაში ვეღარასოდეს მოხვდება და უახლოეს მომავალში, ალბათ, გაყიდიან კიდეც.

სლოვენიის ნაკრებისა და ბერძნული „ოლიმპიაკოსის“ ნახევარმცველი ზლატკო ზაჰოვიჩი უახლოეს მომავალში სლოვენიიდან ათენში დაბრუნდება და თავის კლუბს შეუერთდება. შეგახსენებთ, რომ „ოლიმპიაკოსის“ მიერ 15,8 მილიონ დოლარად შეძენილ ფეხბურთელს შარშან ოქტომბერში გუნდის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი მოუვიდა, თუმც ახლა მას კვლავ ათენში დაბრუნება სურს. ზაჰოვიჩი კლუბის მფლობელის ვაჟთან, პეტროს კოკალისთან შეხვედრას აპირებს.

ესპანურმა „რაიო ვალეკანომ“ ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, მარკ დრიეპერი ითხოვა. ბრიტანელი ესპანეთში სეზონის ბოლომდე დარჩება, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ კლუბს მისი საბოლოოდ შეძენა შეუძლია. „ვიმედოვნებთ, რომ დრიეპერი მადრიდში ამ დღეებში ჩამოვა. ჩვენ იგი სეზონის დასასრულამდე ვითხოვეთ, თუმც არ გამოვრიცხავთ, უფრო ხანგრძლივი ვადითაც დავიტოვოთ“ — განაცხადა „რაიო ვალეკანოს“ პრესსატაშემ. დრიეპერი მეორე პრემიერლიგელი ფეხბურთელია, რომელიც „რაიო ვალეკანოში“ ითამაშებს. მადრიდულმა კლუბმა „ლესტერიდან“ ამერიკელი მეკარე კეისი კელერი გადაიბირა.

ჰოლანდიის მეორე დივიზიონში მოთამაშე „ვოლენდამის“ ფეხბურთელებმა და ხელმძღვანელებმა სამედიცინო შემოწმება გაიარეს. საქმე ისაა, რომ გუნდის წევრი რენე ბინკენი ტუბერკულოზითაა დაავადებული და მინიმუმ სამ კვირას შინ გაატარებს. ამ ამბით შეშფოთებულმა გუნდის მთელმა პერსონალმა საკუთარი ჯანმრთელობა გააკონტროლა, თუმც, საბედნიეროდ, ინფიცირებული არავინ აღმოჩნდა.

იტალიური „ტორინოს“ ფრანგი ფეხბურთელი ჯიბრილ დიავარა უახლოეს მომავალში შესაძლოა ინგლისურ „სანდერლენდში“ გადავიდეს. ტურინული კლუბის განცხადებით, „სანდერლენდის“ თავკაცი პიტერ რიდი დიავარასთან მოლაპარაკებებს თვის დასაწყისიდან აწარმოებს. პრემიერლიგის ახალწვეულმა გუნდმა მიმდინარე სეზონი ერთობ წარმატებულად დაიწყო, თუმც ბოლო ხანს თამაშს აშკარად უკლო და უკანასკნელ ხუთ შეხვედრაში ოთხჯერ დამარცხდა. „სანდერლენდის“ ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ დიავარა კლუბს ძალიან გამოადგება. ფეხბურთელის პროფესიული დებიუტი 1994-95 წლების სეზონში შედგა. მაშინ იგი ფრანგული „ლე ავრის“ ღირსებას იცავდა. ამის შემდეგ ორი წელი მან „მონაკოში“ გაატარა, მიმდინარე სეზონის დასაწყისიდან კი „ტორინოში“ ასპარეზობს. ჯიბრილ დიავარას არავითარი ნათესავური კავშირი არა აქვს კაბა დიავარასთან, რომელიც გასულ სეზონში „არსენალში“ თამაშობდა, ახლა კი „მარსელის“ ღირსებას იცავს.

ესპანეთში სატრანსფერო სეზონის დახურვამდე მადრიდის „რეალმა“ ორი ფეხბურთელი გაანათხოვრა. კამერუნელი ფორვარდი სამუელ ეტოო „რეალ მალიორკას“ რიგებს შეუერთდა, ხოლო ხორვატი რობერტ იარნი ესპანეთის მეორედივიზიონელ „ლას პალმასში“ გადაბარგდა. ვერც ეროი მათგანი „რეალის“ შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, ამიტომ სამეფო კლუბმა მათი დროებით განათხოვრება ამჯობინა. კიდევ ერთ პრემიერადივიზიონელ კლუბს — ვიგოს „სელტას“ ახალი შენაძენი ჰყავს — სატრანსფერო სეზონის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე, ჰოლანდიური „ვალვაიკიდან“ ფორვარდი რიკ ჰუგენდორპი გადაიბირა.

ესპანურმა „ესპანიოლმა“ არგენტინელი მთავარი მწვრთნელი მიგელ ანელ ბრინდიზი გაათავისუფლა. ახალი თაკკაცის დანიშვნამდე გუნდს მისი თანაშემწე პაკო ფლორესი გაწვრთნის. ბრინდიზი „ესპანიოლს“ 1998 წლის ოქტომბერში ჩაუდგა სათავეში. მაშინ მან მარსელო ბიელსა შეცვალა, რომელმაც შემდეგ არგენტინის ეროვნული ნაკრები ჩაიბარა. ბრინდიზის მეთაურობით „ესპანიოლმა“ ბოლო ტურები ძალიან წარუმატებლად ჩაატარა, რვა შეხვედრაში მხოლოდ ერთი მოიგო და მე-17 ადგილზე დამკვიდრდა, რასაც მწვრთნელი შეეწირა. „ყოველთვის კარგი მსურდა „ესპანიოლისთვის“. ფეხბურთში მსგავსი მოვლენები ხშირია, ამიტომ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების სავსებით ლოგიკურად მივიჩნევ“ — განაცხადა თავად ბრინდიზიმ.

გერმანული „ჰამბურგის“ განელი ფორვარდი ტონი იებოა შესაძლოა, უახლოეს მომავალში ინგლისში დაბრუნდეს. შეგახსენებთ, რომ იებოა პრემიერლიგაში ასპარეზობდა და 1995-დან 1997 წლამდე „ლიდს იუნაიტედის“ ღირსებას იცავდა. „ინგლისიდან რამდენიმე ხელსაყრელი წინადადება მივიღე, მოხარული ვარ, რომ ასეთმა დიდმა კლუბებმა ჩემს მიმართ ინტერესი გამოიჩინეს“ — ამბობს თავად იებოა. როგორც საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, მისი შეძენის სურვილს ლონდონის „ჩელსი“ გამოთქვამს. ასე რომ, გამორიცხული არ არის, განელი ფორვარდი, რომელსაც „ჰამბურგთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება, უახლოეს მომავალში პრემიერლიგაში ვიხილოთ.

ბრაზილიელი ნახევარმცველი ემერსონი მალე ალბათ ლევერკუზენის „ბაიერს“ დატოვებს და რომელიმე იტალიურ კლუბს შეუერთდება. ყველაზე აქტიურად მის გადაბირებას „რომა“ და „პარმა“ ცდილობენ, თუმცა ჯერჯერობით სასურველ შედეგს ვერც ერთმა კლუბმა ვერ მიაღწია. მართალი, შესაძლო ტრანსფერის ოფიციალური ღირებულება არ დასახელებულა, მაგრამ საინფორმაციო საშუალებების ცნობით, „ლევერკუზენი“ ემერსონის საფასურად დაახლოებით 30 მილიონ დოლარს ითხოვს. თავად ემერსონი, რომელიც გუნდთან ერთად შეკრებაზე იმყოფებოდა, აცხადებს, რომ კლუბში დარჩენას სეზონის ბოლომდე აპირებს. „ვფიქრობ, სეზონის დასრულებამდე „ლევერკუზენში“ დავრჩები და კლუბთან ერთად გერმანიის ჩემპიონობას მოვიპოვებ“ — თქვა ბრაზილიელმა.

ბობი რობსონი

ნაირსახეობა რობსონებისა

«ნიუკასლი» აღმავლობის გზას ადგას, «მიდლსბროში» კი კრიზისია

ბრაიან რობსონი

რობსონები, ბობი და ბრაიანი, ჩრდილოაღმოსავლეთ ინგლისის კლუბთა, „ნიუკასლ იუნაიტედისა“ და „მიდლსბროს“ მწვრთნელები პრემიერლიგაში ურთიერთსაწინააღმდეგო ბედს სწევიან. 67 წლის ბობი „ნიუკასლის“ აღდგენის საქმეს ჩინებულად უძღვება. მიდლსბროში კი უფრო ახალგაზრდა ბრაიანს შავი დღეები უდგას.

ბობი ახალ კლუბს სათავეში სექტემბერში ჩაუდგა. თანამდებობაზე რუუდ გულიტი შეცვლა და ფეხბურთელებსაც საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნდათ. გუნდი ლამაზ, შემტევ სტილს ქადაგებს, ცხრილის ძირს დაცილდა, ხოლო კვირას „საუთჰემპტონს“ ხუთი გოლიც გაუტანა.

ბობის მისვლის დღეს „კაჭკაჭებს“ ექვსი თამაშიდან ერთი ქულა და 18 გაშვებული გოლი აწვათ. დღეს კი ახალი მწვრთნელის ხელში შინ დაუმარცხებელთ, აუტსაიდერებგან რვა ადგილი აშორებთ. 16 შეხვედრაში მათ 31 გოლი გაიტანეს, გაშვებით კი მხოლოდ 19 გაუშვეს. რობსონის ხელმძღვანელობით გუნდმა „შეფილდ უენსდის“ 8:0 მოუგო, ხოლო „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ ფეხბურთის ასოციაციის თასზე 6:1 აჯობა.

კვირას, როგორც მოგახსენეთ, „ნიუკასლს“ „საუთჰემპტონი“ ემსხვერპლა. „კაჭკაჭებმა“ შთაგონებითა და უკიდურესად ტექნიკურად დაამარცხეს მეტოქე. ორი გოლი ფორმააღდგენილმა თავდამსხმელმა, დანკან ფერგიუსონმა შეაგდო. ანგარიში მეტიც შეიძლებოდა ყოფილიყო, ინგლისის ნაკრების კაპიტანს, ალან შირერს სამჯერ ძელისთვის რომ არ გაერტყა ბურთი.

ამ გამარჯვებამ „ნიუკასლ იუნაიტედი“ მეზობლის, „მიდლსბროს“ თავზე მოაქცია, ხოლო რობსონს სახეზე ფართო ღიმილი მოჰფინა. რობსონი ხომ გულში ჯორდად (ნიუკასლელთა მეტსახელი) დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებამ მთელი ევროპა მოატარა და „ბარსელონას“, „ეინდჰოვენის“, ლისაბონის „სპორტინგისა“ და „პორტუს“ მწვრთნელობა გამოაცდევინა.

რობსონი მხოლოდ მაშინ მოისვენებს, როდესაც მის გუნდს პრემიერლიგიდან გავარდნის თეორიული შანსიც აღარ დარჩება, თუმცა ეს რომ ასეა, მას ეჭვიც არ ეპარება, ვინაიდან თავდამსხმელთა წყვილის, შირერ-ფერგიუსონის იმედი აქვს. იგი ამბობს, რომ შირერისა და ფერგიუსონის დარი წყვილი ინგლისში შესაძლოა, სხვა არც იყოს.

„ისინი საუცხოოდ უგებენ ერთმანეთს და მე ამიტომ ბედნიერი კაცი ვარ“ — დასძენს უფროსი რობსონი.

ტინსაიდისგან განსხვავებით, ტინსაიდში სურათი რადიკალურად განსხვავებულია. ბრაიან რობსონს კარიერაში ერთადერთი გუნდი, „მიდლსბრო“ ჰყავს გაწვრთნილი. იგი სწორედ აქ, მოთამაშე მწვრთნელად შეუდგა ახალ გზას. ეს 1994 წელს მოხდა, მას მერე, რაც მან „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების ფეხბურთელის კარიერა დაასრულა.

მას მერე „მიდლსბრო“ პრემიერლიგასა და პირველ დივიზიონს შორის მოძრაობს, მოთამაშეთა ყიდვაზე კი ვეებერთელა თანხები იხარჯება.

„მიდლბსრომ“ ახლანდელი სეზონი კარგად დაიწყო, თანაც შემდეგ, შემადგენლობაში ისეთი გვარების ცხრილი ჟუნინიო, პოლ გესქოინი და პოლ ინსი რომ არის, გუნდს სასიკეთო მომავალს უქადდა, მაგრამ ყოველივე ამის ფონზე ცხრილში ქვევით და ქვევით ჩაცურება აშკარა დრამას მოასწავებს.

შაბათს რობსონ უმცროსის გუნდმა „დერბისთან“ წააგო 1:4, თან მშობლიურ „რივერსაიდ სტადიუმზე“, და ტრიბუნებიდან ძახილი გაისმა: „ჩვენ რობსონის გადადგომას ვითხოვთ!“

„დერბისთან“ მარცხს წინ პირველდივიზიონელ „ტრანმერისთან“ და მეორედივიზიონელ „რექსჰემთან“ სათასო გაწბილებანი უძღოდა. ტინსაიდელებს ამავე პერიოდში მოუგო პრემიერლიგის აუტსაიდერმა „შეფილდ უენსდიმაც“.

მაგრამ ძნელბედობის მიუხედავად, ბრაიან რობსონი, რომელიც გასულ კვირას 43 წლისა მოიყარა, ფეხბურთელობის დროინდელი იმიჯისა და მეტსახელის, „ჯადოსნური კაპიტნის“ შენარჩუნებას სიმშვიდით ლამობს.

„სად იყო „მიდლსბრო“ ჩემს მოსვლამდე?“ — კითხულობს იგი — „ჩვენ გასულ სეზონში პრემიერლიგაში მეცხრე ადგილზე გავედით და კვლავ სრულყოფისკენ მივიწევთ. ჯერ ვნახოთ, ამ ჩემპიონატში რას ვიზამთ და დაე ხალხმა მერე განმსაჯოს“.

ამისთვის კი გუნდს, რომელსაც ბრაიან რობსონი უდგას სათავეში, ბობისეული ენთუზიაზმის და შთაგონების წყარო სჭირდება. მერე კი მაისიც დადგება.

კლეარ ლოველი,
როიტერი

ოდნავდეტექტიური ამბავი

არგენტინული დროით 00:45-ზე, ბუენოს აირესიდან ჰავანისკენ „კუბან ეარლაინზის“ თვითმფრინავი გაფრინდა, რომლის მგზავრთა შორის, ასეთი ხალხი იყო: დიეგო მარადონა, კლაუდია ვილაფანე (დიეგოს მეუღლე), ჩიტორო მარადონა (დიეგოს მამა), ალფრედო კაე (დიეგოს პირადი ექიმი) და კიდევ ორი მედიკოსი, ნევროლოგი და კარდიოლოგი. ეს ამალა კუბის დედაქალაქს კოკაინთან ბრძოლაში დიეგოს დასახმარებლად გაემგზავრა.

მაშ ასე, გადაწყდა: ფეხბურთის გენიოსი, გულდასუსტებული და გულგაწყალებული, სამკურნალოდ, უფრო ზუსტად კი სარეაბილიტაციოდ კუბას გაემგზავრა, სადაც მეგობრად შერაცხული კომანდანტე, ცნობილი ფიდელ კასტრო უმასპინძლებს.

სხვა რა ვარიანტები ჰქონდა? ერთი კანადაში წასვლა და ტორონტოს კლინიკაში გაჯანსაღება გახლდათ, მაგრამ ამ. ვარიანტს ნუ გაგიკვირდებათ და (ჩვენ კი ნამდვილად გვიკვირს) ეკონომიკურმა სირთულეებმა გადაუსვა ხაზი. მეორე იყო ამერიკის შეერთებული შტატების რაღაც (ცხადია, დიდებული) სანატორიუმი, რომელსაც თავად ამერიკის ხელისუფლებამ მოუღო ბოლო, ნარკომანს და საეჭვო კაცს ვიზას არ მივცემთო.

დარჩა კუბა და მეგობრობა, რომლის შესახებაც მარადონას აგენტმა, თუ მეტად არა, არანაკლებ სახელგატეხილმა გილერმო კოპოლამ ბუენოს აირესის „რადიო დიესში“ რაღაც თქვა და რაღაც არც თქვა. კოპოლამ დაადასტურა, რომ დიეგო კუბაში მიდის და იქ შეეცდება კოკაინის ყნოსვა-მონევა-ღრძილებზე წასმას გადაეჩვიოს, მაგრამ კითხვაზე გენიოსყოფილი ჰავანიდან კიდევ სადმე ხომ არ მიდის, არაფერი უპასუხა.

ესპანურმა საინფორმაციო საagენტო **EFE**-მ მეორე მხრიდან მოვლა მოიფიქრა და კუბის ჯანმრთელობის მინისტრს, დოქტორ ხულიო კასტანერს დაუკავშირდა, რომლისგანაც პასუხად მიიღო. „მარადონას დასახვედრად ყველაფერი მზადაა“.

საერთოდ, ერთი ამბავია ცნობილი, ამა თუ იმ ნივთიერებისადმი ფიზიოლოგიურ დამოკიდებულებას მოევლება (ჩვენებურად ლომკა აღარ იქნება), ფსიქოლოგიური კი თავად პაციენტის ნებასა და ნებისყოფაზეა დამოკიდებული. ცხადია, ფსიქოთერაპევტი თავისას ეცდება, მაგრამ ვერავის ჩაისახლებს, ხოლო მითი მეთვალყურეობიდან გასული, ამ შემთხვევაში მარადონა, ცთუნებებს როგორ გაუძლებს, ამაზე მხოლოდ მარადონას ცხოვრება გაგვცემს პასუხს.

REUTERS ჰავანიდან

დიეგო მარადონა ჰავანაში ჩავიდა

ცთუნებები კი იცოცხლეთ. შორს წასვლა არ გვინდა, აგერ, ორიოდ ღდის წინ „საგრადო კორასონის“ საავადმყოფოში, სადაც ჩვენი წერილის გმირი (ღმერთმა სიკეთე მისცეს) უკიდურესად დასუსტებულ გულის კუნთს იძლიერებდა, დერეფანში გამოჩნდა თეთრხალათიანი კაცი, რომელიც ექიმებმა კოლეგად ვერ შეიცნეს და კარგად რომ დააკვირდნენ, შენიშნეს, რომ მარადონას პალატისკენ მიემართებოდა. ატყდა ერთი ამბავი, გამოედევნენ, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ პარკეტმა, ვერ გაიგეს.

„კიდევ კარგი. მარადონას კოკაინი რომ მიეღო, მოკვდებოდა. იმ მომენტში პაციენტის დასუსტებული გული კოკაინის მოქმედებას ვერ გაუძლებდა“ — თქვა ექიმმა კარლოს ალვარესმა.

ამ ინციდენტის შემდეგ დაასკვნეს, ვიღაც ოხრებს დიდი ფეხბურთელის სიკვდილი უნდოდათო, მაგრამ, მოდი ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ შეკვეთა თავად საავადმყოფოდან მოდიოდა და ნურც იმას, რომ ბიჭებმა უბრალოდ დიეგოს პატივისცემა გადაწყვიტეს.

და ბოლოს ერთი ჩვენებური კითხვაც დავსვათ: რას აკეთებს ამ დროს ფიფა? პასუხი ზეპ ბლატერმა გაგვცა: „ფიფა მეტს ვერაფერს იზამს. ჩვენ ძალიან გვწყინს, რომ არგენტინელი ფეხბურთელი პრობლემათა წინაშე დგას და ამ მაგალითის გათვალისწინებით ყველა ღონეს ვიხმართ, რათა დავსაჯოთ ყველა ნარკოტიკების მომხმარებელი მოთამაშე“.

ცნობისთვის: რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, კოკაინი სულაც არ გახლავთ ყველაზე ძლიერმოქმედი ნარკოტიკული ნივთიერება.

პაპუნა კედია

GhanaNigeria2000

აფრიკის თასი

განნიგერია-22 იანვარი-13 თებერვალი

22 იანვარს მსოფლიოს ყველა კონტინენტის ფეხბურთის გულშემატკივრები ტელევიზორებს მიუსხდებიან და აფრიკის თასის გახსნას პირდაპირ ეთერში იხილავენ. შავი კონტინენტის უდიდესი საფეხბურთო ტურნირი სამ კვირას გასტანს და 13 თებერვალს დასრულდება. აფრიკის თასის შეჯიბრი ნიგერიასა და განაში ჩატარდება. ფინალურ ეტაპზე სათამაშოდ 16 გუნდი ჩაებმება. ისინი ოთხ ჯგუფად განაწილდნენ. 22 იანვრამდე დარჩენილ დღეებში „სარბიელი" მონაწილე გუნდებს გაგაცნობთ. მაშ ასე:

A ჯგუფი კამერუნი, კოტ დივუარი, ტოგო, განა

კამერუნი

კამერუნელი „ლომები" აფრიკაში ორჯერ გამხდარან უძლიერესნი. მესამედ გამარჯვების იმედი მათ ნაკლებად აქვთ და სხვა, შორს მიმავალი მიზანი დაუსახავთ. მიზანი კი ერთია — 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვება და ღირსეულად თამაში. კამერუნი — გუნდი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატების ლამის მუდმივ მონაწილედ იქცა, კორეა — იაპონიაში სერიოზულ მიღწევებზე ფიქრობს. ჯერ კიდევ 1982 წელს „ლომებმა" ესპანეთი დაუმარცხებლად დატოვეს. 8 წლის შემდეგ კი იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატის პირველივე მატჩში პირველი სენსაცია მოახდინეს — მსოფლიოს ჩემპიონ არგენტინას სძლიეს. შემდგომ ორ ჩემპიონატზე კამერუნელებმა თავი ვერარაფრით დაგვამახსოვრეს, ამიტომაც მათი ფრანგი მწვრთნელი პიერ ლეშანტრე აფრიკის თასის გათამაშებას მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად იყენებს. ლეშანტრე, ვინც საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მოთამაშეა, ამბობს: „ჩემი მიზანია, გუნდი კორეა — იაპონიაში წავიყვანო. თუმცა მხოლოდ მონაწილეობით ვერ დავკმაყოფილდებით. კამერუნის ნაკრებმა ყურადღება უნდა მიიქციოს, როგორც მსოფლიო დონის გუნდმა".

საოცარია, რომ ესოდენ ამბიციური გუნდი აფრიკის თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე სრულიად შემთხვევით მოხვდა. შესარჩევ ჯგუფში კამერუნი და განა ერთად იყვნენ და ამ უკანასკნელმა ლიდერობა მოიპოვა. შემდეგ აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ გადაწყვიტა, მარტო ნიგერიას გახდება, თასის გათამაშების თანამასპინძლად განაც ავირჩიოთო. ახალგამომცხვარი მასპინძელი ფინალურ ეტაპზე პირდაპირ დაუშვეს, ჯგუფში მისი ადგილი კი კამერუნმა დაიკავა.

პიერ ლეშანტრემ აფრიკის თასზე სათამაშოდ ახალგაზრდა ფეხბურთელები მიიწვია. ამით მან კიდევ ერთხელ მიანიშნა, ჩემი მთავარი მიზანი მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატების მიღწევაა და ყმაწვილ მოთამაშეებსაც აქედანვე ვამზადებო.

კოტ დივუარი

კოტდივუარელთა ვეტერან მეკარეს, ალან გუამენს უთქვამს, რვა წლის წინანდელი ამბავი უნდა გავიხსენოთო. მაშინ კოტ დივუარმა აფრიკის თასი მოიგო. „სპილოები" (ასე უწოდებენ მათ ნაკრებს) განას მაშინაც შეხვდნენ და გუამენემ განელ ტონი ბაფოს პენალტიც აუღო. 33 წლის მეკარე აგერ უკვე მეშვიდედ ითამაშებს აფრიკის თასზე, 1992 წელს მოპოვებული გამარჯვება კი კოტდივუარელთათვის ერთადერთია. ერთი კვირის წინ „სპილოებმა" ამჟამინდელი ჩემპიონი, ეგვიპტის ნაკრები დამარცხეს და თასის გათამაშებას იმედიანად ხვდებიან. თუმცა, საერთო აზრით, კოტდივუარელთა ამბიციები გადაჭარბებულია. მეტიც, ბევრი ნაკრების ჯგუფიდან გასვლის შანს სათუოდ მიიჩნევს. A ჯგუფი სოლიდურად გამოიყურება: განა მასპინძელი და ერთ-ერთი ფავორიტია, კამერუნი აფრიკის კონტინენტზე ყოველთვის მძიმეწონიან გუნდად ითვლებოდა, ტოგოს კი გრანდთა ძლევით გაუთქვამს სახელი. ამასთანავე, წილისყრისას კოტ დივუარი ბოლო კალათაში იყო განთესილი.

ნაკრების თავკაცი მარტინ გბონკეტია პრინციპულობით არის ცნობილი. მან გუნდიდან პარმელი სალიუ ლასისი დაითხოვა. მიზეზი უდისციპლინობაა. ტიამ ამ გადაწყვეტილებას ასეთი კომენტარი გაუკეთა: „ფეხბურთი გუნდური თამაშია, ამიტომ ფეხბურთელები ერთ მუშტად უნდა იყვნენ შეკრულნი. ერთის თავქარიანობამ სხვები არ უნდა აზარალოს." 22-კაციან ნაკრებში 15 ლეგიონერია და გუნდის ბირთვსაც ისინი შეადგენენ. მათგან იბრაჰიმ ბაკიოკოს და ბონავენტურე კალუს გამოარჩევენ.

სულ კოტდივუარელებს აფრიკის თასის ფინალურ ეტაპზე ცამეტჯერ უსპარეზიათ და ამ მაჩვენებლით მხოლოდ ეგვიპტეს ჩამორჩებიან. თუმცა, როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ისინი მხოლოდ მონაწილეობით კმაყოფილდებიან და წარმატებას, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ერთხელ მიაღწიეს.

ტოგო

კონტინენტის პირველობისდარი უმნიშვნელოვანესი ტურნირისთვის მზადებას გუნდები კარგა ხნით ადრე იწყებენ. ტოგოელებმა ეს ვერ შეძლეს. მიზეზი უფულობაა. მწვრთნელს და ზოგ ფეხბურთელს ხელფასს და პრემიებსაც ვერ აძლევენ.

ტოგოს ნაკრები კარგი შედეგებით ვერ დაიკვეხნის. აფრიკის თასის გათამაშების მეოთხედფინალს ისინი ჯერაც ვერ გასცდნენ და მხოლოდ ცალკეული მატჩების მოგებით ამაყობენ. კონტინენტის წინა პირველობაზე, პირველივე შეხვედრაში მათ განა დაამარცხეს და ამ ამბავს დღემდე იხსენებენ.

როგორ შედეგს აჩვენებს ტოგო აფრიკის თასის წლევანდელ ჩატარებაში? ალბათ, ვერანაირს. [illegible] სკვნის გაკეთების საფუძველს კი აი, რა გვაძლევს: გუნდი, რომელსაც მწვრთნელი არ ჰყავს, სრულფასოვნად ვერ მოემზადება და წარმატების იმედიც არ უნდა ჰქონდეს. ტოგოს ნაკრებში სწორედ ასეა. გერმანელი სპეციალისტი გოტლიბ გოელერი ოფიციალურად არავის მოუხსნია, ის თავად ამბობს მუშაობაზე უარს.

მიზეზი ზემოთ მოგახსენეთ — გაუცემელი ხელფასი. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ როკ განსინგმეს უთქვამს, ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი უნდა მოვძებნოთო. იქნებ იპოვონ კიდეც, მაგრამ პრობლემა გადაუჭრელი დარჩება. განა ახალი მწვრთნელი უხელფასოდ მუშაობას დათანხმდება? ასეა თუ ისე, გუნდის მომზადება გოელერთან ერთად დროებით ერთ-ერთი ადგილობრივი კლუბის თავკაც მავუენა კოჯოვის მიანდეს. მანაც ნაკრები ეგვიპტესა და ლიბიაში წაიყვანა, იქ სავარჯიშოდ უკეთესი პირობებიაო. მგზავრობის ხარჯები ფეხბურთის ფედერაციამ და ქვეყნის პრეზიდენტმა სანახევროდ გაიღეს.

ტოგოურ ფეხბურთზე საუბარი ფინანსური მდგომარეობის განხილვაც უფრო გვექცა. ასეა, უფულოდ დიდ ფეხბურთს ვერ ითამაშებ. ნაკრებზე კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ ტოგოელებმა აფრიკის თასზე სამჯერ ითამაშეს, სულ ცხრა მატჩი გამართეს და მხოლოდ ერთი მოიგეს. იმ ერთზე, განასთან შეხვედრაზე, უკვე ვთქვით.

განა

განელებს უცნაური რამ სჭირთ — მათ მსოფლიოს ჩემპიონატზე არასდროს უსპარეზიათ. საოცარი კი ის არის, რომ განელი ფეხბურთელები ერთ-ერთი უძლიერესნი არიან კონტინენტზე. ოთხჯერ აფრიკის თასი, ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლები 17-წლამდელთა შორის, ოლიმპიური ბრინჯაო ბარსელონაში, ვერცხლი მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე — ასეთია განელთა მონაგარი. ამდენი ჯილდოთი ბევრი ვერ დაიკვეხნის, ისინი კი მუდამ მსოფლიოს ჩემპიონატების მიღმა რჩებიან. „შავი ვარსკვლავების" (ასე უწოდებენ განის ნაკრებს) ქომაგები კითხულობენ: გაჯავს დღეს ის ოცნების გუნდი, რომელიც ურთულესი გზის გავლას შეძლებს? მიხვდებით, აქ ის გზა იგულისხმება, რომელიც ტოკიომდე და სეულამდე მიდის, თორემ აფრიკის თასზე განა ფავორიტთა შორისაა, მით უმეტეს, შინ თამაშობს.

თუმცა განელებს ერთი მსოფლიოს ჩემპიონი მაინც ჰყავთ. მწვრთნელი ჯუზეპე დოსენა იტალიის ნაკრების წევრი იყო, როდესაც მათ ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატი ტრიუმფით დასრულეს. განაში მომუშავე რიგით მეშვიდე უცხოელმა სპეციალისტმა ეროვნული გუნდი თექვსმეტი თვის წინ ჩაიბარა. ამ ხნის განმავლობაში დოსენამ და მისმა შეგირდებმა მხოლოდ ერთხელ დატოვეს მოედანი თავდახრილებმა. დეკემბერში ისინი ტუნისელებმა დაამარცხეს და ისიც ამხანაგურ მატჩში, რომელიც განამ შესუსტებული შემადგენლობით ჩაატარა.

დოსენასეული გუნდის ძირითად ბირთვს ახალგაზრდული ნაკრებიდან წამოყვანილი ფეხბურთელები შეადგენენ. მათ პირველი გამოცდა უკვე ჩააბარეს. 1999 წელს ისინი 20-წლამდელთა შორის აფრიკის ჩემპიონები გახდნენ.

ახალი თაობის ვარსკვლავთა შორის მცველ ოსეი კუფურს გამოარჩევენ. გასული წლის ბოლოს კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელთა დასახელებისას ნვანკო კანუს შემდეგ ის მეორე იყო.

განელები მატჩებს ქვეყნის დედაქალაქ აკრაში გამართავენ. 22 იანვარს, პირველ ტურში, მათი მეტოქე კამერუნის ნაკრები იქნება. როგორც ვთქვით, განა ერთ-ერთი ფავორიტია, მაგრამ სამუელ კუფური უფრო თავშეკავებულ პროგნოზს აკეთებს: „ის, რომ შინ ვთამაშობთ, რაიმე განსაკუთრებულ უპირატესობას არ გვანიჭებს, პირიქით, საკუთარი გულშემატკივრების მხრიდან მუდმივი ზეწოლა გვექნება — ისინი ხომ მხოლოდ მოგებას გვთხოვენ".

გიორგი დარჯანია

კამერუნი

აფრიკის კონფედერაციის წევრი: 1962 წლიდან; აფრიკის თასზე მონაწილეობდა (10): 1970, 72, 82, 84, 86, 88, 90, 92, 96, 98; ჩემპიონი (2): 1984, 88; ფინალისტი (1): 1986; სულ ფინალურ ეტაპზე: 41 თამაში, 20 მოგება, 13 ფრე, 8 წაგება, 55:38 ბურთები

მეკარეები			
1.	ბუქარ ალიუმი	28	სამსუნსფორი, თურქეთი
16.	უილიამ ანდემი	31	ბოავიშტა, პორტუგალია
22.	ჰამიდუ სულეიმანუ	26	კოტონსპორტი
მცველები			
2.	ტიმოტი ატუბა	22	უნიონ დუალა
3.	პიერ ვომე	20	ბოლონია, იტალია
4.	რიგობერტ სონგი	23	ლივერპული, ინგლისი
5.	რაიმონდ კალა	24	ესტრემადურა, ესპანეთი
6.	პიერ ნჯანკა	24	სტრასბური, საფრანგეთი
13.	ლუსიენ მეტომო	22	სენტ ეტიენი, საფრანგეთი
14.	მიშელ პენსი ბილონგი	26	ჟილ ვისენტე, პორტუგალია
18.	ინოჩენტ ჰამგა	19	კოტონსპორტი
ნახევარმცველები			
8.	ჯერემი ნჯიტაპი	21	რეალი, ესპანეთი
12.	ლორენ ეტამაიერი	22	მალიორკა, ესპანეთი
15.	ჟოზეფ ნდო	23	სტრასბური, საფრანგეთი
17.	მარკ ვივიენ ფოე	24	ვესტ ჰემი, ინგლისი
19.	მარსელ მაუვი	27	მონპელიე, საფრანგეთი
20.	სალომონ ოლემბე	19	ნანტი, საფრანგეთი
თავდამსხმელები			
7.	ბერნარ ჩუტანგი	23	როდა, ჰოლანდია
9.	სამუელ ეტოო	19	რეალი, ესპანეთი
10.	პატრიკ მბომა	29	კალიარი, იტალია
11.	პიუს ნდიეფი	24	სედანი, საფრანგეთი
21.	ჟოზეფ დეზირე ჟობი	22	ლანსი, საფრანგეთი

მწვრთნელი: პიერ ლეშანტრე

ტოგო

აფრიკის კონფედერაციის წევრი: 1962 წლიდან; აფრიკის თასზე მონაწილეობდა (3): 1972, 84, 98; ჩემპიონი: არ ყოფილა; ფინალისტი: არ ყოფილა; სულ ფინალურ ეტაპზე: 9 თამაში, 1 მოგება, 3 ფრე, 5 წაგება, 9:19 ბურთები

მეკარეები			
1.	ვაკე ნიბომბე	30	გოლდფილდსი, განა
16.	კოსი აგასა	25	ეტოილ ფილანტე
22.	კაკუვი პედომი	21	ენტენტე II
მცველები			
2.	მესან ამეტოკოდო	25	დიტო ლომე
3.	იაო სენაია	20	რედ სტარი, საფრანგეთი
4.	მასამესო ჩანგაი	21	გრააფსხაპი, ჰოლანდია
5.	იაუვი აბალო	24	ამიენი, საფრანგეთი
7.	ტაჯიუ სალუ	25	სერვეტი, შვეიცარია
19.	ლიბამბანი იედიბაომა	20	კლუბ აფრიკანი, ტუნისი
ნახევარმცველები			
6.	აბიბუ ჩაგნაო	24	ბაზელი, შვეიცარია
8.	ლანტამ უაჯა	22	სერვეტი, შვეიცარია
10.	შერიფ მამან-ტურე	22	ალ ჯაზირა, ემირატები
12.	იაო აზიავონუ	20	სიონი, შვეიცარია
13.	კომლან ასიგნონი	25	კანი, საფრანგეთი
14.	ფრანკ ატსუ	22	აშანტე კოტოკო, განა
21.	მოჰამედ ტურე კუბაგიტი	20	მარანატა
თავდამსხმელები			
9.	კოფი ფიავუ	30	ლორიანი, საფრანგეთი
11.	ფრანკ დოტე	24	ვონგოსპორტი, გაბონი
15.	აბდუ მუმუნი	22	ტოგო ტელეკომი
17.	მოჰამედ აბდელქადერი	20	ლუგანო, შვეიცარია
18.	ბაშირუ სალუ	29	აინტრახტი, გერმანია
20.	დჯიმა ოიავოლი	23	ლორიანი, საფრანგეთი

მწვრთნელი: გოტლიბ გოელერი

კოტ დივუარი

აფრიკის კონფედერაციის წევრი: 1960 წლიდან; აფრიკის თასზე მონაწილეობდა (13): 1965, 68, 70, 74, 80, 84, 86, 88, 90, 92, 94, 96, 98; ჩემპიონი (1): 1992; ფინალისტი (1): 1984 სულ ფინალურ ეტაპზე: 50 თამაში, 20 მოგება, 12 ფრე, 18 წაგება, 72:59 ბურთები

მეკარეები			
1.	ალან გუამენე	33	ტულუზი, საფრანგეთი
16.	სეიდუ დიარა	31	ASEC, აბიჯანი
22.	ჟან-ჟაკ ტიზიე	27	აფრიკა სპორტსი
მცველები			
3.	პატრიკ ზერე	29	ლოკერენი, ბელგია
5.	ჟისლენ აკასუ	24	ლუგანო, შვეიცარია
6.	ოლივიე ტებილი	24	სელტიკი, შოტლანდია
8.	დიდიე ანგანი	25	ნიცა, საფრანგეთი
9.	ბლეზი კუასი კოფი	25	ASEC, აბიჯანი
17.	სირილ დომორო	28	ინტერი, იტალია
19.	დომინიკ სამ აბუ	26	ლოკერენი, ბელგია
ნახევარმცველები			
2.	ლასინა დაო	28	აფრიკა სპორტსი
4.	ლასინა დიაბატე	25	ბორდო, საფრანგეთი
7.	იბრაჰიმ კონე	30	აფრიკა სპორტსი
12.	სერჟ დიე	22	რეჯინა, იტალია
13.	ალიუ სიბი ბადრა	28	ASEC, აბიჯანი
14.	ჩირესოა გუელი	24	სენტ ეტიენი, საფრანგეთი
21.	დონალდ-ოლივიე სიე	29	რასინგი, საფრანგეთი
თავდამსხმელები			
10.	იბრაჰიმ ბაკაიოკო	23	მარსელი, საფრანგეთი
11.	ჰამედ მოდიბო დიალო	23	ლე ავრი, საფრანგეთი
15.	ბონავენტურე კალუ	22	ფეიენოორდი, ჰოლანდია
18.	ჩარლზ დაგო	24	ლოკერენი, ბელგია
20.	გნაუა ზოკო	22	ASEC, აბიჯანი

მწვრთნელი: მარტინ გბონკე ტია

განა

აფრიკის კონფედერაციის წევრი: 1958 წლიდან; აფრიკის თასზე მონაწილეობდა (12): 1963, 65, 68, 70, 78, 80, 82, 84, 92, 94, 96, 98; ჩემპიონი (4): 1963, 65, 78, 82; ფინალისტი (3): 1968, 70, 92; სულ ფინალურ ეტაპზე: 49 თამაში, 29 მოგება, 10 ფრე, 10 წაგება, 73:42 ბურთები

მეკარეები			
	რიჩარდ კინგსტონი	24	გიოზთეფე, თურქეთი
	კონსტანტ მანტეი	23	ასანტე კოტოკო
	სემი ადჯეი	19	ჰართს ოფ ოაკ, განა
მცველები			
	სტეფან ბაიდო	23	ანკარაგიუჯიუ, თურქეთი
	ებენ დუგბატე	26	ლორიანი, საფრანგეთი
	მარკ ედუსეი	23	ლეირია, პორტუგალია
	მოჰამედ გარგო	24	უდინეზე, იტალია
	კრისტიან გიანი	21	ფეიენოორდი, ჰოლანდია
	სემ ჯონსონი	26	ფენერბაჰჩე, თურქეთი
	ჯაკობ ნეტეი	24	ჰართს ოფ ოაკ, განა
	ემანუელ ოსეი კუფური	23	ჰართს ოფ ოაკ, განა
	სამუელ ოსეი კუფური	23	ბაიერნი, გერმანია
ნახევარმცველები			
	დანიელ ადო	23	კარლსრუე, გერმანია
	ოტო ადო	24	ბორუსია, დორტმუნდი, გერ.
	ჩარლზ აკონორი	25	ვოლფსბურგი, გერმანია
	სტეფან აპია	19	უდინეზე, იტალია
	ალექს ნიარკო	26	ლანსი, საფრანგეთი
თავდამსხმელები			
	აუგუსტინ აჰინფული	25	ბოავიშტა, პორტუგალია
	კვამე აევუ	26	სპორტინგი, პორტუგალია
	ოჰენ კენედი	26	ანკარაგიუჯიუ, თურქეთი
	პეტერ ოფორი-კუაე	19	ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი
	იავ პრეკო	25	ფენერბაჰჩე, თურქეთი

მწვრთნელი: ჯუზეპე დოსენა

ნაკრებს ნაიკი შემოსავს

ვფიქრობ, ნაკრების სრული შემადგენლობა დანიაში გამგზავრების წინ, აეროპორტში შეიკრიბებაო, წუხდა ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე „სარბიელთან“ ამასწინანდელი საუბრისას. სადღეისოდ სურათი ოდნავ შეიცვალა, საქმე სასიკეთოდ წავიდა, იმ თვალსაზრისით, რომ ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციოსწინა ეტაპზე გამგზავრებამდე ჩვენი საკალათბურთო ნაკრების სრულფასოვანი შეკრება დაიგეგმა. ტომარაძის რჩეულებსაც (რომელთა შორისაც, მწვრთნელის თქმით, ახალწვეულებიც იქნებიან) პირდაპირ ტრაპზე არ მოუწევთ ერთმანეთის გაცნობა...

ზურაბ ტომარაძის „ვითადან“ ბათუმურ „ბასკოში“ გადაბარგების შედეგი ის გახლავთ, რომ აჭარული გუნდის თავკაცებმა ეროვნული ნაკრების ინტერესებიც გაითვალისწინეს. ზღვისპირელებმა იმთავითვე დახმარება აღუთქვეს ტომარაძეს და უკვე კონკრეტული ნაბიჯებიც გადადგეს. გუშინ ტომარაძემ ბათუმიდან ახალი ამბავი გვამცნო:

„აქაურებს უკვე ველაპარაკე. ყველაფერი ავწონ-დავწონეთ და შევთანხმდით, რომ პირველ მაისს ეროვნული გუნდის წევრებს ჩაქვში, „ბასკოს“ კუთვნილ ბაზაზე შევკრებთ. „ოაზისში“ ყველანაირი პირობაა ნაკრების მოსამზადებლად.

ეს საკითხი უკვე საბოლოოდ გადაწყდა, თუმცა კარგი იქნება, თუ მანამდეც მომეცემა საშუალება, ნაკრების სრულ შემადგენლობას მოვუყარო თავი. ამ ეტაპზე სხვა არაფერი იგეგმება, ყველაზე რეალური კი სწორედ ბათუმური ვარიანტია“.

გუშინვე ისიც შევიტყვეთ, რომ ბათუმელებმა ეროვნული ნაკრების ეკიპირებაზეც იზრუნეს და სულ ახლახან ეს პრობლემაც მოაგვარეს. მათ მოლაპარაკება აწარმოეს საქვეყნოდ აღიარებულ „ნაიკთან“ და გადაწყდა, რომ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები სწორედ „ნაიკის“ პროდუქციით შეიმოსება.

საღ ითამაშებს ირაკლი ბაქრაძე?

კალათბურთის ქართველი გულშემატკივარი გაურკვევლობაშია. ამის მიზეზი ბოლო დრომდე შვიდგზის ჩემპიონ „ვითას“ მოთამაშე ირაკლი ბაქრაძეა, უფრო სწორად, მისი ტრანსფერი ბათუმურ „ბასკოში“. საქმის ვითარებაში სრულად ვერც კლუბთა მესვეურებმა გაგვარკვიეს. გადაჭრით არც თავად ბაქრაძე ამბობს რაიმეს. ბუნებრივია, ისმის კითხვა — სად გააგრძელებს კარიერას ირაკლი ბაქრაძე?

ირაკლი ბაქრაძე

თემურ დათიკაშვილი, კლუბ „ვითას“ მფლობელი: „მეორე წრის დაწყებამდე ბაქრაძეს პირადად ვესაუბრე. მან „ბასკოში“ გადასვლის სურვილი გამოთქვა, მეტიც, ბათუმში მივდივარო, მითხრა. როგორც ჩანს, მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ყოველივე“.

ზურაბ ტომარაძე, „ბასკოს“ მთავარი მწვრთნელი: „ბაქრაძე ბათუმში ჩამოვიდა და უკანვე გამოვუშვი. ვთხოვე, რომ ჯერ „ვითასთან“ დამოკიდებულება გაერკვია. იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაირიცხება „ბასკოში“, თუ თბილისური და ბათუმური მხარეები შეთანხმდებიან. ბევრი ნიუანსია დასაზუსტებელი, მალე თბილისში ჩამოვალ, კალათბურთელს ვნახავ, „ვითას“ ხელმძღვანელობასაც შევხვდები და ყველაფერიც ამის შემდეგ გადაწყდება“.

ირაკლი ბაქრაძე: „ბასკოში“ გაცილებით უკეთეს პირობებს მთავაზობენ. „ვითაში“ ვარჯიშის საშუალებაც არ არის. ამიტომაც გადავწყვიტე ბათუმში წასვლა. ეს საკითხი ამ დღეებში გაირკვევა, დავსხდებით მე, ტომარაძე და დათიკაშვილი და ყველა დეტალს შევათანხმებთ“.

იმის თქმა, თუ სად იოთამაშებს შემდგომ ირაკლი ბაქრაძე, შეუძლებელია, რადგან ვერც ერთმა მხარემ ვერ უპასუხა ჩვენს კითხვას ამომწურავად. ფაქტი კი ერთია, კალათბურთის ფედერაციამ უკვე საგანგებო ლიცენზიაც გასცა ბაქრაძის სახელზე. საბუთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ირაკლი ბაქრაძე „ბასკოს“ სრულუფლებიანი წევრია და ფედერაციისგან „ბასკოს“ უახლოეს თამაშში მონაწილეობის ნებართვაც აქვს.

ქარაბაკი: საშიში არაფერია

ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში, „ბასკო“ — სტუ-ს ბათუმური მატჩის რეპორტაჟში გაუწყეთ, საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებისა და „ბასკოს“ თავდამსხმელი ლევან ქარაბაკი დაშავდაო. კალათბურთელს მუხლის მძიმე ტრავმის გამო თითქმის ორი წელი გაუცდა და შევშინდით, ძველმა სატკივარმა ხომ არ შეახსენა თავიო. საბედნიეროდ, იგი სერიოზულად არ დაშავებულა, რაც გუშინ თავადაც დაგვიდასტურა:

„ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში ფეხი გადამიბრუნდა, კოჭი ვიტკინე. საშიში არაფერია, ტკივილს თითქმის აღარც ვგრძნობ, უკვე ვარჯიშიც განვაახლე და უახლოეს ტურში „შევარდენთან“ აუცილებლად ვითამაშებ“.

გასულ ტურში, სტუ-სთან შეხვედრაში კი მოედანს დაუბრუნდა „ბასკოს“ გამთამაშებელი ირაკლი მაისურაძე, რომელმაც ასევე ფეხის ტრავმის გამო თითქმის ოთხი თვით იძულებით დაისვენა.

გიორგი ბიკაშვილი

სლოვენია

XIII ტური

გადადებული მატჩი
კრაშკი ზიდარი — ჰელიოსი 91:86

XVII ტური

სავინსკი — პივოვარნა 77:78, ოლიმპია — ტრიგლავი 87:50, ლოკა კავა — ზაგორიე 74:78, კრკა — მარიბორი 103:81, ჰელიოსი — როგლა ატრასი 89:68

კრაშკი ზიდარი 75:59 სლოვანი

კრაშკი ზიდარი: სილა (3), მანოვიჩი (26), პეტროვიჩი (14), ბულიუბაშიჩი (8), ბუდინი (2), პეტროვიჩი (4), სმოიფერი (14), რაზიჩი (2), მეიაკი (2)

სლოვანი: ნოვაკი (2), ლაკოვიჩი (9), ჟაკელი (5), შინკოვეცი (4), უგრეხელიძე (6), ჯურკოვიჩი (8), კოვაჩი (4), პავიჩი (12), ბოისა (3), მარავიჩი (6), შუშტარშიჩი, ცძიტიშვილი



მატიაჟ სმოდიში

ტურის მთავარი სენსაცია, სამწუხაროდ, ქართველი კალათბურთელების გუნდს, ლიუბლიანის „სლოვანს“ უკავშირდება. ეს გუნდი უიმედოდ დამარცხდა აქამდე უიმედო აუტსაიდერ „კრაშკი ზიდართან“.

ეს მატჩი შაბათის ნაცვლად კვირას გაიმართა, რადგან „კრაშკი ზიდარმა“ ორი დღით ადრე გადადებული შეხვედრა ითამაშა. შეგახსენებთ, რომ „კრაშკი ზიდარისა“ და „ჰელიოსის“ მატჩი ჯერ კიდევ შარშან უნდა გამართულიყო, მაგრამ იგი ორჯერ დაიწყო და ორივეჯერ ჩაშალა. მიზეზი მოშლილი ტაბლო იყო.

წესითა და რიგით, დასვენებულ „სლოვანს“ პრობლემა არ უნდა შექმნოდა, მაგრამ გუნდმა ისე ცუდად ითამაშა, რომ „კრაშკი ზიდარის“ მოგებაში წამითაც კი არავინ დაეჭვებულა. განსაკუთრებით ჩაფლავდნენ გამთამაშებლები (ლაკოვიჩი, კოვაჩი), ხოლო სამი-ოთხი სლოვანელი იმ დღეს ტყუილად თამაშობდა.

„სლოვანის“ ქართველთაგან ყველაზე უკეთ დავით უგრეხელიძემ ითამაშა. მას შედარებით დიდხანს, 15 წუთი მოუწია მოედანზე ყოფნა (ძირითადი ცენტრი ჯურკოვიჩი მეორე ტაიმის დასაწყისში ხუთი პერსონალურით გავარდა). დავითმა სამიდან ორ ორქულიანი და ორიდან ორი საჯარიმო ჩააგდო, გარდა ამისა, ხუთი ბურთი მოხსნა. ვლადიმერ ბოისა, ტრადიციულად, ნორმალურად გაისარჯა დაცვაში, მაგრამ შეტევაში თავი ვერაფრით გამოიჩინა: სამსამი ორქულიანიდან და საჯარიმოდან თითო ჩააგდო, ხოლო ორი სამქულიანი ააცილა. არადა, წინა ორ ტურში ბოისა მაღალი შედეგიანობით გამოირჩა. ნიკა ცქიტიშვილმა ოთხ მოხსნას მოუყარა თავი, ორი საჯარიმო და ერთი ორქულიანი კი გააცუდა.

ამ მარცხმა „სლოვანი“ მეხუთე ადგილზე დასწია. მომავალ ტურში ლიუბლიანელები „ლოკა კავას“ უმასპინძლებენ. მეტოქე არცთუ ძლიერია, თუმცა „სლოვანი“ მოისაკლისებს მსროლელ ერნესტ ნოვაკს. გუნდის ლიდერს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს: „კრაშკი ზიდართან“ მატჩის 27-ე წუთზე ნოვაკმა ჩხუბი აუტეხა მეტოქე დალიბორ პეტროვიჩს, რომელიც ფარქვეშ გარღვევაზე გასულ სლოვანელს ეუხეშა.

სლოვენიის ჩემპიონატს კი დაუმარცხებლად ლიდერობს ლიუბლიანის „ოლიმპია“. ამ გუნდმა „სლოვანის“ უშუალო კონკურენტი „ტრიგლავი“ დაიფრინა. „ოლიმპიას“ მწვრთნელის თანაშემწე ნევენ სპაჰია ევროლიგის ბინადარის, ზაგრების „ციბონას“ მთავარი მწვრთნელი გახდა. ხორვატული კლუბის თავკაცის პოსტზე მან სხვა სლოვენიელი, ცუდი შედეგებისთვის დათხოვილი ვინკო იელოვაცი შეცვალა.

„მარიბორის“ 40 წლის მოთამაშემ მატიაჟ ტოვორნიკმა სეზონის რეკორდი დაამყარა — 41 ქულა ჩაუგდო ნოვო მესტოს „კრკას“. აღსანიშნავია, რომ ერთად აღებულმა „მარიბორის“ დანარჩენმა მოთამაშეებმა ტოვორნიკზე ერთით ნაკლები — 40 ქულა გააკეთეს. სამაგიეროდ, „კრკას“ დაუბრუნდა უნიჭიერესი ყმაწვილკაცი მატიაჟ სმოდიში, რომელმაც მოირჩინა მტკივანი კოჭი. სმოდიშმა საწყის 7 წუთში 22 ქულა (!) ჩაუგდო „მარიბორს“, სულ მატჩში კი 20 წუთი ითამაშა და მოედანი 31 ქულით დატოვა.

ოლიმპია	17	17	0	1535:1013	34
პივოვარნა	17	15	2	1492:1226	32
კრკა	17	14	3	1368:1180	31
ზაგორიე	17	10	7	1266:1307	27
სლოვანი	17	9	8	1229:1192	26
ტრიგლავი	17	9	8	1244:1240	26
სავინსკი	17	7	10	1329:1335	24
ჰელიოსი	17	5	12	1291:1453	22
მარიბორი	17	5	12	1171:1425	22
ლოკა კავა	17	4	13	1165:1309	21
როგლა ატრასი	17	4	13	1198:1364	21
კრაშკი ზიდარი	17	3	14	1193:1365	20

საფრანგეთი

XVIII ტური

შამპანი — ბეზანსონი 83:68, გრაველინი — დიჟონი 94:102, საონი — შოლე 72:58, სტრასბური — ვილერბანი 68:75, ლიმოჟი — ევრე 77:69, პარი სენ ჟერმენი — ანტიბი 85:61, ნანსი — ლე მანი 87:73, მონპელიე — პო ორტეზი 73:86

საფრანგეთის ჩემპიონატში მე-18 ტურის შემდეგ კვლავ ორხელისუფლებიანობაა. ორივე ლიდერმა „პო ორტეზმა“ და „ვილერბანმა“ მოიგო თავისი შეხვედრა, ოღონდ პირველმა შაბათს, ხოლო მეორემ — კვირას.

გაიმარჯვა „ლიმოჟმაც“ და გათამაშების ცხრილში მესამე ადგილი შეინარჩუნა. ფინანსური პრობლემების გამო საკმაოდ არეულ-დარეულმა ლიმოჟელებმა „ევრესთან“ ორთაბრძოლაში ძალის მოკრება შეძლეს და მათ მხარდასაჭერად „ბობლანის“ დარბაზში მისულ 4000 ქომაგს იმედი არ გაუცრუეს. მატჩი მეტად დაძაბულად წარიმართა, დიდი ხნის განმავლობაში ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა გადამწყვეტი უპირვტესობის მოპოვება. შეხვედრის მიწურულს კი ბონატოს ძალისხმევით, რომელმაც მთლიანად მატჩში 20 ქულას მოუყარა თავი, „ლიმოჟმა“ მეტოქის წინააღმდეგობა დასძლია და გამარჯვება მეთორმეტედ იზეიმა.

„ლიმოჟის“ არ იყოს, ფინანსური პრობლემებითაა შეჭირვებული „ანტიბიც“, ოღონდ, მისგან განსხვავებით, აუტსაიდერმა ამ ტურში უმძიმესი მარცხი იგემა. „ანტიბი“ პარიზში „პარი სენ ჟერმენს“ არასრული შემადგენლობით ეწვია, რაც არა მარტო ხელმოკლეობით, ტრავმებითაც იყო განპირობებული. პსჟ-ს 6 პროფესიონალი და 4 ჭაბუკი ანტიბელი დაუპირისპირდა. დედაქალაქელებთან გამკლავება არათუ ამ ექსპერიმენტულ გუნდს, „ანტიბის“ უძლიერეს შემადგენლობასაც გაუჭირდებოდა და პსჟ-მაც იოლ გამარჯვებას მიაღწია — 85:61.

მაჩანჩალა „გრაველინმა“ „დიჟონს“ უმასპინძლა და მედგრად იბრძოლა. გამარჯვებულის გამოსავლენად ორი დამატებითი ტაიმი დაინიშნა. მასპინძელთა ჯილამე დეზავერმა მეტოქეს 36 ქულა აართვა, მაგრამ მას თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს და მორიგი, მეთხუთმეტე მარცხი იწვნიეს.

დაძაბული ჰაექრობა იყო მოსალოდნელი „საონსა“ და „შოლეს“ შორის, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა. ეტყობა, ევროლიგაში „პანათინაიკოსთან“ განადგურებამ სტუმრები ძალიან დათრგუნა და მთაც მასპინძლებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. საონელებმა მეტოქის დაჯაბნა ძირითადად სამქულიანების ხარჯზე შეძლეს. მათ 9-ჯერ ისროლეს 6,25-მეტრიანი ხაზის გარედან ზუსტად, „შოლეს“ კალათბურთელებმა კი მხოლოდ 3-ჯერ.

ევროლიგაში „შოლეს“ მსგავსად „პო ორტეზიც“ შერცხვა, მაგრამ, სამაგიეროდ, ოდნავ შელახული პრესტიჟი შინაურ ჩემპიონატში აღიდგინა. პოელები „მონპელიეს“ სტუმრობდნენ და მასპინძლებს სროლის გაკვეთილიც ჩაუტარეს. ისინი ზუსტად ისროდნენ თამაშიდანაც და საჯარიმოების დროსაც. სტუმრებმა ორქულიანი ტყორცნა 38-ჯერ განახორციელეს და აქედან 26 ჩააგდეს, 15 სამქულიანიდან 6 მოათავსეს კალათში და 17 საჯარიმოდან 16 გამოიყენეს. ერთი სიტყვით, „პო ორტეზმა“ მოიგო და ერთი ღლით ერთპიროვნულ ლიდერადაც იქცა.

კვირას კი „ვილერბანმაც“ იმარჯვა და ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტს ქულებით გაუთანაბრდა. „სტრასბური“ კარგა ხანს არაფერს უთმობდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ ბოლომდე ძალა არ ეყო და მაინც წააგო. სტუმართაგან ყველაზე შედეგიანი მაქსი იყო, რომლის ანგარიშზეც 20 ქულაა.

ვილერბანი	18	15	3	1389:1218	33
პო ორტეზი	18	15	3	1434:1334	33
ლიმოჟი	18	12	6	1336:1245	30
საონი	18	11	7	1353:1264	29
ლე მანი	18	11	7	1328:1285	29
პსჟ	18	10	8	1317:1186	28
შოლე	18	10	8	1332:1312	28
დიჟონი	18	9	9	1363:1318	27
სტრასბური	18	9	9	1315:1329	27
ევრე	18	8	10	1252:1292	26
ნანსი	18	7	11	1248:1252	25
ბეზანსონი	18	7	11	1341:1347	25
შამპანი	18	6	12	1264:1329	24
ანტიბი	18	6	12	1219:1381	24
მონპელიე	18	5	13	1228:1378	23
გრაველინი	18	3	15	1199:1448	21



სტრასბური — ვილერბანი 68:75. ჯეკ ლოტიანი (მარცხნივ) და კრისტიან კლენი (შუაში) ვილერბანელი მარლონ მაქსის (№12) წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია

XVIII ტური

ძუკეტი — ბენეტონი 82:86, აეროპორტი — კინდერი 74:68, ტრიესტი — ადეკო 77:63, იმოლა — პეპსი 112:102, მიულერი — რეჯანა 74:68, ვიოლა — კანტუ 76:68, ფორტიტუდო — სიენა 78:65, ვარეზე — სკავოლინი 74:61

ფორტიტუდო	18	17	1	1390:1185	35
კინდერი	18	13	5	1396:1217	31
აეროპორტი	18	13	5	1327:1285	31
ბენეტონი	18	12	6	1343:1265	30
სიენა	18	11	7	1278:1221	29
სკავოლინი	18	11	7	1368:1326	29
ვიოლა	18	11	7	1338:1366	29
ძუკეტი	18	9	9	1339:1357	27
იმოლა	18	8	10	1453:1468	26
ტრიესტი	18	7	11	1278:1256	25
ვარეზე	18	7	11	1295:1315	25
ადეკო	18	6	12	1268:1373	24
კანტუ	18	6	12	1250:1372	24
მიულერი	18	5	13	1221:1312	23
პეპსი	18	5	13	1256:1363	23
რეჯანა	18	3	15	1351:1470	21

საბერძნეთი

XV ტური

ირაკლიონი — არისი 91:84, ირაკლისი — ნიარ ისტი 72:43, ესპეროსი — აეკ 76:74, სპორტინგი — პანიონიოსი 74:87, მარუსი — ოლიმპიაკოსი 71:77, პაოკ — დაფნი 83:66, პანათინაიკოსი — პერისტერი 92:69

პანათინაიკოსი	15	13	2	1136:927	28
ოლიმპიაკოსი	15	12	3	1068:954	27
აეკ	15	12	3	1130:978	27
პაოკ	15	10	5	1128:1046	25
პერისტერი	15	8	7	1110:1089	23
ირაკლისი	15	8	7	1072:1033	23
პანიონიოსი	15	8	7	1105:1070	23
ირაკლიონი	15	7	8	1104:1081	22
მარუსი	15	6	9	1028:1066	21
ნიარ ისტი	15	6	9	1104:1217	21
დაფნი	15	5	10	1047:1178	20
არისი	15	5	10	1047:1074	20
ესპეროსი	15	3	12	1003:1207	18
სპორტინგი	15	2	13	979:1142	17

თურქეთი

XVI ტური

მიდონოსე — ფენერბაჰჩე 89:101, დარუშაფაკა — თოფაში 45:53, ეფესი — ტროი 84:74, ქარშიაქა — გალათასარაი 92:76, ქომბასანი — ითუ 70:52, ოიაქი — ბეშიქთაში 66:73, ულქერი — ტელეკომი 83:64

ქარშიაქა	16	12	4	1197:1089	28
თოფაში	16	12	4	1181:1056	28
ეფესი	16	12	4	1206:1125	28
ტელეკომი	16	10	6	1219:1164	26
ბეშიქთაში	16	10	6	1184:1142	26
ფენერბაჰჩე	16	10	6	1265:1192	26
ულქერი	16	10	6	1200:1146	26
გალათასარაი	16	9	7	1208:1153	25
დარუშაფაყა	16	9	7	1172:1174	25
ქომბასანი	16	5	11	1120:1140	21
მიდონოსე	16	4	12	1246:1345	20
ტროი	16	4	12	1217:1317	20
ითუ	16	4	12	1034:1192	20
ოიაქი	16	1	15	1037:1251	17

ესპანეთი

XX ტური

კასერესი — ფორუმი 75:61, ტდკ — კანარიასი 84:68, ესტუდიანტესი — ბარსელონა 56:45, ბრეოგანი — ტაუ 74:70, კანტაბრია — კახა სან ფერნანდო 67:72, ხიხონი — ბადალონა 72:63, ლეონი — ფუენლაბრადა 64:62, უნიკახა — რეალი 77:65, პამესა — ხირონა 85:75

პამესა	20	16	4	1634:1457	36
სან ფერნანდო	20	15	5	1492:1363	35
ტაუ	20	13	7	1617:1472	33
ესტუდიანტესი	20	13	7	1463:1368	33
ბარსელონა	20	12	8	1446:1374	32
უნიკახა	20	12	8	1416:1368	32
რეალი	20	11	9	1490:1431	31
ბადალონა	20	10	10	1551:1547	30
კასერესი	20	10	10	1465:1485	30
კანარიასი	20	10	10	1467:1513	30
ხირონა	20	9	11	1467:1435	29
ფორუმი	20	9	11	1368:1416	29
ბრეოგანი	20	8	12	1440:1525	28
ტდკ	20	7	13	1355:1440	27
ხიხონი	20	7	13	1352:1493	27
ფუენლაბრადა	20	6	14	1496:1528	26
ლეონი	20	6	14	1329:1433	26
კანტაბრია	20	6	14	1384:1578	26

რეგულარული ჩემპიონატი

ბოლო წამებზე მოგებული მატჩების დღე

17 იანვარი

ლეიკერსი 81:82 სიეტლი

ლეიკერსი: პარპერი (7), ბრაიანტი (15 ქულა, 14 მოხსნა), რაისი (13), გრინი (2), ონილი (30 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი); ფიშერი (10), ფოქსი (2), ჰორი, ჯორჯი

სიეტლი: ჰეიტონი (36), ბერი (17), პატერსონი (15), ბეიკერი (3 ქულა, 13 მოხსნა), გრანტი (4); ლუისი (7), პერსონი, დევისი, ფოსტერი

„სიეტლ სუპერსონიქსის" ქართველი ცენტრი, როგორც ჩანს, კარგა ხნით დამკვიდრდა თავისი გუნდის სათადარიგოთა სკამზე. ეს ჩვენთვის, სტეფანიას ქართველი გულშემატკივრებისთვის, ძალიან სწყენია, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით. ვოვას იშვიათად უწევს თამაში, ისიც მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა ყველაფერი წინასწარაა გადაწყვეტილი. ასე და ამგვარად, სტეფანიას გამოჩენა ლოს ანჯელესში იქაურ გიგანტ „ლეიკერსთან" არც იყო მოსალოდნელი და ვოვამ კიდეც გაატარა მთელი მატჩი მწვრთნელის, პოლ ვესტფოლის გვერდით.

„სიეტლ სუპერსონიქსი" კი სტეფანიას გარეშეც იგებს თამაშებს. „ზებგერითები" მთელი მონდომებით ატარებენ ყოველ შეხვედრას და ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ შარშანდელი ჩავარდნა მხოლოდ შემთხვევითობა იყო. „სიეტლი" დასავლეთში მხოლოდ სამ გუნდს ჩამორჩება. ისეთი გუნდისთვის კი, რომელმაც წინა სეზონის პლეი ოფი გააცდინა, მეოთხე ადგილი სავსებით საპატიოდ შეიძლება ჩაითვალოს. პოლ ვესტფოლს არც ბიჭების თამაშის ხარისხი უფუჭებს ხასიათს. ხუმრობა ხომ არაა, ჯერ ჩემპიონ „სან ანტონიოს" მოუგო და ამას თვით „ლეიკერსი" მიაყოლო, გუნდი, რომელსაც ყველაზე ცოტა თამაში წაუგია მიმდინარე სეზონში.

ლოს ანჯელესში სენსაციურ გამარჯვებას ვესტფოლი ძირითადად ვერი პეტონს უნდა უმადლოდეს. ეს შეხვედრა, შეიძლება ითქვას, პეიტონის ბენეფისი იყო და პირადად პეიტონმაც მოიგო. ხუმრობაა, „ლეიკერსს" 36 ქულა ჩაუგდო მისსავე დარბაზში, როცა თავზე 19 ათასი კაცი დაგყურის! ასეთი რამ ყოველდღე არ ხდება. თან, სტუმართა 19.3-სანტიმეტრიანმა სუპერგამთამაშებელმა მატჩის დასრულებამდე 16 წამით ადრე ავანტიურისტული სამიანი ჩააგდო მაშინ, როცა მისი გუნდი ორ ქულას აგებდა და დაამუნჯა ახალგახსნილი და პირთამდე სავსე „სტეპლზ სენთერი". სწორედ ამ სროლამ გამოავლინა ამ უკიდურესად დაძაბულ მატჩში გამარჯვებული. სიეტლელის გმირობა შესაბამისად აღინიშნა და 17 იანვრის საკალათბურთო ამერიკის უმთავრეს საბაასო თემად იქცა.

„ლეიკერსის" მრავალნაცადმა მწვრთნელმა ფილ ჯეკსონმა მატჩის დაწყებამდეც მშვენივრად იცოდა, მთავარი საფრთხე საიდან მოელოდა, ამიტომ მეტოქე გუნდის ლიდერს მასზე მაღალი, გამოცდილი რონ ჰარპერი დაუყენა მეურვედ. როგორც ხედავთ, ამან ვერ გაამართლა. პეიტონი მასპინძელთა ვეტერან მცველს იმას უკეთებდა, რასაც მოისურვებდა. ჰარპერმა მეორე ნახევარში ვითომ ოდნავ გამოასწორა საქმე, მაგრამ პეიტონი ქულებს მაინც აგროვებდა, და გამარჯვების ძომტანი სამქულიანითაც დაგვირგვინა ეს მატჩი. „ძალიან უხერხულ პოზიციაში იმყოფებოდა და არ მეგონა, თუ სროლას გადაწყვეტდა — თავს იმართლებდა ჰარპერი — სამწუხაროდ, მაინც ისროლა და ვერც მოვასწარი ხელი შემეშალა".

პეიტონის გარდა სტუმართაგან იმ დღეს სანაქებოდ ირჯებოდნენ სხვა დაბალი სიეტლელებიც. მსროლელი ბრენტ ბერი სნაიპერ გლენ რაისს მეურვეობდა და მშვენივრადაც გაართვა საქმეს თავი. რაისმა 13 სროლიდან სულ ოთხი ჩააგდო და 13 ქულით დაკმაყოფილდა. რაც შეეხება მასპინძელთა ჭაბუკ სუპერვარსკვლავ კობი ბრაიანტს, მისი გაუვნებლება რუბენ პატერსონმა ითავა. როდესაც ამ რამდენიმე თვის წინ პატერსონი „ლეიკერსიდან" „სიეტლში" გადაბარგდა, მან ტრაბახით აიკლო იქაურობა, ჩემი სიმაღლის ნებისმიერ კაცს დავკეტავ და ფეხებზე მკიდია, ვისთან მეჭნება საქმე — პიპენთან, ჰილთან თუ ბრაიანტთანო. პატერსონი განსაკუთრებით ყოფილ თანაგუნდელ კობი ბრაიანტს ემუქრებოდა, როცა შეშხდება, არ გავახარებო. „ლეიკერსში" თამაშისას კობის ჩრილში მყოფ რუბენს მხოლოდ იმით იცნობდნენ, რომ ვარჯიშებზე უხდებოდა ბრაიანტის მეურვეობა, მას მეტსახელად „კობის დამჭერიც" შეარქვეს. და აი, პატერსონს ნატვრა აუსრულდა, მან მთლიანად თუ არა, საგუშვლიანად ამოკეტა მრისხანე ბიჭუნა და ფრენის ხალისი თავიდანვე დაუკარგა.



REUTERS ფილადელფიიდან

ფილადელფია — ნიუ ჯერსი. ალენ აივერსონის (ბურთით) დევნაში ნიუჯერსელი სტივენ მარბერი იატაკზე აღმოჩნდა

კლიპერსი 93:99 სან ანტონიო

კლიპერსი: ტეილორი (22 ქულა, 12 მოხსნა)

სან ანტონიო: რობინსონი (38 ქულა, 11 მოხსნა), დანკანი (23 ქულა, 13 მოხსნა)

დალასი 111:121 ჰიუსტონი

დალასი: სკბალოსი (39), ფინლი (31)

ჰიუსტონი: ფრენსისი (31 ქულა, 11 პასი)

მინესოტა 101:100 ინდიანა

მინესოტა: გარნეტი (37 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი)

ინდიანა: სმიტსი (20)

შარლოტი 115:94 ტორონტო

შარლოტი: ჯონსი (25), კოულმენი (24), კემბელი (23)

ტორონტო: კარტერი (24)

ნიუ იორკი 105:94 დეტროიტი

ნიუ იორკი: სპრიუელი (23), კემბი (22 ქულა, 15 მოხსნა)

დეტროიტი: ლეიტნერი (23)

გოლდენ სტეიტი 113:100 ორლანდო

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (32), მარშალი (20 ქულა, 13 მოხსნა)

ორლანდო: აბდულ-ვაჰადი (19)

ვაშინგტონი 101:105 ბოსტონი

ვაშინგტონი: ჰოვარდი (31), სტრიკლენდი (24)

ბოსტონი: პირსი (34), უოლკერი (31 ქულა, 11 მოხსნა)

ფილადელფია 101:96 ნიუ ჯერსი

ფილადელფია: აივერსონი (34)

ნიუ ჯერსი: მარბერი (31), ვან ჰორნი (20 ქულა, 14 მოხსნა)

ატლანტა 101:107 მილუოკი

ატლანტა: ჰენდერსონი (20 ქულა, 11 მოხსნა)

მილუოკი: კასელი (31 ქულა, 11 პასი), ალენი (23)

17 იანვარს კიდევ ერთ კაცს ხვდა წილად ბედნიერება, ბოლო წამებზე ზუსტი სროლით გადაერჩინა თავისი გუნდი. „მინესოტას" გადამრჩენი მისი უკანახსენები მალიქ სილი ახლა თავის ქალაქში დიდ პატივშია. მართალია, სიეტლელი ჰეიტონისაგან განსხვავებით, სილიმ 36-ის ნაცლად „მხოლოდ" 16 ქულა შესძინა თავისიანებს, მაგრამ მის ლამის ცენტრიდან ნასროლ ბურთს საფინალო სირენამ ჰაერში მოუსწრო, ბურთი „ინდიანას" კალათში ჩაშვა და იქ შეკრებილ აუდიტორიას „ტიმბერვულვზის" მიერ საუკეთესო აღმოსავლელი გუნდის ძლევა ამცნო.

სილის სასწაულ სროლას წინ უძღოდა დრამატიზმით აღსავსე მეოთხე მეოთხედი, რომლის დაწყებამდეც ცოტას თუ ეეჭვებოდა „ინდიანას" გამარჯვება. ტერელ ბრენდონის გარეშე მოთამაშე მასპინძლები 67:77 აგებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ პასებით მომმარაგებელი არ ჰყავდა, მაინც გაიბრწყინა კევინ გარნეტმა. მან 37 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა. ღვედვით მოქნილმა გარნეტმა თავისი 37 ქულიდან 15 ბოლო მეოთხედში დააგროვა. მას ღირსეულად დაუშვენა მხარი ჯო სმიტმა, რომელმაც ამავე პერიოდში თავის გუნდს 14 ქულა შეაწია. ამ ორი მაღლის ძალისხმევით „ინდიანას" ხელში შემოადნა უპირატესობა. გარნეტმა ზედიზედ სამი ტყუპბივით მსგავსი ბურთი ჩააგდო და რამდენიმე ათეული წამით ადრე ანგარიში გათანაბრა — 98:98. „ინდიანამ" ორი დღის წინ თვით „ლეიკერსს" შეაწყვეტინა 16-მატჩიანი მოგებების სერია და ახლა „ვიღაც" „მინესოტას" რას შეუშინდებოდა! მარკ ჯეკსონმა მასპინძლებს 1,6 წამით ადრე ჩაუგდო და მისიანები ეიფორია მიეცნენ. თუმცა, დარჩენილი 1,6 წამი მასპინძლებს სავსებით ეყოთ და მალიქ სილიმ სტუმართა სიხარულს ცივი წყალი გადაასხა.

ის დღე საერთოდ უხვქულიანობით გამოირჩა. პეიტონთან და გარნეტთან ერთად 30 ქულაზე მეტი სხვებმაც დააგროვეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვეტერანი დევიდ რობინსონის თავგამოდება. ჩემპიონ „სან ანტონიოს" ვეტერანმა ცენტრმა „კლიპერსს" 38 ქულა ჩაუგდო და სეზონის რეკორდიც გაიუმჯობესა. ეს ცოტა არ იყოს, მოულოდნელიც იყო, რადგან დღესდღეობით რობინსონი ნაკლებად ცდილობს ქულების დაგროვებას და უმცროს თანაგუნდელ ტიმ დანკანს უფრო უწყობს ხელს, თუმცა ხუთიოდე წლის წინ რობინსონის 38 ქულა არავის გაუკვირდებოდა. თითქოს შემთხვევით ხდება, მაგრამ „ადმირალი" მაინცდამაინც „კლიპერსთან" ფეთქდება. თუნდაც ამის გახსენება იკმარებს — 1994 წელს სეზონი ბოლო მატჩში რობინსონმა „კლიპერსს" არც მეტი, არც ნაკლები, 71 ქულა წაჭვლიჯა.

ფილადელფიელ ალენ აივერსონს ოცდაათი და მეტი ქულის გაკეთება ლამის ყოველდღიურ საქმიანობად ექცა. 183-სანტიმეტრიანმა აივერსონმა არც ახლა ულალატა ჩვეულებას და „ნიუ ჯერსის" კალათი აიკლო. მართალია, არც მეტოქე და მეურვე სტივენ მარბერი ჩამორჩა, მაგრამ გამარჯვება მაინც „ფილადელფიას" დარჩა, ზედიზედ მესამედ.

აივერსონობაზე ოცნებობს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ახლახან ფეხადგმული ჰიუსტონელი სტივ ფრენსისი. მას გულში წლის ახალბედას ტიტული ამოუკრია და ყველაფერს აკეთებს, რათა სხვა დამწყებთაგან გამოირჩეს. აი, ფრენსისმა „დალასთან" შეხვედრაში თავი არ დაზოგა და შედეგიც მოიმკო, 31 ქულით კარიერის (მის შემთხვევაში აგრეთვე სეზონის, რადგან პირველ სეზონს თამაშობს!) რეკორდი დაამყარა. ფრენსისს არც თანაგუნდელები დავიწყებია, გულუხვად ამარაგა პასებით და საერთოდ „დალასთან" თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშა. მისი შეხვედვარე „ჰიუსტონის" გულშემატკივრები იმედიანად არიან და უთუოდ ფიქრობენ: მართალია, ბარკლიმ კალათბურთს თავი დანება, დღეს თუ ხვალ მის გზას დაადგება ჰაკიმ ოლაჯუონიც, მაგრამ სამაგიეროდ აი, რა ბიჭი გვეზრდება, მასთან ერთად „როკეტსი" შორს გაფრინდებაო. როგორც იქნა, მოიშუშტრავმა მოხუცმა ოლაჯუონმა და ამ შეხვედრაშიც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ერთი ქულითაც ვერ შეეშველა თავისიანებს.

თანაგანუდელი ბობი ფილზის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ შარლოტელებმა მეორე შეხვედრა ჩაატარეს და ამჯერად შეძლეს მეტოქის დამარცხება. ექვსი დღე გავიდა ფილზის ავტოკატასტროფაში დაღუპვის შემდეგ, შარლოტში ეხლაც გლოვობენ კალათბურთელს. განსაკუთრებით განიცდის ფილზის უახლოესი მეგობარი ღვედ ვესლი, რომელიც იმ ბედკრულ დღეს „პორშეთი" ეჯიბრებოდა ბობის და ავარიაში ისიც მოყვა. „ტორონტისთან" თამაშზე ვესლის ხელზე ეკეთა სახვევი, რომლითაც ფილზი ოფლს იწმენდდა ხოლმე.

ირაკლი ფირაშვილი

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

	მ	წ	%
მაიამი	24	12	66,7
ნიუ იორკი	23	14	62,2
ფილადელფია	22	16	57,9
ბოსტონი	17	20	45,9
ორლანდო	16	23	41,0
ნიუ ჯერსი	15	22	40,5
ვაშინგტონი	12	27	30,8

ცენტრალური დივიზიონი

ინდიანა	25	12	67,6
დეტროიტი	21	16	56,8
მილუოკი	22	17	56,4
შარლოტი	19	17	52,8
ტორონტო	20	18	52,6
კლივლენდი	16	21	43,2
ატლანტა	13	23	36,1
ჩიკაგო	5	29	14,7

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

იუტა	24	11	68,6
სან ანტონიო	25	14	64,1
მინესოტა	19	16	54,3
დენვერი	17	19	47,2
ჰიუსტონი	13	24	35,1
დალასი	12	25	32,4
ვანკუვერი	10	27	27,0

წყნარი ოკეანის დივიზიონი

ლეიკერსი	32	7	82,1
პორტლენდი	28	9	75,7
სიეტლი	25	13	65,8
საკრამენტო	23	12	65,7
ფინიქსი	21	15	58,3
კლიპერსი	10	27	27,0
გოლდენ სტეიტი	7	30	18,9

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

	საფრანგეთი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები			
	19 იანვარი			
003	სედანი-ლე ავრი	1,6	3,0	5,6
004	სტრასბური-ტრუა	1,8	2,8	4,4
	ინგლისი. თასის მე-4 ეტაპი			
	19 იანვარი			
005	ჩელსი-ნოტინგემი	1,15	5,6	10,0
	19 იანვარი			
007	ლესტერი-არსენალი	3,2	2,9	2,1
	ესპანეთი. თასის 1/8 ფინალი. I მატჩები			
	19 იანვარი			
009	სარაგოსა-რეალი	2,4	2,9	2,6
010	ორენსე (III)-ბარსელონა	7,0	3,8	1,35
011	უნიონი (III)-ატლეტიკო	5,0	3,2	1,6
012	ესპანიოლი-სელტა	2,3	2,9	2,8
013	ოსასუნა-დეპორტივო	3,6	2,9	1,9
014	მერიდა-ოვიედო	2,5	2,9	2,5
015	კომპოსტელა-ვილიარეალი	2,0	2,9	3,4
016	ლუიდა-რაიო ვალეკანო	3,4	2,9	2,0
	ბელგია. ლიგის თასის 1/4 ფინალი			
	19 იანვარი			
017	ლოკერენი-მუსკრონი	2,2	2,9	3,0
018	გენკი-ვესტერლო	1,6	3,2	5,0
	თურქეთი. თასის 1/8 ფინალი			
020	გაზიანთეფი-ალთაი (14^{30})	1,6	3,1	5,3
021	ისთანბული-ანკარა (14^{30})	2,1	2,9	3,2
022	ქოჯაელი-ტრაბზონი	3,0	2,9	2,2
023	გალათასარაი-სამსუნი	1,15	5,6	10,0
	კალათბურთი. NBA			
	19 იანვარი			
805	ბოსტონი-ტორონტო	1,7	12,0	1,7
806	ნიუ იორკი-ნიუ ჯერსი	1,2	12,0	3,5
807	ფილადელფია-ატლანტა	1,15	12,0	4,0
808	ვაშინგტონი-დალასი	1,4	12,0	2,3
809	ინდიანა-მილუოკი	1,25	12,0	3,1
810	ჩიკაგო-შარლოტი	2,8	12,0	1,3
811	სან ანტონიო-პორტლენდი	1,6	12,0	1,8
812	იუტა-მინესოტა	1,15	12,0	4,0
813	ლეიკერსი-კლიველენდი	1,1	12,0	5,0
	20 იანვარი			
814	ნიუ ჯერსი-დეტროიტი	1,7	12,0	1,7
815	შარლოტი-ფილადელფია	1,4	12,0	2,3
816	მილუოკი-სიეტლი	1,7	12,0	1,7
817	ჰიუსტონი-დენვერი	1,7	12,0	1,7
818	საკრამენტო-ორლანდო	1,15	12,0	4,0
819	ვანკუვერი-იუტა	2,5	12,0	1,35
	კალათბურთი. ევროლიგა. II ეტაპი. II ტური			
	19 იანვარი			
820	ბუდუჩნოსტი-ვილერბანი	1,7	12,0	1,7
821	პო ორტეზი-ოლიმპიაკოსი	2,0	12,0	1,5
822	პივოვარნა-ციბონა	2,0	12,0	1,5
823	ვარეზე-ფორტიტუდო	1,7	12,0	1,7
	20 იანვარი			
824	ალბა-ბარსელონა	2,0	12,0	1,5
825	ჟალგირისი-ცსკა	1,8	12,0	1,6
826	თოფაში-ბენეტონი	1,7	12,0	1,7
827	პაოკ-პანათინაიკოსი	2,0	12,0	1,5
828	ცრვენა ზვეზდა-ოლიმპია	2,0	12,0	1,5
829	შოლე-რეალი	2,0	12,0	1,5
830	კახა სან ფერნანდო-მაკაბი	1,6	12,0	1,8
831	ულქერი-ეფესი	1,6	12,0	1,8
	ჰოკეი. NHL			
	19 იანვარი			
836	მონრეალი-აილენდერსი	1,5	4,4	3,0
837	ნიუ ჯერსი-ჩიკაგო	1,4	4,4	3,4
838	პიტსბურგი-სენტ ლუისი	2,0	4,4	2,0
839	ატლანტა-ბოსტონი	2,2	4,4	1,8
840	ფლორიდა-ვაშინგტონი	1,4	4,4	3,4
841	კოლორადო-სან ხოსე	1,6	4,4	2,7
842	ედმონტონი-კალგარი	1,7	4,4	2,4
843	ვანკუვერი-დეტროიტი	2,4	4,4	1,7
844	ანაჰაიმი-დალასი	2,0	4,4	2,0
	20 იანვარი			
845	კაროლინა-რეინჯერსი	1,9	4,4	2,1
846	ფილადელფია-ოტავა	1,6	4,4	2,7
847	ტამპა ბეი-ბოსტონი	2,0	4,4	2,0
848	ფინიქსი-ბუფალო	1,6	4,4	2,7
849	ლოს ანჯელესი-დალასი	2,0	4,4	2,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

გორანი დედას მოუგებს

ავსტრალიის ღია პირველობის შარშანდელი ჩემპიონის, ევგენი კაფელნიკოვისთვის საკუთარი ტიტულის დაცვა კინაღამ კატასტროფით დაიწყო.

მეორე სეტის ბოლოს სოჭელი ჟენია უმწეოდ იწვა კორტზე, ტკივილისგან იმანჭებოდა და გამოძახებულ ექიმს შველას სთხოვდა. გასულ კვირაში კუინგის საჩვენებელ ტურნირზე 25 წლის რუსმა ზურგი დაიზიანა, გერმანელ იენს ჯნიშილდთან მატჩის დასაწყისში კი ამას საზარდულის კუნთის დაჭიმვა მოჰყვა.

ცენტრალურ კორტზე შეკრებილ მცირერიცხოვან მაყურებელთა უმეტესობა კაფელნიკოვის სწრაფი მარცხისგან დიდ სიამოვნებას მიიღებდა — რუსი ხომ ავსტრალიელ ჩოგბურთის მოყვარულთა ნომერი პირველი მტერია.

ეს „პატივი“ ჟენიამ შარშან დევისის თასის ნახევარფინალში მასპინძელი ლეიტონ ჰიუიტის გალანძღვითა და ბრისბენის ბალახის კორტის „კარტოფილის მინდორთან“ შედარებით დაიმსახურა. მელბურნელებმა მის მატჩს ლამის ერთსულოვანი ბოიკოტი ამიტომ გამოუცხადეს და კნიშილდსაც ყოველნაირად ამხნევებდნენ.

კაფელნიკოვს ძალიან სურს იმ შეხვედრის დავიწყება, მაგრამ იცის, რომ ავსტრალიელები ცოდვას ასე იოლად არ აპატიებენ: „არ მინდა, მახსოვდეს რა მოხდა დევისის თასზე, თუმცა ისე კარგად მახსოვს. ჩვენ უკვე 2000 წელს მივაღწიეთ, მოდით, ამაზე გავამახვილოთ ყურადღება, დევისის თასი ძველი ისტორიაა“ — კატა ლეოპოლდის საუკეთესო ტრადიციებით მოუწოდა ჟენიამ მასპინძლებს მატჩის შემდეგ.

თუმცა იმ მომენტში, როდესაც პირველი სეტის წაგების მერე მეორეში 5:4-ით დაწინაურებულმა რუსმა კორტზე ექიმს უხმო, კაფელნიკოვს მაყურებლებთან ურთიერთობის მოგვარება კი არა, მეორე წრეში გაღწევა უფრო ადარდებდა.

სწრაფი და აგრესიული გერმანელი ისეც მობილურობაშეზღუდულ სოჭელს აქეთ-იქეთ დაარბენინებდა და ხშირი ეისებითაც (სულ 20) თავბედს აწყევლინებდა. მაგრამ ფეხზე სახვევის შემოკვრამ და ზურგის ხანგრძლივმა მასაჟმა შარშანდელ ჩემპიონზე ჯადოსნურად იმოქმედა.

აქედან მოყოლებული კაფელნიკოვმა ზედიზედ 5 გეიმი მოიგო, შეცდომებს შესამჩნევად უკლო და დარჩენილ ორ სეტს სულ 56 წუთი დაახარჯა — 6:7 (4:7), 6:4, 6:1, 6:2.

„ეს კარგი კი არა, მახინჯი მატჩი გახლდათ. ყველამ იცით, ამაზე სამჯერ და ოთხჯერ უკეთ შემიძლია თამაში. ზურგი ძალიან მტკიოდა და მთავარი იყო, ბოლომდე გამეძლო, რაც მოვახერხე კიდეც. ამის გამო საკუთარი თავით ვამაყობ. თამაშის მიტოვება არც მიფიქრია, ტრავმა სერიოზული არ არის და იმედია, ჟინულების დადებით ეშველება“ — ოპტიმისტად დარჩა კაფელნიკოვი.

ბოლოს კი ჟენიამ ორგანიზატორებს შეცვლილი საფარის გამო დაუცუცხუნა: „კორტები სასაცილოდ სწრაფია, შარშანდელთან შედარებით. ბურთი ჰაერში გაცილებით სწრაფად მოძრაობს, რაც ძლიერი მოწოდების პატრონი ჩოგბურთელების — სამპრასის, კრაიჩეკის, ფილიპუსისის შანსებს ადიდებს.“

შეცვლილი „რიბაუნდ ეისი“ მარტო კაფელნიკოვის კრიტიკის საგანი არ გამხდარა. ასევე დაიჩივლა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა არანჩა სანჩეს ვიკარიომაც.

„ბურთებიც და კორტიც ზედმეტად ჩქარია. აქ ყოველ წელს ყველაფერი იცვლება, რაც საოცარია. ყველა სხვა დიდი სლემის ტურნირზე მუდმივად ერთნაირი პირობებია, ასე რომ, ვერ გამიგია, აქ რატომ უნდა ხდებოდეს ცვლილებები“ — განაცხადა ესპანელმა, რომელმაც პირველ წრეში თბილისისა და ბათუმის ტურნირების შარშანდელ გამარჯვებულს, გერმანელ ჯულია აბეს მოუგო 6:2, 6:2.

ფრანგმა სედრიკ პიოლინმა ბურთების შეფასებისას კიდევ უფრო შორს შეტოპა. როგორი გახლდათ მისი პასუხი, როდესაც მელბურნული ამინდის შესახებ სთხოვეს აზრის გამოთქმა: „ძნელი სათქმელია, განსაკუთრებით ამ ბურთების შემხედვარეს. ისინი ნაგავეითაა“ (სინამდვილეში ფრანგმა ფეკალური მასის აღმნიშვნელი მოკლე ინგლისური სიტყვა იხმარა).

პიოლინის ცუდი გუნება-განწყობა ძნელი ასახსნელი არ იყო: მეცამეტედ განთესილმა ფრანგმა პირველ წრეში ხორვატ გორან ივანიშევიჩთან წააგო 4:6, 6:2, 5:7, 6:1, 7:9.

ივანიშევიჩს, რომელიც შარშან კლასიფიკაციაში მეთორმეტედან 62-ე ადგილზე დაეშვა, მატჩში 32 ეისი და 14 ორმაგი შეცდომა დაუგროვდა და წარმატებული მომავლის იმედით განმსჭვალა: „შარშან უბრალოდ ცუდი სეზონი მქონდა, რისი გამეორებაც ძალიან ძნელი იქნება. თუ წლეულსაც ისევე ცუდად ასპარეზობას მოვახერხებ, ჯილდო მეკუთვნის. ახლა მთავარია, თავდაჯერება დავიბრუნო, მერე კი კლასიფიკაციაში ძველი ადგილიც.“

პიოლინი სხვა აზრის გახლდათ: „ამ ხორვატს ვერაფერს გაუგებ, ხვალ შეიძლება თავის დედასთან წააგოს. მას შეუძლია, ფინალამდეც მიაღწიოს, მაგრამ არც ის გამიკვირდება, ერთ მატჩში 100 ორმაგი დაუგროვდეს.“

ივანიშევიჩი პიოლინს არ დაეთანხმა: „მართლაც შეიძლება წავაგო, მაგრამ დედაჩემთან არა, მას ჩოგბურთი არასოდეს უთამაშია. ისე, ზოგჯერ ძალიან ცუდ ჩოგბურთელებთანაც ვმარცხდები. ადრე ნებისმიერის ძლევა შემეძლო, მაგრამ ეს გრძნობა კარგა ხანია, არ გამომიცდია.“

ტურნირის ყველაზე დიდი მოულოდნელობა სერენა უილიამსის 20 წლის მასპინძელ ამანდა გრეჰემთან მატჩი გამოდგა. „ოუფენის“ ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს კლასიფიკაციით 261-ე (!) მეტოქის დასამარცხებლად მთელი ძალების მობილიზება და თითქმის ორი საათი დასჭირდა 6:4, 4:6, 6:4.

ცაცია და ჭორფლიან გრეჰემს შესანიშნავი მოწოდება და არანაკლები მიღება გამოადგა, დაუზარელად დარბოდა კორტის ერთი კიდიდან მეორეში და უილიამსიც, ადრე თუ გვიან, აუცილებლად ცდებოდა.

ავსტრალიელის ცოტა მეტი გამოცდილება და პირველი ნამდვილი სენსაციაც გამოცხვებოდა, მაგრამ მატჩის ბოლოს ახალი ვარცხნილობითა და წითელი კაბა-წუღებით გამოცხადებულმა სერენამ თავისი მაინც გაიტანა: „ასე ცუდად თამაშს საპატიო მიზეზითაც კი ვერ გაამართლებ. მან კარგად ითამაშა, მაგრამ მე არასოდეს ვნებდები. მოხარული ვარ, რომ მებრძოლი ხასიათი მაქვს, ამას მაღაზი[illegible] ვერ შეიძენ.“

თუმცა მელბურ[illegible] სერენას შეიძლება ვერც მებრძ[illegible]ლა ხასიათმა უშველოს. მას იგივე ტრავმამ შეახსენა თავი, რის გამოც ნოემბერში მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვება მოუხდა: „მეგონა, რომ საბოლოოდ გამოვჯანმრთელდი, მაგრამ ვცდებოდი. ამ დილით ვარჯიშის დროს ზურგი ისე მტკიოდა, ბურთის დარტყმა მიჭირდა.“

კაცებში კი მორიგმა გამარჯვების პრეტენდენტმაც აიკრა გუდა-ნაბადი. გუსტავო კუერტენმა (5) მეოთხე სეტში სამი მატჩ-პოინტი ვერ გამოიყენა და მომდევნო წრეში ესპანელი ალბერტ პორტასი გაიდა 4:6, 4:6, 6:4, 7:6 (10:8), 6:4.

კაცები. პირველი წრე: ნიკოლას ლაპენტი (7, ეკვადორი) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 6:3, 5:7, 6:7 (2:7), 6:4, 8:6; ტომი პაბასი (10, გერმანია) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 7:6 (7:2), 6:4, 4:6, 6:2; მაგნუს ნორმანი (12, შვედეთი) — სესილ მემიტი (აშშ) 7:5, 6:4, 3:6, 6:3; ნიკოლას კიფერი (4, გერმანია) — გილერმო კანასი (არგენტინა) 4:6, 6:3, 6:4, 6:4; კრისტოფ როშეუ (ბელგია) — ალბერტ კოსტა (15, ესპანეთი) 6:3, 6:7 (8:10), 6:4, 6:3; ალეძს კორეტხა (ესპანეთი) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 7:6 (7:5), 6:4, 6:4; როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:4, 6:4, 7:6 (7:5); გრანტ სტაფორდი (სამხრეთ აფრიკა) — მარატ საფინი (რუსეთი) 7:6 (7:4), 6:4, 6:1.

ქალები. პირველი წრე: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) 6:1, 6:2; სანდრინ ტესტიუ (12, საფრანგეთი) — პეტრა მანდულა (უნგრეთი) 6:3, 4:6, 6:3; ბარბარა შეტი (6, ავსტრია) — მეილენ ტიუ (აშშ) 6:2, 6:7 (4:7), 6:4; კონჩიტა მარტინესი (10, ესპანეთი) — სანდრა კლეინოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:1; ელენა ლიხოვცევა (16, რუსეთი) — პავლინა ნოლა (ბულგარეთი) 6:2, 6:2; ოლგა ბარაბანშიკოვა (ბელარუსი) — ირინა სპირლეა (რუმინეთი) 6:4, 3:6, 6:3; ჟუსტინ ენენი (ბელგია) — კერი-ენ გიუზი (ავსტრალია) 6:4, 6:2.

ავთანდილ სვანიძე

REUTERS მელბურნიდან

გორან ივანიშევიჩი

სერენა უილიამსი

სხვადასხვა

შტეფი გრაფი

გვესაჭიროება: შეგნებული მოქალაქეები, რომლებიც უთვალთვალებენ ჩოგბურთის ახალ ოქროს წყვილს, ანდრე აგასისა და შტეფი გრაფს.

დაახლოებით ასეთი შინაარსის მოწოდებამ გაიჟღერა სამშაბათს, ჩვეულებრივ კონსერვატორული მელბურნული გაზეთის „ეიჯის“ ფურცლებიდან. გრაფი და აგასი ერთად ყოფნას არავის უმალავენ, მაგრამ ამით ინტერესი მათი პირადი ცხოვრების მიმართ კი არ ცხრება, პირიქით — იზრდება.

„ჩვენ გახარებულნი ვართ ჩოგბურთის სამეფო ოჯახის აქ ყოფნით და თანამოქალაქეებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ ინფორმაცია შტეფისა და ანდრეს გადაადგილების შესახებ. კარგი იქნება, არწივისთვალება მკითხველებმა, რომლებიც მათ მაღაზიაში ან პლაჟზე დაინახავენ, ამის შესახებ შეგვატყობინონ. იქნებ შეეკვარებულებს რაიმე წვეულებაზე, ეკლესიებში ან სარეგისტრაციო სამსახურებშიც (მმჩის ბიუროში) მოჰკრათ თვალი“.

„ეიჯი“ მთლად ტაბლოიდურ მორევში არ გადაეშვა და მკითხველებს მოუწოდა, წყვილს ხშირი ფოტოგრაფირებით და კუდში დევნით თავი არ მოაბეზროთ, ყველაფერს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდესო.

„ჩვენ ჯილდოებს ვერ დავაწესებთ — ეს ჯაშუშობისთვის ფულის შეთავაზებაში ჩამოგვერთმევა და ანდრე ძალიან გაგვიბრაზდება, მაგრამ საუკეთესო შეტყობინებებს აუცილებლად გამოვაქვეყნებთ. აბა, თქვენი იმედი გვაქვს“ — ნათქვამია მოწოდებაში.

არც გრაფს და არც აგასის, რომელიც გუშინ არ თამაშობდა, ჯერჯერობით მომხდარზე კომენტარი არ გაუკეთებიათ, თუმცა ვაი „ეიჯს“, თუ ხმა ამოიღეს.

და კიდევ ერთი ამბავი ვარსკვლავური წყვილის ცხოვრებიდან, როგორც ეტყობა, მასპინძელთა დიდი მცდელობის მიუხედავად, შტეფი გრაფი მელბურნში მთელ დროს სატრფოს ქომაგობას დაუთმობს და კომენტატორობას არ შეითავსებს.

ადგილობრივ სპორტულ არხ „ჩენელ 7“-ს ძალიან სურდა, ტურნირის ოთხგზის ჩემპიონი თავის საკომენტატორო ჯიხურში ეხილა და ამისთვის პენსიაზე გასული გერმანელის მენეჯერებსაც დაუკავშირდა, თუმცა მათგან პასუხს ვერ ეღირსა.

„ტურნირი უკვე დაიწყო, ასე რომ, მგონი, არაფერი გამოგვივა“ — იმედგაცრუებით განაცხადა არხის თავკაცმა გორდონ ბენეტმა, რომელმაც ორი წლის წინ მსოფლიოს კიდევ ერთი ყოფილი პირველი ჩოგანი, ჯონ მაკინროი დაითანხმა კომენტატორობაზე.

თუმცა „მეშვიდე არხი“ ერთადერთი არ არის, ვისაც ქალბატონ გრაფთან დაკავშირება გაუჭირდა, დაახლოებით იგივე ბედი ეწიათ ავტოგრაფების მსურველებსაც, რომლებიც ორშაბათს ტრიბუნაზე აგასის მოქმაგე ჩოგბურთელს ბუზებივით ეხვეოდნენ.

როდესაც ათობით თინეიჯერით გარშემორტყმულ გრაფს ისინი თავიდან ვერც აგასის პირადმა მცველმა, ჩაფსკვნილმა ჯილ რეიესმა და მწვრთნელმა ბრედ ჯილბერტმაც ვერ მოაცილეს, ტურნირის ორგანიზატორებმა დაცვის ორი თანამშრომელი გამოყვეს. ისინი მატჩის ბოლომდე შტეფის გვერდით ისხდნენ და ისეთი მრისხანე თვალებით უცქერდნენ ავტოგრაფის მსურველებს, ვარსკვლავთან მიახლოების ხალისს მაშინვე უკარგავდნენ.

არადა, როგორც გერმანულ ჟურნალ „ველტ ამ ზონტაგს“ განუცხადა, გერმანელს პირად ცხოვრებაში ასე ბედნიერად თავი არასოდეს უგრძვნია: „ანდრე ჩემი გულის შესაიდუმლეა. ჩვენ კარგად გვესმის ერთმანეთის, რადგან ბევრი რამით ვგავართ და ერთნაირი ცხოვრებაც გვქონდა. საკუთარ ბოიფრენდთან ჩოგბურთის თამაშიც ძალიან სასიამოვნოა“.

* * *

რაკი უფროსი და და მუდმივი სპარინგ-პარტნიორი ვინუსი ტრავმის გამო ვერ თამაშობს, სერენა უილიამსმა საკარჯიშოდ ღირსეულ მოწინააღმდეგეს მხოლოდ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებში მიაგნო.

თუმცა კაცებთან საქმის დაჭერა არც ისე იოლი გამოდგა, როგორც შავკანიან ამერიკელს ეგონა: „ვინუსის შეცვლა ძნელია, მაგრამ ჩემი სპარინგ-პარტნიორი ბიჭი კარგად თამაშობს — უფრო სწორად, ზედმეტად კარგად. ამ დილით ვარჯიშისას ძალიან გავნერვიულდი, რადგან რაც არ უნდა გამეკეთებინა, ის მაინც მასწრებდა და სულ იოლად მიგებდა“.

შეგახსენებთ, რომ გასულ შემოდგომაზე სერენამ განაცხადა, ქალებთან პაექრობა მომბეზრდა, ATP ტურზე უნდა ვითამაშო და შტუტგარტის ტურნირის თავკაცს „უაილდ ქარდიც“ კი მოსთხოვა. ჩოგბურთელი კაცების მხრიდან ამას მხოლოდ დაცინვა მოჰყვა და როგორც აღმოჩნდა, არცთუ უსაფუძვლოდ.

* * *

16 წლის ავსტრალიელ ელენა დოკიჩს ღირსეულად წაგებისა, ეტყობა, არაფერი გაეგება.

შარშან უიმბლდონზე მსოფლიოს პირველი ჩოგნის, მარტინა ჰინგისის დამარცხებითა და მეოთხედფინალში გასვლით გამორჩეულმა ელენამ შშობლიურ ტურნირზე პირველივე წრეში უნგრელ რიტა კუტი კისთან წააგო 1:6, 6:2, 3:6, მერე კი სავალდებულო პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა.

ამას ჩვეულებრივ 6600-დოლარიანი ჯარიმა მოსდევს-ხოლმე, ამიტომ დოკიჩი დიდი დაგვიანებით, ხუთი საათის შემდეგ მაინც დაუბრუნდა „მელბურნ პარკს“ და ჟურნალისტებსაც ესაუბრა. თუმცა ამ ხნის განმავლობაში საღი აზრი სულაც არ დაბრუნებია.

„ვფიქრობ, მატჩის შემდეგ ბევრი კითხვა გაგიჩნდებოდათ, მაგრამ დღეს უბრალოდ ისეთ ვინმესთან წავაგე, რომელიც არც არასდროს ყოფილა მოთამაშე და ვერც ვერასოდეს გახდება“ — თავხედურად განაცხადა უნგრელის შესახებ დოკიჩმა, რომელსაც ლოთი და ცოტა შერეკილი მამის, დამირის ხელში მეტი ზრდილობა, ალბათ, არც მოეთხოვება.

თავისი გაუჩინარება კი იუგოსლავიიდან გადასახლებულმა დოკიჩმა ეკლესიაში წასვლით ახსნა, ვილოცე, რომ ამერიდან ასე ცუდად არასოდეს ვითამაშოო.

ბერძენ-რომაელები რომში მიდიან, სალუქვაძე გერმანიაში

რამდენიმე დღის წინ სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზირებულ თუ ლიცენზიის მოპოვების რეალურ კანდიდატთა იმ გასაჭირზე გიამბეთ, უფულობა რომ ჰქვია და რის გამოც სპორტსმენები იანვრის ტურნირებში ვერ ასპარეზობდნენ. დღეს ისევ ვუბრუნდებით ამ თემას და ნინო სალუქვაძით დავიწყებთ.

ნინო 10-დღიან შეკრებაზე, 15 იანვარს დორტმუნდში რომ უნდა დაწყებულიყო, ვერ წავიდა, რადგან ქალაქის მერიამ ვერ დააფინანსა. 19 ოქტომბერს ფილარმონიაში გამართულ საუკუნის სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიალზე ქალაქის მერმა სალუქვაძეს მერიის სახელით შეფობა აღუთქვა. სპორტსმენმა მას ხარჯთ აღრიცხვა დროულად წარუდგინა, მაგრამ ვანო ზოდელავამ იუარა, ამდენს ვერ გადავიხდით და ნაწილობრივ კი დაგაფინანსებთო. ზემოთ გითხარით შეკრება ვერც დაუფინანსა და სპორტსმენს მზადების უმნიშვნელოვანესი ეტაპი ჩაშალა.

შარშან შედგენილი მოსამზადებელი გეგმის მიხედვით ნინო 25 იანვარს მიუნხენის საერთაშორისო ტურნირში უნდა გამოვიდეს. ადრინდელი მუქარის მიუხედავად, როგორც თავად სალუქვაძემ გვითხრა, მაინც გადაწყვიტა გერმანიაში წასვლა. დამფინანსებლის როლში ამჯერად საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მოგვევლინა. სალუქვაძემ თავის სიტყვებს ესეც დაამატა, ასეთი მზადების პირობებში ჩემგან მედალს ნურავინ ელისო.

გუშინ მოსკოვში 45-დღიან შეკრებაზე გაემგზავრა სპორტულად ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძე. ის იქ ფედერაციის, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და დეპარტამენტის საერთო ძალისხმევით წავიდა.

სეოკ-მა ამ გაჭირვების ჟამს დახმარების ხელი გაუწოდა ქართულ სპორტს. მართალია, ჯიბესავსე არც იგია, მაგრამ ფაქტია, ძიუდოისტებს სალიცენზიო ტურნირზე გაგზავნას შეპირდა. თუმცა ჯერ მხოლოდ შეპირდა.

სეოკ-ს ძიუდოისტებისთვის მოსკოვში წასასვლელი ფული გუშინ უნდა მიეცა, მაგრამ თანხა ვერ გამოძებნა, დღეს კი ნათლისღების უქმეა და არაფერი მოხერხდება. რჩება ხუთშაბათი, პარასკევს უკვე უნდა წავიდნენ. 22-23 იანვარს მათ მოსკოვში სალიცენზიო ტურნირი ეწყებათ. ზუსტად იგივე დღეებში რომში „ბერძენ-რომაელთა“ ანალოგიური რანგის შეჯიბრია. როგორც ჭიდაობის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა დავით გობეჯიშვილმა გვითხრა, იქ წასასვლელი ფული დეპარტამენტმა უკვე უშოვათ და ჩვენი მოჭიდავეები ხვალ გაემგზავრებიან მარადიულ ქალაქში.

ირაკლი თავაძე

იან ტორპი

სუზან ონილი

იან ტორპი და სუზან ონილი საკუთარი რეკორდების წინააღმდეგ

Fina SWIMMING WORLD CUP

ამ რამდენიმე დღეში სამხრეთნახევარსფეროში ავსტრალიელებმა ცურვაში სამი მსოფლიოს რეკორდი დაამყარეს.

პირველი რეკორდი მსოფლიოს თასის მეექვსე ეტაპზე მეტ უელშმა დაამყარა, რასაც გუშინდელ „სარბილეში“ ვიუწყებოდით. ამას მოჰყვა იმავე მსოფლიოს თასის მეშვიდე ეტაპი, რომელსაც სიდნეის ოლიმპიურმა 25-მეტრიანმა აუზმა. უმასპინძლა და ორი მსოფლიოს რეკორდით აღინიშნა. ერთის ავტორი გახდა 17 წლის ვარსკვლავი იან ტორპი, რომელიც ბოლო ორ წელიწადში საცურაო ბილიკებზე ელვისებურად შემოიჭრა. შემოიჭრა და ამ ხუთი თვის განმავლობაში ხუთი მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა, ამათგან ოთხი ინდივიდუალურ სახეობებში, ერთი კი ესტაფეტაში.

აღსანიშნავია, რომ ბოლო შედეგით 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მან თავისივე მსოფლიოს რეკორდი გაუუმჯობესა, რომელიც შარშან ჰონგ კონგში მცირე აუზის მსოფლიოს ჩემპიონატზე დაამყარა (1.43,28). ახლანდელი რეკორდი (1.42,54) კი 0,74 წამით უკეთესი აღმოჩნდა.

— ამ მსოფლიოს რეკორდის დამყარებას სულაც არ ვფიქრობდი, თუმცა სეზონის ამ დროისთვის მასზე უარს არ ვიტყვი. ყველაფერი თავისთავად მოხდა — ნახევრად ხუმრობით თქვა ტორპმა.

როგორც ავსტრალიის 1999 წლის საუკეთესო მოცურავე ტორპმა, მისმა თანაგუნდელმა სუზან ონილმაც თავისივე მსოფლიოს რეკორდი დაამხო. 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ონილმა შარშან სექტემბერში, კანბერაში დამყარებული რეკორდი (2.04,43) გაუუმჯობესა (2.04,16).

გიგა გურასაშვილი



მაიკ ტაისონმა ვარჯიშით რომ გული იჯერა, მერე, ავტომობილით მოსეირნე, ლონდონელებსაც მიესალმა

კარგით, რა, ქალბატონო ჯულია...

ბრიტანელი ქალების ნება რომ იყოს, ლონდონში მოვარჯიშე ტაისონს დაასაჭურისებდნენ

მაიკ ტაისონი შუა ლონდონში ცხოვრობს „გროსვენორ ჰაუს ჰოტელში“ და დროს სავარჯიშო დარბაზში ატარებს.

თუმცა, ორშაბათს მაიკმა ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება გადაწყვიტა და კარგა ხანს იბოდიალა ცენტრალურ ლონდონში. რა თქმა უნდა, ჟურნალისტების თანხლებით. ამგვარი სეირნობის შედეგი ის იყო, რომ გამვლელები ტაისონს ეხვეოდნენ და ავტოგრაფს თხოვდნენ. ბოლოს კი მაიკმა საღლაბუცო კრივი გამართა ერთ პირტიტველა გამვლელთან.

ბრიტანელ საკრივო მწერლებს კი უფრო ტაისონის ვარჯიში აინტერესებთ. ამერიკელმა უკვე ჩაატარა ღია კარის დღე და მის ვარჯიშს ბლომად ხალხი დაესწრო. თვითმხილველთა მოწმობით, მაიკი ბრწყინვალე ფორმაშია.

„ბოლო ათი წელიწადია, ასეთი არ ყოფილა“, — უმტკიცებს „ივნინგ სტენდარდს“ ველთერის წონის ყოფილი ჩემპიონი ლოიდ ჰონიგანი, ტაისონის ძველი მეგობარი, — „აქამდე მაიკს დაუსწრებლად უყვარდა ბრიტანეთი. ყოველთვის ყველაზე მეტ კეთილგანწყობილ წერილს იღებდა აქედან. ახლა კი ნაცნობობა შედგა“.

ჯულიუს ფრენსისთან ბრძოლისთვის ტაისონი 13 მილიონ დოლარს მიიღებს და მეორე დღესვე ამერიკისკენ გაფრინდება.

ამასობაში კი არ ცხრებიან ბრიტანეთის ქალთა უფლებების დამცველი ჯგუფის, „სამართლიანობა ქალთათვის“ წევრები. განსაკუთრებით აქტიურობს ქალბატონი ჯულია ბინდელი, რომელმაც ტაისონს „ბრიტანეთის ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო ტურისტი უწოდა“.

დამცველთა აზრით, საშინაო ოფისის თავკაცმა ჯეკ სტროუმ თავისი გადაწყვეტილებით დასცინა ტაისონის მიერ ნატანჯ ქალებს და ზოგადად ქალებსაც. ქალბატონი ბინდელი უმაღლესი სასამართლოსგან ითხოვს სტროუს გადაწყვეტილების იურიდიულ დასაბუთებას.

„ჩვენ ვერ შევებრძოლებით ტაისონს, მაგრამ პასუხს მოვთხოვთ კაცს, ვინც იგი ქვეყანაში შემოუშვა“, — არ ცხრება ბინდელი.

ალბერტ ხაჩატურიშვილი

ტრადიციული ნახევარფინალი ტრადიციულ ფინალამდე

ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა და ფიჯი უერთმანეთოდ ვერ ძლებენ

შვიდკაცას მსოფლიოს სერიის მესამე ტურნირს ურუგვაის ქალაქმა პუნტა დელ ესტემ უმასპინძლა. წინა ორი შეჯიბრისგან განსხვავებით, მასში საქართველოს ნაკრებს არ უთამაშია. ურუგვაიში 16 გუნდმა მოიყარა თავი, რომლებიც ოთხ ჯგუფად განაწილდნენ. A ჯგუფი: ურუგვაი, პერუ, ახალი ზელანდია, ესპანეთი; B ჯგუფი: ფიჯი, კანადა, საფრანგეთი, პარაგვაი; C ჯგუფი: ავსტრალია, ჩილე, სამხრეთ აფრიკა, გერმანია; D ჯგუფი: სამოა, არგენტინა, ბრაზილია, აშშ.

პირველ დღეს სპეციალისტები ჩილეს ნაკრებმა გააოცა. ჩილელებმა პირველი მატჩი ავსტრალიასთან დამთეს, შემდეგ გერმანიას 26:0 აჯობეს და ბოლოს მეტად დაძაბულ შეხვედრაში სამხრეთაფრიკელებსაც სძლიეს (28:21), რასაც ნამდვილად არავინ ელოდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩილე მეოთხედფინალში მაინც ვერ გავიდა, რადგან შვიდმა „ქურციკმა“ შვიდი „ვოლაბის“ დამარცხება შეძლო და სამ გუნდს ორ-ორი მოგება დაუგროვდა. ამ სამეულიდან კი სამხრეთ აფრიკას და ავსტრალიას ბურთების უკეთესი შეფარდება ჰქონდათ, ვიდრე ჩილეს და შემდეგ ეტაპზეც ისინი გავიდნენ. დანარჩენმა სამხრეთამერიკელებმა — პერუმ, პარაგვაიმ და ბრაზილიამ თავი ვერაფრით გამოიჩინეს და ყველა მატჩი წააგეს. პირველი დღის მოულოდნელობა იყო საფრანგეთის ჯგუფში დარჩენაც. „მამლებმა“ მხოლოდ პარაგვაის ძლევა მოახერხეს (47:7), მერე კი ორ თამაშში ქულაც ვეღარ აიღეს (0:14 კანადასთან და 0:47 (!) ფიჯისთან) და მეოთხედფინალის მიღმა დარჩნენ.

ფინალი „ტრადიციული“ გამოდგა. ახალი ზელანდია და ფიჯი ყველა მეტოქეს საკმაოდ იოლად გაუსწორდნენ და მსოფლიოს სერიის მესამე ტურნირის გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს მესამედ დაუპირისპირდნენ. ისე, კლავაც თუ ასე გაგრძელდა, უპრიანი იქნებოდა, ტურნირების ორგანიზატორებს ეს გუნდები პირდაპირ ფინალში დაეშვათ, დანარჩენები კი მესამე ადგილისთვის ეთამაშებინათ.

აქამდე ახალ ზელანდიას და ფიჯის თითო ტურნირი მოეგოთ. ამჯერად „ოლ ბლექსმა“ იმარჯვა და ოკეანეთის გუნდს კუდით ქვა ასროლინა — 42:19. „შავებმა“ მოწინააღმდეგეს ექვსი ლელო გაუტანეს, ფიჯელებმა კი — ორჯერ ნაკლები.

ტრადიციულ ფინალამდე კი ტრადიციული ნახევარფინალი გაიმართა. ახალი ზელანდია მესამედ შეხვდა სამხრეთ აფრიკას და მესამედ გაანადგურა — 31:7. აქვე გთავაზობთ ფინალური ეტაპის ანგარიშებს და საერთო ჩათვლის შედეგებს სამი ტურნირის მერე.

გაბი გურული

მეოთხედფინალი

ახალი ზელანდია 33:12 კანადა

სამხრეთ აფრიკა 24:19 არგენტინა

ავსტრალია 7:12 სამოა

ფიჯი 38:5 ურუგვაი

ნახევარფინალი

ახალი ზელანდია 31:7 სამხრეთ აფრიკა

ფიჯი 19:12 სამოა

ფინალი

ახალი ზელანდია 42:19 ფიჯი

საერთო ჩათვლა

1. ახალი ზელანდია — 56 ქულა
2. ფიჯი — 52
3. სამხრეთ აფრიკა — 36
4. სამოა — 30
5. ავსტრალია — 24
6. საქართველო — 12
7. კანადა — 10
8. საფრანგეთი — 8
9. ტონგა — 6
10. შოტლანდია — 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალღლის თავი ვენგენში ყოფილა დამარხული

ამ უქმეებზე სამთომოთხილამურეებმა მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპებზე იასპარეზეს. ქალები ავსტრიულ ალტენმარკტში სწრაფდაშვებასა და სუპერგიგანტში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. კაცებს კი თავი შვეიცარიულ ვენგენში მოეყარათ და სწრაფდაშვებისა და სლალომის ტრასებზე დაქროდნენ. შაბათი იღბლიანი დღე გამოდგა შვეიცარიელი კორინ რეი ბელისთვის, რომელმაც 1.34,47 წუთში ჩაიქროლა ალტენმარკტის მთიანეთის დაღმართზე და წლევანდელ სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა. მეორე-მესამე ადგილები გერმანელებმა - რეგინა ჰეუზლმა და მარტინა ერტლმა დაიკავეს. მსოფლიოს თასის ლიდერი, ავსტრიელი მიქაელა დორფმაისტერი ამჯერად მხოლოდ მეთხუთმეტე ადგილს დასჯერდა.

კვირას ქალებმა სუპერგიგანტში იასპარეზეს. ავსტრიელ ქომაგთა გასახარად, იმარჯვა რენატა გოეტჩლიმ, რომელმაც საუკეთესო დრო — 1.29,76 წუთი აჩვენა და თვისტომი ტანია შნაიდერი და გერმანელი რეგინე ჰეუზლი მეორე-მესამე ადგილებს დააჯერა. წინა დღესთან შედარებით უკეთ გაისარჯა დორფმაისტერი — იგი სუპერგიგანტში მეექვსე იყო, საერთო ჩათვლაში 725 ქულა დაუგროვდა და ლიდერობაც შეინარჩუნა.

ავსტრიიდან შვეიცარიის მთებში გადავინაცვლოთ და იქაურ სამთო კურორტ ვენგენში გამართულ კაცთა შეჯიბრზეც ვთქვათ, მით უფრო, რომ სპეციალისტები გამორჩეული ინტერესით ელოდნენ მსოფლიოს თასის ამ ეტაპს. საქმე ისაა, რომ ვენგენის სწრაფდაშვების ტრასა ლობერხორნი, რომელიც ერნსტ გერტშემ ჯერ კიდევ 1930 წელს ააგო, ყველაზე გრძელ, ყველაზე სწრაფ და ამავე დროს საშიშ ტრასად არის ცნობილი. ლობერხონს თავისი 70-წლიანი ისტორიის მანძილზე არაერთი სამთომოთხილამურის სიცოცხლე შეუწირავს, რომ არაფერი ვთქვათ დაშავებულ სპორტსმენებზე.

არც წლევანდელი ეტაპი იყო გამონაკლისი. ლობერხონის მსხვერპლნი ამჯერად 29 წლის სლოვენიელი პეტერ რეუხაკი და შვეიცარიელი სილვანო ბულტრამენდი გახდნენ. პეტერი უცნობილესი ნახტომის „ძაღლის თავის" შესრულებისას ტრასაზე დაენარცხა, მუხლის მყესები დაიწყვიტა და ვენგენის ჰოსპიტალში ამოყო თავი.

ახლა გამარჯვებულებზეც ვთქვათ. ეს ურთულესი ეტაპი ავსტრიელმა იოზეფ შტრობლმა მოიგო. „პეპემ" უშეცდომოდ გაიარა დისტანცია და მანამდე დაწინაურებულ მსოფლიოს თასის ლიდერ ჰერმან მაიერს ხასიათი წაუხდინა. ამიტომაც იყო, „ჰერმინატორმა" ჟურნალისტებს რომ უთხრა: „ვიდეოჩანაწერის ხილვისას დავრწმუნდი, შტრობლმა ჩემზე მეტად გარისკა და ამიტომაც გაიმარჯვა. ცოტა უფრო გაბედულად რომ მესრიალა, ეტაპსაც მოვიგებდი, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი გვიანაა".

კვირას გამართულ სლალომისტთა შეჯიბრში, საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე დამკვიდრებულმა, ნორვეგიელმა კეტილ ამოდტმა იმარჯვა. კვარცხლბეკზე მას მხარი თვისტომმა ოლე კრისტიან ფურუზეტმა და სლოვენიელმა დრაგო გრომელნიკმა დაუმშვენეს.

REUTERS ვენგენიდან

ლობერხონის ტრასამ სილვანო ბულტრამენდიც შეიწირა

საერთო ჩათვლა
ქალები
1. მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 725 ქულა
2. რენატა გოეტჩლი (ავსტრია) 686
3. იზოლდე კოსტნერი (იტალია) 505
4. რეგინა კავანიუ (საფრანგეთი) 479
5. სონია ნეფი (შვეიცარია) 476
კაცები
1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 1100 ქულა
2. კატილ ამოდტი (ნორვეგია) 746
3. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 606
4. იოზეფ შტრობლი (ავსტრია) 530
5. ანდრეას შიფერერი (ავსტრია) 512

ბიატლონი. მსოფლიოს თასი

რუპოლდინგი. გერმანია

კაცები		
10 კმ სპრინტი		
1. რიკო გროსი (გერმანია)	24.41,1 წთ	(0+0)
2. ვადიმ საშურინი (ბელარუსი)	24.53,2	(0+0)
3. რაფაელ პუარე (საფრანგეთი)	24.54,1	(0+1)
12,5 კმ გამოდევნებით		
1. ჰალვარდ ჰენევოლდი (ნორვეგია)	35.14,0 წთ	(0+0+0+0)
2. ოლე ბიორნდალენი (ნორვეგია)	+1,0	(0+2+0+1)
3. რაფაელ პუარე	+1,2	(1+1+1+0)
საერთო ჩათვლა		
1. ოლე ბიორნდალენი	230 ქულა	
2. სვენ ფიშერი (გერმანია)	226	
3. რაფაელ პუარე	217	
ქალები		
7,5 კმ სპრინტი		
1. ნატალი სანტერი (იტალია)	23.46,4 წთ	(0+0)
2. კატრინ აპელი (გერმანია)	23.48,2	(1+0)
3. ოლგა პილევა (რუსეთი)	23.53,2	(0+0)
12,5 კმ გამოდევნებით		
1. მარტინა ზელნერი (გერმანია)	31.08,3 წთ	(0+0+0+0)
2. კორინ ნიოგრე (საფრანგეთი)	+12,9	(0+0+0+0)
3. მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი)	+21,4	(0+0+1+0)
საერთო ჩათვლა		
1. მაგდალენა ფორსბერგი	282	
2. ალიონა ზურილოვა (უკრაინა)	215	
3. უშლი დიზლი (გერმანია)	191	

რეი ბურკს ფერარი დაეჯახა (ეს ხუმრობით) ბურკი კარს კბილებით იცავს (ეს ნამდვილად)

NHL

17 იანვარი

აილენდერსი — ოტავა 3:4

1:1 1:0 1:2 0:1

0:1 პროსპალი 16'49 (11); 1:1 კონოლი 17'30 (7); 2:1 ისბისტერი 20'17 (15); 3:1 გრინი 47'03 (4); 3:2 მაკიჩერნი 53'06 (18). 3:3 იორკი 55'06 (3); 3:4 ჰოსა 63'57 (16)

ტამპა — ვაშინგტონი 3:6 (0:1 2:2 1:3)

0:1 ზედნიკი 19'44 (10); 1:1 ტაკერი 24'00 (11); 1:2 დალენი 27'31 (6); 1:3 ჰალპერნი 34'41 (6); 2:3 მაკელპინი 37'26 (2); 2:4 გონჩარი 43'06 (9); 3:4 მარტინსი 46'58 (4); 3:5 დალენი 52'27 (7); 3:6 სიმონი 59'27 (11)

ბოსტონი — ატლანტა 3:3 (0:0 0:2 3:1 0:0)

0:1 ბრიუნეტი 24'17 (18); 0:2 დონოვანი 31'22 (3); 0:3 ტეიმერი 51'35 (1); 1:3 მაკლარენი 53'03 (5); 2:3 ტორნტონი 53'16 (11); 3:3 ანდრეიჩუკი 59'30 (18)

ფლორიდა — ფილადელფია 3:1 (0:0 1:1 2:0)

0:1 ზელეპუკინი 21'46 (6), 1:1 პერიში 36'27 (15); 2:1 შვეჰლა 49'35 (8); 3:1 შვეჰლა 59'42 (9)

კოლორადო — ფინიქსი 2:0 (2:0 0:0 0:0)

1:0 საკიკი 0'13 (8); 2:0 პოდეინი 13'20 (6)

ნიუ ჯერსი — კაროლინა 5:2 (1:0 1:1 3:1)

1:0 მორისონი 6'28 (3); 1:1 რანჰეიმი 22'12 (7); 2:1 მედენი 29'14 (8); 3:1 ოლივა 44'55 (6); 4:1 ელიაში 49'55 (16); 4:2 ჟელინა 56'22 (6); 5:2 ჰოლიკი 57'59 (16)

ჩიკაგო — სან ხოსე 5:4 (2:0 2:1 0:3 1:0)

1:0 ნიულანდერი 14'32 (12); 2:0 დაზე 18'53 (17); 3:0 დაზე 23'54 (18); 3:1 კოროლიუკი 30'37 (13); ნიულანდერი 38'13 (13); 4:2 მარლო 42'40 (11); 4:3 სუტერი 47'38 (4); 4:4 რიჩი 55'47 (13); 5:4 გილმორი 60'56 (17)

ვანკუვერი — ტორონტო 4:5 (0:1 1:2 3:1 0:1)

0:1 ჰოგლუნდი 7'24 (21); 1:1 ბრაშირი 21'10 (8); 1:2 სუნდინი 32'52 (21); 1:3 ტომასი 38'57 (7); 1:4 კოროლიოვი 48'57 (12); 2:4 მესიე 49'28 (7); 3:4 ბერტუცი 54'48 (9); 4:4 ბერტუცი 55'03 (10); 4:5 ტომასი 64'55 (8)

ანაჰაიმი — ბუფალო 0:5 (0:0 0:3 0:2)

0:1 ბრაუნი 20'21 (15); 0:2 უორდი 37'17 (5); 0:3 ვარადა 39'26 (2); 0:4 ვარადა 50'19 (3); 0:5 შატანი 59'59 (23)

„ვფიქრობ, რეი კარგა ხანს ვერ გაიღიმებს გულიანად, მაგრამ მის არყოფნაში ჩვენს ახალგაზრდა მცველებს თავის გამოჩენის საშუალება მიეცემათ" — თქვა მატჩის შემდეგ ბოსტონის მეკარემ, ბაირონ დაფომ. „დათვებს" ამ შეხვედრის პირველივე პერიოდში გამოაკლდათ ლიდერი რეი ბურკი. „ოლ სტარის" თამაშში მეთვრამეტედ არჩეული ბოსტონის სახელოვანი მცველი ატლანტელი რეი ფერარის დარტყმას ვაჟკაცურად დახვდა, მაგრამ დიდი სიჩქარით მოძრავმა შაიბამ მას ერთბაშად სამი კბილი ჩაუმტვრია. გაოგნებული ბურკი საკაცით გაიყვანეს მოედნიდან და შესაძლოა, რამდენიმე მატჩის გამოტოვებაც მოუხდეს.

REUTERS დენვერიდან

ერთი ორთან ვერას გახდა: კოლორადოელი ალექს ტანგეი (40) და ფინიქსელები რობერტ ეშე და დანიელ ბრირი (8)

ბურკის არყოფნამ ბოსტონელები თავიდან დააბნია და 52-ე წუთზე მასპინძლები თითქოს უიმედოდ აგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ იძალეს და ტრავმის შემდეგ დაბრუნებული დეივ ანდრეიჩუკის გოლის წყალობით ზედიზედ მესამე ფრე მიითვალეს. ისე, „დათვები" უკვე მეშვიდე მატჩია, ვერ იგებენ და თავიანთი თავკაცი პეტრ ბერნი, რომელსაც კარიერაში მე-400 მოგებამდე სულ ერთი ნაბიჯი აშორებს, ვერა და ვერ გაახარეს.

სხვა უშელავათო ბრძოლით წარიმართა. მაგალითად, ჩიკაგოსა და ვანკუვერში გამართული შეხვედრები ერთნაირი სიუჟეტით მიმდინარეობდა. თავიდან ერთი გუნდი (შესაბამისად ჩიკაგო და ტორონტო) სოლიდურ სამშაიბიან უპირატესობას ფლობდა, შემდეგ მას უთავბოლოდ ფლანგავდა, საქმე ოვერტაიმამდე მიჰყავდა და მხოლოდ ამის შემდეგ წყვეტდა თამაშის ბედს. ერთობ ლამაზი გამოდგა ტორონტოელი სტივ ტომასის (2+1) გოლი. დამატებითი დროის დამთავრებამდე ხუთი წამით ადრე ფორვარდმა მათს სუნდინისგან (1+3) პასი მიიღო, ამ დროს ვანკუვერელმა გრეგ ჰოგუდიმ იგი ყინულზე დაანარცხა, მაგრამ მაინც შეძლო დარტყმა ვარდნაში.

ზედიზედ მეხუთე მოგება იზეიმა ვაშინგტონმა. სულ მეორე თამაშია, რაც შვედი ულფ დალინი (2+1), ჩეხი ლან ბულისი (3 პასი) და სლოვაკი რიხარდ ზედნიკი ერთად ასპარეზობენ, მაგრამ ძალიან შეწყობილად ირჯებიან. ამ სამეულს ამჯერად შვედი წარმართავდა და მისი თამაშით გამოწვეული აღფრთოვანება თვით ვაშინგტონის მწვრთნელმა რონ უილსონმაც კი ვერ დაფარა, თქვა, არასოდეს მინახავს ულფი ასეთი სწრაფი და მოწადინებული ყოფილიყოსო.

ზედიზედ მეხუთედ მოიგო ფლორიდამაც. მან ბურეს დაუხმარებლადაც („რუსული რაკეტა" ამჯერად უქულოდ დარჩა) სძლია ფილადელფიას, რომელსაც ლინდროსი არ ჰყავდა. სამი წაგების შემდეგ ფილადელფია მნიშვნელოვნად ჩამორჩა ნიუ ჯერსის, რომელსაც ცოტა ხნის წინ ატლანტის დივიზიონში ლიდერობას ეცილებოდა.

„ეშმაკებმა", ცხადია, მეტოქის მორიგი შეფერხება თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს. სხვათა შორის, ნიუ ჯერსიმ წლეულს რამდენიმე შესანიშნავი ახალბედით დაგვამახსოვრა თავი. არაერთხელ თქმულა სკოტ გომესზე (1 პასი), ძალიან საიმედოდ თამაშობს მცველი ბრაიან რაფალსკიც. არც ჯონი მედენი დაიკარგა მათ ფონზე. სწრაფი ფორვარდი ერთობ კარგად თამაშობს უმცირესობაში და არც მეტოქეების რიცხვმრავლობაში დაშვებული შეცდომები ეპარება. ამჯერად მისმა გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი.

რაკი სიტყვა ახალბედებზე ჩამოვარდა, ჭაბუკ მეკარეზეც მოგახსენებთ. ამ ასაკში მათ იშვიათად ენდობიან, მაგრამ დომინიკ ჰაშეკის ტრავმის შემდეგ ბუფალოში დარჩენილ ორ გოლკიპერს შორის მწვრთნელებმა უპირატესობა მარტინ ბირონს მიანიჭეს და ამას არც ნანობენ. მართალია, ულიმღამოდ მოასპარეზე ანაჰაიმთან შეხვედრაში ბირონს ნაკლებად ჰქონდა საქმე (თვით პოლ კარიამ და ტეემუ სელიანემ ერთად მხოლოდ ერთხელ შეაწუხეს), მაგრამ შედეგი შედეგია და მარტინმა მე-4 შათაუტის შემდეგ კიდევ ორ მეკარესთან ერთად გაიყო ლიგის ლიდერობა.

22 წლის მარკ დენი კი იმდენად დამაჯერებლად თამაშობს, რომ უკვე ხშირად გაიგონებთ, დროა, პატრიკ რუამ ადგილი დაუთმოსო. ფინიქსთან დენიმ მესამე შათაუტი შეასრულა (27 მოგერიება).

სამველ ლარიგიანი

ესეც გამხეცდა

წარსულის დიდ მოკრივეთა ქალიშვილები სულ გადაირივნენ. ჯერ იყო და მუჰამედ ალის ქალიშვილმა ლეილამ წამოიწყო საკრივო კარიერა, ახლა კი, მისი მაგალითით ანთებულა განთქმული ჯო ფრეზერის ქალიშვილი ჟაკლინი, რომელიც მამის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს ჩრდილოეთ ფილადელფიაში. ჟაკლინი (ქმრის გვარი ლაიდი) თებერვალში ჩაატარებს სადებიუტო ბრძოლას, მერე კი ლეილა ალის გამოწვევას აპირებს — წინაპართა დიდი ჯახი ჩვენ უნდა გავაგრძელოთო.

მიაწე, სუძუკის

სანამ ნამდვილი რბოლა გახურდება, სუძუკისნაირ მოტოსაც მიწოლა სჭირია. ანუ, სატესტო რბოლამდე მანქანა ჩაურთველად უნდა გააგორო. მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურში ჩასული „სუძუკელი“ მრბოლი ნობუასტუ აოკი სეპანგის ტრასაზე გასაქროლებლად ემზადება. ახალი 500-კუბურსანტიმეტრიანი მოტოს ჯიგრიანი ტესტირებანი იმისთვისაა აუცილებელი, რომ მსოფლიოს დიდი პრიზის ეტაპზე, გაზაფხულზე რომ გაიმართება, ყველაფერი წესრიგში იყოს.

ინგლისი

II დივიზიონი

გადადებული მატჩი

კოლჩესტერი 1:0 უიკომბი

III დივიზიონი

გადადებული მატჩი

დარლინგტონი 2:2 იორკი

თასის IV ეტაპი

გადათამაშება

ვულვერჰემპტონი 3:4 (პენ) უენსდი

(ძირითადი და დამატებითი დრო 0:0)

იტალია

თასის მეოთხედფინალი

I წრე

ვენეცია 0:0 ფიორენტინა

REUTERS შარლოტიდან

წუთიერი დუმილი

წუთიერი დუმილი შარლოტში: „ჰორნეთსის“ გულშემატკივრები და მოთამაშენი პატივს მიაგებენ ტრაგიკულად დაღუპული ბობი ფილზის ხსოვნას. სკამზე აწყვია ფილზის მაისურა და ბურთი.

REUTERS ვანკუვერიდან

მორიგი ჩხუბი

მორიგი ჩხუბი ჰოკეის მორიგ საღამოს: ჰოკეის ეროვნული ლიგის თამაშებში მუშტი-კრივი სულაც არ არის იშვიათი მოვლენა, მაგრამ განსაკუთრებული იერი მაშინ ეძლევა, როცა ერთმანეთს კანადური გუნდები უპირისპირდებიან. ამ გუშინწინაც ასე იყო. ვანკუვერელმა ჯეისონ სტრადვიკმა (34) და ტორონტოელმა კრის კინგმა ერთმანეთს დასცხეს. ჩხუბში ვანკუვერელმა იმარჯვა. მატჩი კი წაქცეულის გუნდმა 5:4 მოიგო.

REUTERS სტოკჰოლმიდან

ამორძალი და ლეგენდა

ერთ დროს რუსი მძლეოსანი ლუდმილა ნოროჟილენკო, ახლა შვედი მძლეოსანი ლუდმილა ენკვისტია. გუშინ სტოკჰოლმში გამართულ დიდ შეხვედრაზე სწორედ მას გადასცეს წლის ადამიანისთვის დაწესებული პრიზი. კიბოსთან მებრძოლ ლუდმილას შარშან ძუძუ მოკვეთეს, მაგრამ იმდენი მოახერხა და ისე შეუპოვრად გაისარჯა, რომ სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილზე გავიდა. იმავე შეხვედრაზე პრიზები მიართვეს წლის სპორტსმენს და წლის დებიუტანტს. მთავარი პრიზი კი, რა თქმა უნდა, საუკუნის სპორტსმენისა იყო. აქ მოულოდნელი არაფერი ყოფილა — ტიტული დიად ჩოგბურთელ ბიორნ ბორგს ერგო.

REUTERS სტოკჰოლმიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. **საფოსტო მისამართი:** თბილისი — 79, **საფოსტო ყუთი** 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli